ეროვნული ბიბლიოთეკა


# სარბიელი

სპორტული გაზეთი | ხუთშაბათი 15 ივლისი 1999 №132 (905) | ფასი 50 თეთრი


# საგადასახადო და ფიფა ფეხბურთის ფედერაციის აწმყო და მომავალი



საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ბინა...

*როცა საგადასახადო ინსპექცია საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას ვალის გადახდას სთხოვს...*
*როცა ფედერაცია ფიფასგან მილიონ დოლარს ელის...*
*როცა ეროვნულ სტადიონს გამოკეტვა ემუქრება...*
*როცა საგადასახადო ფედერაციის უძრავ-მოძრავი ქონების აუქციონზე გაყიდვას აპირებს, ფედერაციის პრეზიდენტი მერაბ ჟორდანია და კომპანია იამანიძის ქუჩაზე მდებარე გავერანებულ კუთვნილ შენობას გაახლება-გაკოხტავებას უპირებს.*
*გუშინდელ პრესკონფერენციაზე ამერიკის შეერთებული შტატებიდან ახალდაბრუნებულმა ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელებმა ამ და სხვა საკითხებზეც ისაუბრეს*

იხილეთ მეორე გვერდი



...ხვალ ასეთი უნდა იყოს

## ზიმბრუმ დინამოსკენ გამოიწია




ლიტექსი — გლენტორანი 3:0. ბულგარელებმა მომდევნო ეტაპზე თამაში სანახევროდ გაინაღდეს

დაიწყო ევროპის ყველაზე პრესტიჟული თასის გათამაშება, რომლის პირველივე ეტაპზე, ფაქტობრივად, გაირკვა საქართველოს ჩემპიონის, თბილისის „დინამოს“ მეტოქეც — ჩემპიონთა ლიგის მეორე შესარჩევ ეტაპზე, სასწაული თუ არ მოხდა, დინამოელებს მოლდოვის უძლიერესი კლუბი „ზიმბრუ“ დაუპირისპირდება.

მოლდოველები წუხელ დუბლინში „სენტ პატრიკს“ სტუმრობდნენ და იმისთანა დღე აყარეს მასპინძლებს, მტერს არ უსურვებს კაცი — ექსსაბჭოელებმა ირლანდიელებს 5:0 მოუგეს და ორმატჩიან დუელში გამარჯვებულიც, პრაქტიკულად, უკვე გამოვლინდა.

ერთი სიტყვით, „დინამო“ მოლდოველებთან სათამაშოდ უნდა მოემზადოს.

სხვა წყვილებს რაც შეეხება, ამათგან იუგოსლავიის „პარტიზანმა“ და ბულგარეთის „ლიტექსმა“ მომდევნო წრეში თამაში, ფაქტობრივად, განაღდეს.

იხილეთ მეთექვსმეტე გვერდი


**2** დინამო და ბოსკამპი გერმანიაში შეხვდებიან

როცა „დინამო“ ჰოლანდიელ მოყვარულებს ამარცხებდა, ბოსკამპი თბილისელთა მომავალ მეტოქეს აკვირდებოდა

**6** ურუგვაი ფინალშია



კოპა ამერიკის თოთხმეტგზის ჩემპიონი ურუგვაი პენალტებში კვლავაც დაუმარცხებელია

**8** საით წავა ხოტორა ესპანელი?



ივან დე ლა პენია სერია A-დან პრემიერლიგაში გადასვლას აპირებს

**10** კონტინენტის საკლუბო კალათბურთი ახალ საუკუნეს სიახლით ხვდება

ფიბა ევროთასებს ფორმას და სახეს უცვლის

**14** ყოჩაღ, ზეზვა!

ევროპის ახალგაზრდობის მეხუთე ოლიმპიურ თამაშებში პირველი ქართული ოქრო ზეზვა ებელაშვილმა მოიპოვა

# მილიონის მომლოდინე ფეხბურთის ფედერაცია საგადასახადოს „დამატებით დროს“ სთხოვს



მერაბ ჟორდანიას საფიქრალი მოსძალებია

*საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი მერაბ ჟორდანია და გენერალური მდივანი ვალერი ჩოლარია გუშინწინ ამერიკის შეერთებული შტატებიდან დაბრუნდნენ და ფიფას კონგრესის მონაწილეებმა არც ჟურნალისტებთან შეხვედრა დააყოვნეს. მათ გუშინ ფედერაციაში მივიწვიეს და ამერიკიდან ჩამოტანილი ამბების გარდა აქაურ პრობლემებზეც ისაუბრეს.*

*უმეტეს წილად მერაბ ჟორდანიამ ილაპარაკა.*

## ქალები

— ამერიკაში ქალთა მსოფლიოს ჩემპიონატის მიმდინარეობისას მოგვიხდა ჩასვლა. ენით ვერ გადმოგცემთ, რაც იქ ხდებოდა. ნამდვილი ზეიმი იყო. თქვენ წარმოიდგინეთ, მეოთხედფინალიდან დაწყებული თვით ამერიკის პრეზიდენტიც არ აცდენდა თანამემამულეთა თამაშებს. მიუხედავად საშინელი ხვატისა, ამერიკელები ქუჩებში გამოფენილიყვნენ და სხვებთან ერთად მეტად სასიამოვნო ატმოსფეროს ქმნიდნენ. ერთ რამედ ღირდა ყოველივეს საკუთარი თვალით ხილვა. მასპინძელთა გაჩემპონების შემდეგ კი, ნუღარ იტყვით... მათი ლიდერი მია ჰემი, ისეთ ფეხბურთს თამაშობს, ლამის საშუალო დონის მამაკაცს გაუტოლდეს.

## ფიფა, 203 და მილიონი

იოზეფ ბლატერის გაპრეზიდენტების შემდეგ ეს ფიფას პირველი კონგრესი იყო. თავმჯდომარე თავად გახლდათ. ამერიკაში ფიფას წევრი ექვსივე კონფედერაციის 203 ფედერაციის, ასოციაციისა თუ საფეხბურთო კავშირის წარმომადგენლები შევიკრიბეთ. რამდენიმე განსახილველი საკითხიდან მთავარი მაინც ფინანსები იყო. გადაწყდა, რომ ფიფა უახლოესი ოთხი წლის განმავლობაში თავის წევრ ფედერაციებს მილიონ-მილიონი დოლარით დაეხმარება. ყოველწლიურად 250 ათასით ფიფა ჩვენ შეგვეწევა, ოღონდ, ერთი პირობით, კონკრეტულად უნდა იყოს გაცხადებული, ეს თანხა ვის და რას მოხმარდება. ჩვენი გეგმა მათ მეორე დღესვე მიიღეს. ცოტა გაუკვირდათ, თანაც ესიამოვნათ. ფიფას ვაცნობეთ, რომ საქართველოსთვის გამოყოფილი მილიონი ფეხბურთის ფედერაციის ნახევრად დანგრეული შენობის რეკონსტრუქციაზე, ეროვნული ნაკრების ბაზის მშენებლობასა და ნაკრებისთვისვე საკუთარი ავტოუსის შეძენაზე დაიხარჯება. ახლა ყველაფერს კაპიკ-კაპიკ დავიანგარიშებთ და ფიფას დაზუსტებულ ინფორმაციას მივაწვდით.

ისე, სხვათა შორის, ამერიკაში ყოფნისას შევიტყვე, რომ ფიფამ, ერთ-ერთ ფირმასთან ბოლოს გაფორმებული კონტრაქტით არც მეტი, არც ნაკლები, 2 მილიარდ ექვსასი მილიონი დოლარი მიიღო.

## რა უნდა აზიას?

კონგრესის მონაწილენი თითქმის ერთსულოვანნი ვიყავით. არაფერი გამწვავებულა. მხოლოდ აზიელები ჯიუტობდნენ და სკანდალიც ატეხეს. მათ დარბაზი დატოვეს. აზიის კონფედერაციამ უახლოეს მსოფლიოს ჩემპიონატზე მეხუთე ადგილიც მოითხოვა. მათთვის თანხმობა არავის მიუცია, მხოლოდ უეფამ თქვა, ევროპაში მეთხუთმეტე გუნდი აზიის მეხუთეს გაეჯიბროს და გამარჯვებულმა ჩემპიონატზე ითამაშოსო. აზიელებმა, ეგრე არ გვაწყობსო და სხდომა დატოვეს, წასვლისას კი დაიმუქრნენ კიდეც, ჩვენი მოთხოვნა დააკმაყოფილეთ, თორემ 2002 წლის ჩემპიონატს ბოიკოტს გამოვუცხადებთო. იოზეფ ბლატერის თხოვნას, საფეხბურთო ოჯახის უფროსის ადგომამდე დარბაზს ნუ დატოვებთო, მათ ყური არ უგდეს.

და ერთიც, ამიერიდან ფიფას კონგრესი ყოველწლიურად გაიმართება და არა ორ წელიწადში ერთხელ. ხმის უფლებაც ყველა ფედერაციის თითო წევრს ექნება...

*საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ამერიკაში ვიზიტის თაობაზე ლაპარაკი ამით დაამთავრა და შინაურ ავ-კარგზე გვითხრა.*

## მთავარი — 18-წლამდელები

— შვედეთში, ევროპის ჩემპიონატზე მონაწილე საქართველოს 18-წლამდელთა ნაკრებისა ძალიან გვეიმედება. ჩვენ მათ სათანადოდ მოსამზადებლად რაც შეგვეძლო, ყველაფერი გავაკეთეთ. ლევერკუზენის „ბაიერმა“, რომლის პრეზიდენტთან, რაინერ კალმუნდთან მეგობრული ურთიერთობა გვაქვს, ჩვენი ჭაბუკების ერთკვირიანი შეკრება დააფინანსა, სავარჯიშოდ შესანიშნავი ადგილი გამოუძებნა გუნდს. ეს ყველაფერი ჩვენი, ფედერაციის დამსახურებაა, მარტო ლამაზი თვალებისთვის „ბაიერი“ ამხელა ხარჯს არ იკისრებდა. მსურს, წარმატებები ვუსურვო უკვე შვედეთში მყოფ მწვრთნელებსა და ფეხბურთელებს, მჯერა, თავს არ შეირცხვენენ.

## ყველა ნაკრები ერთად

ტექნიკურ სპონსორთან, როგორც ადრე ვთქვით, კონტრაქტის გაფორმებას არ ვჩქარობთ, უკეთეს ვარიანტს ველით. მანამდე კი საქართველოს ნაკრებებს ბრიტანული ფირმა „უმბრო“ შემოსავს. გენერალურ მდივანთან ერთად უახლოეს დღეებში ბელგიას ვესტუმრები და იქაურ „უმბროს“ წარმომადგენლებთან ყველაფერზე დეტალურად ვისაუბრებთ. ეს უეფას ჩვენთვის მოცემული გრანტი იქნება.

## ფოთი და მსაჯები

საქართველოს ჩემპიონატისთვის მსაჯობა კვლავაც ყველაზე დიდ პრობლემად რჩება. მაქსიმალურად ვცდილობთ მსაჯობის ხარისხის გაუმჯობესებას. საამისოდ 20 ივლისიდან 5 აგვისტომდე პირველი ჯგუფის მოსახურე 30 მსაჯს ფოთში შეკრებას მოვუწყობთ და ჩემპიონატისთვის კარგად მოსამზადებლად ყველანაირ პირობებს შევუქმნით. რაც შეეხება მეორე ჯგუფის მსაჯებს, ისინი 5 აგვისტოდან 15-მდე თბილისში შეიკრიბებიან. რაც ვთქვი, უკვე გადაწყვეტილია.

გარდა ამისა, ჩაფიქრებული გვაქვს, შევქმნათ ფონდი, რომლის „ყულაბაც“ საჯარიმო სანქციების შედეგად შემოსული ფულით შეივსება. ამ თანხით ფეხბურთის ვეტარანებს დავეხმარებით, მსაჯებს წავახალისებთ.

## ფედერაცია იხდის...

ფეხბურთის ფედერაცია ევროპის საკლუბო ტურნირებში მონაწილე სამივე ქართულ გუნდს დაეხმარება. მათ თამაშებზე მოვლენილი მსაჯებისა და უეფას დელეგატების საქართველოში ყოფნის ხარჯებს ფედერაცია გაიღებს. ეს მცირე, მაგრამ მაინც შეღავათი იქნება „დინამოს“, „ტორპედოსა“ და „ლოკომოტივისთვის“.

## სტადიონი და სტადიონები

ფედერაციის საგანგებო კომისიამ უკვე შემოიარა ის სტადიონები, რომლებსაც ჩემპიონატისა და თასის მატჩების მასპინძლობა მოუწევთ. ჯერჯერობით მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია, თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ ამ სტადიონებს თამაშების ჩატარების უფლება უკვე აქვთ. ჩემპიონატის დაწყებამდე კომისიის წევრებს შესამოწმებლად ერთხელაც მივავლენთ და ამის შემდეგ გადაწყდება, თუ რომელ სტადიონებზე ჩატარდება მატჩები.

ბორის პაიჭაძის სახელობის სტადიონი კი ცალკე საუბრის თემაა. ფეხბურთის ფედერაციამ ქვეყნის უპირველესი სარბიელის მოსაწესრიგებლად და უეფას მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად დღემდე მილიონ ექვსასი ათასი შვეიცარიული ფრანკი გამოყო. დამონტაჟდა კიდეც ოცი ათასი ინდივიდუალური სკამი. ჩვენ მეტი აღარ შეგვიძლია. სპორტსაზოგადოება „დინამოს“ კი, რომლის წილიც აქციათა 33 პროცენტია, საამსაქმოდ დღემდე კაპიკიც არ დაუხარჯავს.

უეფას ალმასკომის სხდომაზე, როგორც ნორვეგიის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა და უეფას ვიცე-პრეზიდენტმა პიერ ომდალმა მაცნობა, ჩვენი სტადიონის საკითხი უკვე განუხილავთ და დღე-დღეზე ოფიციალურ ფაქსსაც გამოგვიგზავნიან — თუ ეროვნულზე შესაბამისი განათება არ იქნება, თბილისში მატჩები არ ჩატარდება. „დინამო“ საკვალიფიკაციო ეტაპზე მშობლიურ სტადიონზე კი ითამაშებს, მაგრამ, ჩემპიონთა ლიგის ჯგუფში რომ შეაღწიოს, გამორიცხულია, უეფამ მათ შეღავათი გაუწიოს. მათ ოცი ათას სკამზე იქნებ არაფერი თქვან, აი, განათებზე კი...

*ვალერი ჩოლარია:* უეფა გარანტიას ითხოვს, რომ უახლოეს ხანში განათების საკითხს მოვაგვარებთ. ჩვენც რაღა დაგვრჩენია, მივცემთ გარანტიას. საამისო ფაქსის გაგზავნას ხვალისთვის ვაპირებთ. თუმც მერია და საზოგადოება „დინამო“ მხარში თუ არ დაგვიდგა, არაფერი გამოვა. გარანტია თუ არ შევასრულეთ უეფა მკაცრად დაგვსჯის.

*მერაბ ჟორდანია:* კარგით, 20 ათას სკამზე უეფამ არაფერი თქვა, თამაშების ჩატარებაზე დაგვყაბულდა, წარმოგიდგენიათ, ხალხი რა დღეში ჩავარდება? თბილისში რომ „ბარსელონა“, „მილანი“ ან სხვა სახელოვანი გუნდი ჩამოვა, სტადიონზე მისვლის მსურველი ოცი ათასზე მეტი არ იქნება? სტუმართა გუნდის ქომაგებზე აღარას ვამბობთ. იმ ხალხს პოლიცია დააკავებს? არ გახსოვთ, უკრაინელებთან მატჩისას რა მოხდა? „დინამოს“ ლიგაში მოხვედრის შემთხვევაში ის ამბავი მონაგონი იქნება.

ფაფას მიერ გადმორიცხული 250 ათასი სტადიონს რომ მოვახმაროთ, დათმობა გამოგვივა დანარჩენი აქციონერებიც დამშვიდდებიან. ჩვენ თუ დავინახავთ, რომ ეროვნულ სარბიელს ვინმე ეხმარება, გარწმუნებთ, არც ფედერაცია დარჩება ვალში. მარტო ჩვენ ვიზრუნოთ სტაიონის მოსაწესრიგებლად? მაშინ აქციების წილიც უნდა შეიცვალოს. ფედერაციას 5 პროცენტი ერგება და...

## ენას კბილი დააჭირეთ

ამიერიდან ვინც კი ფეხბურთის ფედერაციის მისამართით რამე არაკორექტულს იტყვის, ცილს დაგვწამებს და მისთანები, პირობას ვიძლევი, უმკაცრესად დაისჯება. გუნდის პრეზიდენტი იქნება, ფეხბურთელი, თუ სხვა ვინმე. მნიშვნელობა არა აქვს. ან სასამართლოში ვუჩივლებთ, ან დავაჯარიმებთ, ანაც საერთოდ ავუკრძალავთ ფეხბურთში მოღვაწეობას. ჩვენ ამას გავაკეთებთ.

## აღროვეთ, სული მოათქმევინეთ

სახელმწიფოს ბევრს არაფერს, საგადასახადო ვალის რესტრუქტურიზაციასა და გრანტების დაუბეგრავებას ვთხოვთ. ამ მიმართვას ქვეყნის პრეზიდენტის რეზოლუციაც ადევს. სამწუხაროდ, ჯერჯერობით არც ერთს ეშველა, არც მეორეს. საგადასახადო ინსპექცია კი თურმე სულაც ჩვენი, იამანიძის ქუჩაზე მდებარე შენობის აუქციონზე გაყიდვას აპირებს. ფეხბურთის ფედერაციას აღარ ეკითხებიან. აი, დიდუბეში მდებარე შენობის რეკონსტრუქციის გეგმა, პროექტიც აქვეა, უახლოეს მომავალში იქაურობას ვეღარ იცნობთ. საგადასახადო კი...

*ვალერი ჩოლარია:* საგადასახადო ინსპექციამ ჩვენი ქონების გაყიდვის თაობაზე წერილი რომ მოგვწერა, მისი შინაარსი მართლაც არ გვაინტერესებს. გუშინაც ვთქვი — ის წერილი არ გვაინტერესებს. ერთხელაც ვამბობთ, საგადასახადოს მივმართავთ, გვაცალეთ, ცოტა სული მოგვათქმევინეთ, გადასახადს უეჭველი გადავიხდით, არსად გავრბივართ.

**კობა ინასარიძე**



ფეხბურთის ფედერაციის შენობის პერსპექტიული ხედი იამანიძის ქუჩიდან

# ბოსკამპი დუბლინში, დინამო გზაში

ᲘᲝᲰᲐᲜ ᲑᲝᲡᲙᲐᲛᲞᲘᲡ არყოფნაში, რომელიც გუშინ დუბლინში იმყოფებოდა და დინამოელთა შესაძლო მეტოქეებს ზვერავდა, საქართველოს ჩემპიონებმა ჰოლანდიის დაბა ეპეში ერთი ამხანაგური მატჩიც ჩაატარეს და მოყვარულთა გუნდ „შტაინ ვეიგს“ 2:1 მოუგეს.

ჩვენებურებს თურმე ძალიან ცუდად უთამაშიათ, ბევრი მომენტი კი შეუქმნიათ, მაგრამ, ვაი ასეთ მომენტებსო, გვითხრა ამ მატჩის მხილველმა ზაზა ბოკერიამ. ბოსკამპის ირლანდიაში წასვლამ, ეტყობა, თავისი კვალი დაატყო ბიჭების თამაშსო, მანვე დააყოლა.

დღეს თბილისის „დინამო“ გერმანიაში მიემგზავრება და ქალაქ ფრანკფურტში განაგრძობს მოსამზადებელ პერიოდს, ბოსკამპიც იქ ჩააკითხავს შეგირდებს და ადრინდელთან შედარებით ბიჭებს ნაკლებად დატვირთავს. ფიზიკურად მომზადება უკვე საკმარისია, ახლა ტაქტიკა და სხვაო, უთქვამს დუბლინში გაფრენამდე ბოსკამპს.

„დინამოს“ ფრანკფურტში ოთხი იუგოსლაველი ფეხბურთელი დახვდება და ბრაზილიელ დე სოუზასთან ერთად ისინიც ჩვენებურებთან ერთად განაგრძობენ მზადებას.

თბილისური გუნდი კი შესაძლოა მეკარე აკაკი დევაძემ მიატოვოს, „დინამოს“ ხელმძღვანელობა მისი მომზადების დონით ერთობ უკმაყოფილოა.

ჩვენს ჩემპიონთა უეფაში გასაგზავნი 25-კაციანი განაცხადი კი, ფაქტობრივად, 18 ივლისს გაირკვევა, თბილისის „დინამო“ იმ დღეს შოტლანდიურ „კილმარნოკს“ დაუპირისპირდება და თუ აქამდე ყველა მატჩში უმთავრესი ფეხბურთელთა შეთამაშება გახლდათ, 18-ში უკვე მხოლოდ სასურველი ანგარიშისთვის იბრძოლებენ ჩვენი ჩემპიონები.

**ᲙᲝᲑᲐ ᲘᲜᲐᲡᲐᲠᲘᲫᲔ**

# ვნახოთ, ვნახოთ...

ᲐᲮᲐᲚᲘ სეზონისთვის მზადება წყალტუბოს „სამგურალს“ ოთხმა-ხუთმა გუნდმა თუ დაასწრო. აგერ უკვე თვე გაილევა, რაც საქართველოს თასის ბოლო გათამაშების ფინალისტი გუმბრინის ბაზაზე ვარჯიშობს. მიუხედავად ამისა, გუნდში ჯერაც ვერ არის დალაგებულად საქმე, როგორც იცით, ძველი შემადგენლობიდან „სამგურალი“ 12-მა (?!) მოთამაშემ დატოვა. გუნდში წინა სეზონში გაიოზ დარსაძის მიყვანილთაგან ხომ აღარავინ დარჩა, მას სხვებმაც უგანეს.

„სამგურალში“ დარსაძე-გენძეხაძის შემცვლელს რევაზ ბურკაძეს, ფაქტობრივად, ახალი გუნდის დაკომპლექტება უწევს. მთავარ მწვრთნელს პრობლემები მოსძალებია, მაგრამ იმედს მაინც არ კარგავს.

— დღესდღეობით „სამგურალში“ 26 ფეხბურთელი ვარჯიშობს, მაგრამ ამათგან, დიდი-დიდი, 12 დავიტოვოთ — გვითხრა წყალტუბოელთა თავკაცმა — ვნახოთ, ჯერ კიდევ ბევრი საკითხი გვაქვს გადასაწყვეტი. 18 ივლისიდან ორკვირიანი შეკრება გვექნება, ორჯერადად ვივარჯიშებთ აქვე, წყალტუბოში. საბოლოო შემადგენლობას, ალბათ, ამ თვის ბოლოს დავისახელებთ. დავით ყიფიანთან მქონდა საუბარი. არ არის გამორიცხული, „ტორპედოში“ ვერმოხვედრილი ფეხბურთელები დავიმატოთ. ამის გარდა, რუსეთის პირველ და მეორე ლიგაში მოთამაშე რამდენიმე ფეხბურთელს შევეხმიანე და, შესაძლოა, ისინიც შემოგვიერთდნენ. ვნახოთ, წინასწარ არაფრის თქმა არ მინდა. 22 ივლისს „ტორპედოსთან“ გვექნება საკონტროლო მატჩი — გვითხრა ბოლოს რევაზ ბურკაძემ.

**ᲘᲣᲖᲐ ᲙᲐᲪᲘᲢᲐᲫᲔ წყალტუბოდან**

# ეს გუნდი კარგად თამაშობს...



მამუკა კიკვილაშვილი



დ. უ. „აჭარის“ რექტორი ოთარ შარაძე მინიფეხბურთელებთან ერთად

უფრო მეტიც. მათი თამაში უთუოდ ცეკვას მოგაგონებთ, კარგი ქორეოგრაფის მიერ დადგმულ ლამაზ სანახაობას, რა თქმა უნდა, აწყობილი ანსამბლის შესრულებით. იდეალურად შეთანხმებული და გათვლილი მოქმედებები, წინასწარ მომზადებული კომბინაციები, ტემპის ერთდროულად მომატება და დაკლება, რაც ყველაზე მთავარია, გულიანად გარჯა. ეს კოზირები თითქმის ყოველთვის ხელთ აქვთ. თავიანთ თავში დარწმუნებულებმა შიშის ფაქტორი კარგა ხანია, დაძლიეს და ახლა ნებისმიერ მოწინააღმდეგესთან შეხვედრას ცივი გონებით ხვდებიან. ისე გადიან მოედანზე, თითქოს წინასწარ იცოდნენ მატჩის ანგარიში.

სამწუხაროდ, მათი საფეხბურთო ცხოვრების გზის თანამდევი ტკივილიც ყოფილა. ზოგის კარიერა ტრავმებმა შეიწირა, ზოგს ოჯახიდან არ ჰქონდა ფინანსურად ძლიერი ზურგი და არც ბიძა ჰყავდა სარფიან თანამდებობაზე. არადა, სიგიჟემდე უყვარდათ და უყვართ ფეხბურთი. როცა მიხვდნენ, რომ დიდი ფეხბურთელობა მხოლოდ აუხდენელ ოცნებად გადაექცათ, ადგნენ და ახალი ნავსაყუდელი მოძებნეს დამოუკიდებელი უნივერსიტეტის „აჭარის“ სახით. ბედს შეეგუვნენ, უფეხბურთობას კი ვერა.

საზაფხულო არდადეგები აქვთ სტუდენტებს. აუდიტორიებში სიცარიელეა. სექტემბრამდე ისვენებენ სესიების ციებ-ცხელება გამოვლილნი. ფეხბურთისგან დასვენება კი აბა, ვის გაუგია.

დამოუკიდებელი უნივერსიტეტის „აჭარის“ მინიფეხბურთელებმა ერთი თვის წინათ საქართველოს ახალგაზრდობის თასი მოიგეს თბილისის ჩემპიონატთან ერთად. ახლა კი ძველებურად, კვირაში ოთხჯერ, ვარჯიშობენ გლდანში მდებარე სპორტული კომპლექსის დარბაზში. ახალი წარმატებებისთვის ემზადებიან.

1992 წელს დაარსებულ უნივერსიტეტში სულ რაღაც ორ წელიწადში ჩამოყალიბდა მინიფეხბურთელთა გუნდი, რომელმაც იმავე წელს ნაძალადევის რაიონის ჩემპიონის ტიტული მოიპოვა. სტუდენტებმა იგივე შედეგი 1996 წელსაც გაიმეორეს.

1997 წელს ჩატარებულ სტუდენტთა რესპუბლიკურ ჩემპიონატში უნივერსიტეტელები ნახევარფინალში პენალტების სერიაში დამარცხდნენ. მათი მძლეველი აგრარული უნივერსიტეტის გუნდი გამოდგა. მომდევნო წელს „აჭარამ“ გამაოგნებელი რევანში აიღო და იგივე გათამაშების ფინალში აგრარებს 6:1 მოუგო.

წლევანდელი სეზონიც შთამბეჭდავი იყო ამ გუნდისთვის — საქართველოს მოქალაქეთა ახალგაზრდული კავშირის თაოსნობით ჩატარებულ ორ ტურნირში გამარჯვება. თბილისისა და საქართველოს თექვსმეტი და სამოცდათექვსმეტგუნდიანი „ახალგაზრდობის თასის“ გათამაშებებში „აჭარამ“ პირველობა არავის დაუთმო.

განსაკუთრებულად დრამატული გამოდგა „საქართველოს ახალგაზრდობის თასის“ ფინალი. შოტლანდიის ეროვნული ნაკრების ფორმაში გამოწყობილმა სტუდენტებმა პენალტების სერიაში 4:2 დაამარცხეს „დინამო 2“-ის ფეხბურთელებით გაძლიერებული საბურთალოს სმაკელები. არადა, ამ მატჩში „აჭარის“ გუნდს დიდი ძალა აკლდა ბელარუსის მპკც-ს კუთვნილება — ლევან ბერიშვილი.

რატომ მაინცდამაინც შოტლანდიელთა ფორმა? — ვეკითხებოდი გუშინ უნივერსიტეტელებს. ისე, უბრალოდ. ეს მაისურები გვეცვა სტუდენტთა რესპუბლიკური ჩემპიონატის ფინალში გამარჯვებისას. ასე რომ, კარგად გვაქვს დაცდილი — მიპასუხეს ღიმილით.

უნივერსიტეტის რექტორის, ოთარ შარაძის კაბინეტში ვსაუბრობდით. სათქმელი ბევრი აქვთ. ფეხბურთის შესახებ შეუძლიათ, დილამდე იმუსაიფონ. ვატყობ, საათზეც იყურებიან. მიზეზი? საქართველოს ეროვნული ნაკრები სომხეთს ეთამაშება სპორტკომპლექს „ქარიშხალას“ დარბაზში. ჩვენი გუნდის ღირსებას მათი თანაგუნდელი ალეკო ძაბირაძეც იცავს. ნაკრების შემადგენლობაში მამუკა კიკვილაშვილი და თამაზ ძაგანიშვილიც ირიცხებიან.

ვიცი, მათ უმრავლესობას დიდ ფეხბურთშიც უთამაშია პირველი თუ მეორე ჯგუფის ბინადარი კლუბების შემადგენლობაში.

თითოეულს განვლილი კარიერის შესახებ კონკრეტულად ვკითხე. თავიდან ეხამუშათ პასუხის გაცემა. რომელი კარიერა ჩვენ გვქონდაო — ამბობენ, მათ ხმაში სინანულიც იგრძნობა. ბევრი სიხარული და სიამოვნება მიუღიათ მწვანე მინდორზე, მაგრამ იმ წლებს მაინც დანანებით იხსენებენ. წასალები წარსულს წაუღია — თითქოს ამ განწყობილებით ცხოვრობენ დღეს. მე კი არ ვეშვები და ასაკთან ერთად მათი ყოფილი კლუბების სახელებს ვეკითხები. ისინიც მეუბნებიან — მცხეთის „არმაზი“, ლანჩხუთის „გურია“, თბილისის „მრეტები“, ყინვალის „ყინერი“...

მამუკა კიკვილაშვილის ჯერი მალევე დადგა. გუნდის ერთ-ერთი ლიდერი თავის მონაცემებს მეუბნება — 35-ე საფეხბურთო სკოლა დავამთავრე, შემდეგ „მრეტებში“ ვთამაშობდი გიორგი ქინქლაძის, ბუბა ტყავაძის, გელა ქორიძის და სხვათა გვერდით. მერე საშინელი ტრავმა მივიღე, ოპერაცია გავიკეთე და ოთხი წელი ფეხბურთს იძულებით ჩამოვცილდი.

უნებლიედ წერა შევწყვიტე და ფეხბურთელს გავხედე. ვგრძნობ, შინაგანად ნერვიულობს. იქნებ არ ღირდა ყოველივეს გახსენება. უეცრად ერთი თვის წინანდელი „საქართველოს ახალგაზრდობის თასის“ ფინალი გამახსენდა. მამუკა კიკვილაშვილი იმ დღეს შეუდარებელი იყო. დაცვაში უშეცდომოდ თამაშობდა, თანაგუნდელებს აკვალიანებდა. ანგარიშის გათანაბრების შემდეგ კი წინ მიდიოდა. თავდასხმაშიც გამოცდილი ფორვარდივით ირჯებოდა. ეჰ, რომ არა ის ავადმოსაგონარი ტრავმა, ვინ იცის, ამ ნიჭიერ ბიჭს რა ბედი ელოდა. იქნებ საოცნებო კლუბის მაისურაც მოერგო თავის დროზე.

სტუდენტებთან შეხვედრის შემდეგ კონკრეტულად მელაპარაკა, თუ რა მოხდა 7 წლის წინათ. მაშინ გადავწყვიტე, „აჭარის“ მინი-ფეხბურთელთა ვინაობა უბრალოდ, სახელითა და გვარებით გაგაცნოთ. თავადაც სადა და უბრალოები არიან ცხოვრებაში. ბოლოს და ბოლოს მართლა კარიერა ხომ არ არის მთავარი.

მაშ ასე, მეკარეები თამაზ ძაგანიშვილი და ზურაბ რეხვიაშვილი; მცველები — მამუკა კიკვილაშვილი, ჯაბა მუზაშვილი, ენრიკო ბერიშვილი, გიორგი ოქროპირიძე; ნახევარმცველები — კოტე სოსიაშვილი, ალეკო ძაბირაძე, თავდამსხმელები — გიორგი კორძაძე, ლევან ბერიშვილი, დათო კაციტაძე.

მწვრთნელიც ახალგაზრდა კაცია. ნუკრი შარაძე დამოუკიდებელ უნივერსიტეტ „აჭარის“ ჰუმანიტარული და ეკონომიკური ფაკულტეტების დეკანია. მას არც იტალიური კოვერჩანოს სკოლა გაუვლია და არც დიდ ფეხბურთში უმოღვაწია. ნუკრი შარაძეც ბურთის უსაზღვრო სიყვარულმა და თანდაყოლილმა ნიჭმა ჩააბა ამ საქმეში. გუნდის წარმატებული სვლის მთავარ ფაქტორად კი ბიჭების პროფესიონალიზმს და მეგობრულ სულისკვეთებას თვლის. ძალიან, ძალიან უნდათ მოგება და იგებენ კიდეც — მითხრა სტუდენტთა დამრიგებელმა. როცა ვკითხე, მოპოვებულ პრიზებიდან რომელს გამოარჩევთ-მეთქი, დაუფიქრებლად მიპასუხა, ყველასო...

ოთახში უნივერსიტეტის ყველანაირი წარმატებების მთავარი შემომქმედი ოთარ შარაძე შემოვიდა. კაცი, რომელიც ერთადერთია საქართველოში, ვინც წარმატებით დაიცვა სადოქტორო დისერტაცია საზღვაო ტრანსპორტის განვითარებაზე. ისიც სპორტიდან მოსული პიროვნებაა და სიჭაბუკის წლების გახსენებას მშვიდად ვერ ახერხებს.

— მოჭიდავე ვიყავი და დიდ მომავალსაც მიწინასწარმეტყველებდნენ. საბჭოთა არმიაში გამიწვიეს და საზღვაოზე მოვხდი. არმიაში ყოფნის დროს სამჯერ გავხდი შეიარაღებული ძალების ჩემპიონი თავისუფალ და კლასიკურ სტილში, აგრეთვე სამბოში. სამხედრო ხომალდზე პურს ვაცხობდი. ეს ძალიან შრომატევადი საქმიანობა იყო. 5 000 მეზღვაურის დაპურება ადვილი ხომ არაა. 3 ოკეანე და 21 ზღვა მაქვს გადალახული. ერთხელ საბჭოთა კავშირის პირველობაზე დამიძახეს და სპორტული ჩანთით ვტოვებდი გემბანს. სწორედ იმ დროს განგაში ატყდა და უკან მიმაბრუნეს. არადა, იქაურობას 100 მეტრით რომ გავცილებოდი, აღარც დამიძახებდნენ და ეგებ 67 კგ წონით კატეგორიაში ოქროს მედალიც ამეღო. ამის დიდი შანსი მქონდა, რადგან ვინც მერე ჩემპიონები გახდნენ, მათ ადრე დიდი უპირატესობებით მოვუგე.

ცნობილი „კუბის ბლოკადის“ ბატალიებში ვმონაწილეობდი. ჩვენს ხომალდზე იმყოფებოდა სსრკ-ს მთავარი შტაბის ნახევარი კორპუსი მარშალ ბაგრამიანთან და 7 გენერალთან ერთად. არმიამ 4 წელი და 3 თვე წამართვა და ჩემი სპორტული კარიერაც შეიწირა — გაიხსენა ოთარ შარაძემ.

შინ დაბრუნებულმა სამეცნიერო მოღვაწეობას მიჰყო ხელი და ერთ-ერთი პირველი დამოუკიდებელი უნივერსიტეტი „აჭარაც“ დაარსა 1992 წელს.

ყველა სპორტსმენი ფეხბურთს თამაშობს და აბა, უფეხბურთოდ როგორ დავტოვებდი ჩემს სტუდენტებსო — მითხრა ბატონმა ოთარმა.

უნივერსიტეტში სპორტის უამრავ სახეობაში არსებობს გუნდები. ფეხბურთში, კალათბურთში, მკლავჭიდში, ჭადრაკში, მძლეოსნობაში მიღწეული შედეგებით „აჭარა“ სტუდენტური დღეების გრანპრის მფლობელი გახდა. არადა, ჩვენს ქვეყანაში სამასამდე უმაღლესი სასწავლებელია...

მინიფეხბურთელთა გუნდს ოთარ შარაძე უნივერსიტეტის სიამაყედ თვლის. თავისი სტუდენტების სიძლიერეში დარწმუნებული რექტორი თამამად აცხადებს — შეგვიძლია საქართველოს ნაკრებს ღირსეულად გავეჯიბროთო. „აჭარის“ წინამძღოლი კავშირებს ამყარებს თურქეთის, პოლონეთის, საფრანგეთის უნივერსიტეტებთან და სამომავლოდ სტუდენტთა იქ მივლინებასთან ერთად სპორტული ღონისძიებების ჩატარებასაც გეგმავს.

გადაწყვეტილი ამბავია — „აჭარის“ გუნდი საქართველოს მინიფეხბურთის პირველობაზე იასპარეზებს.

ფეხბურთით დავიწყეთ ლაპარაკი და ფეხბურთით დავასრულეთ. მართლაც უცნაური ხალხია. აუხდენელ ოცნებას არა და არ გამოეთხოვნენ, ვერც შეძლებდნენ. ფეხბურთი მათთვის უსაზღვრო სიყვარულია და სიყვარულთან განშორება, განა ადვილია?

ხვალ კვლავ დილაადრიან გავალთ „სარბიელის“ საყიდლადო...

გამომშვიდობებისას მითხრეს — არ დაიკარგო, შემოგვიარე-ხოლმეო. აბა, ამ ხალხის დავიწყება შეიძლება?...

**ხვიჩა სანიძიძე**

# რა სარგებელი აქვთ სომხებს?

**საქართველო 20:3 სომხეთი**

1:0 სოლოღაშვილი, 2:0 ზამბახიძე, 3:0 თოთლაძე, 3:1 არუნუნიანი (პ), 4:1 სოლოღაშვილი, 5:1 სოფოევი, 6:1 დევდარიანი, 7:1 ტყავაძე, 8:1 ალექსიძე, 9:1 თოთლაძე, 10:1 სოფოევი, 10:2 არუნუნიანი, 11:2 ტყავაძე, 12:2 რუსაძე, 13:2 ზამბახიძე, 14:2 ტყავაძე, 15:2 რუსაძე, 16:2 დევდარიანი, 17:2 თოთლაძე, 18:2, 19:2 ტყავაძე, 19:3 სარქისიანი, 20:3 რუსაძე

**საქართველო:** ზაკაიძე (ხელაძე); ალექსიძე, ალთუნაშვილი, ძაბირაძე, ზამბახიძე, თოთლაძე, სოფოევი, დევდარიანი, ტყავაძე, სოლოღაშვილი, რუსაძე

**მსაჯები:** თ. ლაცაბიძე (საქართველო), ვ. ხაჩატრიანი (სომხეთი)

**კომისარი:** ნ. ამირეჯიბი

რაცა ვართ, ესა ვართ. მოდი და ნუ გაიკვირვებ, ქართველებმა დანდობა არ ვიცითო. ამას გინდა ქართული ტემპერამენტი დაარქვი და გინდა იბერიული მჩქეფარე სისხლი. გუშინ მართლა შემეცოდნენ ჩვენი მეზობლები. როგორი ამბავია, შინიდან დედაბუდიანად აიბარგო, ამხანაგური თამაშის წყურვილი გკლავდეს და სამარცხვინო შედეგით წააგო.

გუშინდელ მეორე შეხვედრას საქართველოსა და სომხეთის მინიფეხბურთელთა შორის პირობითად თუ ვუწოდებთ ამხანაგურს, თორემ...

რა ხასიათზე იქნებოდნენ სომხები მატჩის ბოლოს, ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს, მაგრამ არც მთლად ასე ყოფილა საქმე. გასახდელში მიმავალნი სიცილით იხოცებოდნენ, მწვრთნელი კი ერთთავად იმას გაიძახოდა, რა უნდა ვქნათ, გუნდის ხარვეზები ნათლად გამოჩნდა, დიდი გამოცდილება შევიძინეთო. გამოცდილებისა რა გითხრათ, მაგრამ გუშინ დავრწმუნდი, ჩვენი მეზობლები მინი-ფეხბურთის აზრზე არ არიან. ჰოდა, წარმოიდგინეთ მათ ფონზე მობურთალი ქართველები. ამიტომაც იყო, რომ სომხების კარში ბურთები პანტაპუნტით გადიოდა.

ალბათ აჯობებს, სომხეთის ყველა რანგის ნაკრებმა თუ კლუბმა ცოტა ხნით მაინც თავი შეიკავოს და ქართველებს აღარ გაეჯიბროს. რაც ორივე ქვეყანა დამოუკიდებელი გახდა, იქიდან მოყოლებული, ქართველები სადაც შეხვდნენ სომხებს, ყველგან დაამარცხეს, გინდ ნაკრები ყოფილიყო ეს და გინდ კლუბი. თუმცა ერთი გამონაკლისიც არსებობს, ამ ცოტა ხნის წინ არ იყო, თბილისს „ერევანი“ რომ ესტუმრა, ჩვენებურ „დინამოს“ ამხანაგურად ეთამაშა, 0:0 გაუგორა და სომხები კმაყოფილნი გაბრუნდნენ სამშობლოში?

როგორც ჩანს, ჩვენს მეზობლებს ისტორია არ ანაღვლებთ, თუ რატომ, ახლავე გეტყვით. მეზობლები თბილისს კიდევ ეწვევიან. ამჯერად სტუმარი მინი-ფეხბურთის ორი კლუბი იქნება. ისინი შესაბამისად ბაღდათის „ბაასს“ და თბილისის „ქორებს“ შეხვდებიან ამხანაგურად, გამოცდილების მიღება კი ისევ და ისევ ქართველებისგან სურთ.

ერთიც, მინი-ფეხბურთის წესები ერთ ასპექტში კალათბურთისას ჰგავს იმ განსხვავებით, რომ თუ კალათბურთში შვიდი გუნდური ჯარიმის მიღებისას ინიშნება საჯარიმო სროლა, აქ ეს ექვსის შემდეგ ხდება. გუნდებს პენალტების დარტყმის უფლება ეძლევათ.

ექვსი საჯარიმო ფოლის დაგროვების შემდეგ თუ მოწინააღმდეგე გუნდი პენალტის ნიშნულის შიგნით დაჯარიმდება, მაშინ ფეხბურთელს მისი რეალიზება იმ ადგილიდან შეეძლება, სადაც ჯარიმა დაფიქსირდება, თანაც ისე, რომ დუელი მხოლოდ მეკარესთან ექნება. თუ ჯარიმა ნიშნულის გარეთაა, მაშინ პენალტი ზუსტად ამ წერტილიდან უნდა შესრულდეს. ჰოდა, დაუგროვდა ორივე გუნდს პირველ ტაიმში 6-6 ჯარიმა და ქართველებიც და სომხებიც პენალტებში გაიწაფნენ, თუმცა ამას სომხებზე ნამდვილად ვერ ვიტყვი. მათ ექვსჯერ მოიპოვეს ამის უფლება და მხოლოდ ერთხელ გამოიყენეს. დანარჩენ შემთხვევებში ჩვენებურთა მეკარე ზაკაიძე ყოჩაღობდა.

ერთი სიტყვით, ქართველთა და სომეხთა ამხანაგურ პაექრობაზე იმის თქმა შეიძლება, რომ მწვრთნელმა ლევან ყიფიანმა სადებიუტო მატჩები კი მოიგო, მაგრამ ფაქტია, მეტოქე არასათანადო დონისა გახლდათ, მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ციკლისთვის უკეთ მოსამზადებლად სომხეთის დარ გუნდებთან სპარინგი ჩვენებურთ არაფერში წაადგებათ.

ამასვე ფიქრობენ საქართველოს მინიფეხბურთის მესვეურნიც. როგორც ქვეყნის მინი-ფეხბურთის ასოციაციის პრეზიდენტმა, გურამ დურგლიშვილმა, შეხვედრის ბოლოს გვითხრა — ფაქტობრივად გადაწყვეტილია ნაკრების რუსეთში გამგზავრება ათდღიან შეკრებაზე და ამხანაგური მატჩების გამართვა იქაურ ძლიერ კლუბებთან, როგორებიცაა მოსკოვის „დინა“ და „სპარტაკი“. გარდა ამისა, გვსურს, თბილისში ჩავატაროთ საერთაშორისო ტურნირი, „პრეზიდენტის სახელობის თასი“, სადაც ძლიერი ქვეყნების მოწვევას ვვარაუდობთ — რუსეთი, საფრანგეთი, იტალია, უკრაინა. გვინდა, რაც შეიძლება მაღალ დონეზე მოვემზადოთ, რათა შესარჩევ ციკლს წელში გამართულნი შევხვდეთ, რომ შემდეგ გვატემალაში გამართულ მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე ვიასპარეზოთ.

მოგეხსენებათ, მინი-ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციას ქვეყანაში დარბაზის ფეხბურთის პოპულარიზაციის მიზნით ჯგუფის შესარჩევი მატჩების თბილისში გამართვა შევთავაზეთ. თუ სასწაული არ მოხდა, ალბათ, დაგვყაბულდებიან კიდეც.

მინი-ფეხბურთის ასოციაციამ თავისი გულისტკივილი და საწუხარიც გაგვანდო. ფაქტობრივად ნაკრები ენთუზიაზმის ხარჯზე არსებობს, სწორედ ამ ენთუზიაზმით ტარდება ეროვნული ჩემპიონატი და ამხანაგური თუ ოფიციალური მატჩებიც. ამ გუნდს, დაარსებიდან დღემდე, არანაირი ჯამაგირი არ მიუღია. სახელმწიფოსგან დახმარება არ გვაქვს, სავალალო მდგომარეობაში ვართ, მაგრამ მაინც ვარსებობთ. ისევ და ისევ ჩვენი და მეგობარ-ახლობლების შემოწირულობებით ვსულდგმულობთ. ნაკრებს სპონსორიც კი არ ჰყავს. ერთი სიტყვით, ჩვენივე ფულით გაგვაქვს თავიო.

ასეა, დიდი ფეხბურთისგან განსხვავებით, მინიფეხბურთელები მიყოლებით იგებენ თამაშებს, ევროპის ჩემპიონატის ფინალური ეტაპიც დააჭაშნიკეს და ახლა მსოფლიოსკენ უჭირავთ თვალი. დამხმარე კი არ ჩანს.

**გიორგი ვაშაძიძე**

# ორჯერ ფეხბურთელი



აკაკი კაკაშვილი

მეათე ეროვნული ჩემპიონატის პირველ ტურში თბილისის „დინამო“ ლიგის დებიუტანტ „არსენალს“ მასპინძლობდა. მე-6 წუთზე ერთ დროს დინამოელმა გია ფირცხალავამ მარჯვენა ფლანგზე გარღვევა განახორციელა და ბურთი საჯარიმოში ჩააწოდა, იქ ყველას არმიელთა მეათე ნომერმა აჯობა და ზუსტი თავურით „არსენალი“ დააწინაურა. გოლის ავტორ აკაკი კაკაშვილის იმ დღეს პირველ ლიგაში დებიუტი ჰქონდა. ის გოლი მეათე ჩემპიონატში პირველი აღმოჩნდა. კაკაშვილმა მომდევნო ტურებშიც გამოიჩინა თავი და ერთი ხანობა ბომბარდირებშიც გაერია, თუმც შემდგომ დაიწყო დანავსული პერიოდი...

ფეხბურთელებს კარიერის მანძილზე უამრავი ბარიერის გადალახვა უხდებათ. არც, კაკაშვილი ყოფილა გამონაკლისი. მან მართლაც რთული გზა განვლო. თამამად შეიძლება ითქვას, იგი ორჯერ მივიდა ფეხბურთში. ერთხელ, როცა სულ პატარამ „ავაზაში“ შეაბიჯა, მეორედ კი მაშინ, როცა ორწლიანი შესვენების შემდეგ კვლავ დაიწყო ვარჯიში. ის გაცდენილი ორი წელი რომ არა, მასზე დღეს იქნებ სულ სხვანაირად დაგვეწერა. მით უმეტეს, რომ 24 წლის ფეხბურთელს ბევრი სპეციალისტი კვლავაც კარგ მომავალს უწინასწარმეტყველებს.

აკაკი კაკაშვილთან ინტერვიუ იმ პერიოდის გახსენებით დავიწყეთ, როცა იგი ფეხბურთს დროებით ჩამოშორდა.

— 17 წლის ვიყავი, როცა ფეხბურთზე გული ამიცრუვდა და თამაში მოვატოვე. გულის აცრუების მიზეზი ის იყო, რომ მწვრთნელებმა რამდენიმე გუნდში ჩემს ნაცვლად ისეთი ფეხბურთელები აიყვანეს, რომელთაც გაცილებით ვჯობდი, რატომ ხდებოდა ასე, ვერ გეტყვით. ალბათ, გარეშე ფაქტორებმა იქონიეს გავლენა. ამან ჩემზე დამთრგუნველად იმოქმედა და თამაშს თავი დავანებე. ორი წელი უფეხბუროთოდ ვცხოვრობდი, მაგრამ ბოლოს მეგობრებმა და ნათესავებმა იმდენი მიჩიჩინეს, გადაწყვეტილება შემაცვლევინეს. ასე დავბრუნდი ფეხბურთში.

**— პრობლემები არც გასულ სეზონში გაკლდათ. ჩემპიონატი კარგად დაიწყეთ, მერე კი შემადგენლობაშიც ველარ გხედავდით...**

— თავიდან ჩემს პოზიციაზე, თავდამსხმელად ვთამაშობდი, გოლებიც გამქონდა, მაგრამ შემდეგ ვითარება შეიცვალა. მწვრთნელებმა მარცხენა ნახევარმცველობა დამაკისრეს, ამ ადგილას თამაშს კი ვერ შევეგუე, რასაც მთავარ მწვრთნელ მამუკა გეგეჭკორთან მცირე კონფლიქტიც მოჰყვა. შედეგად სათადარიგოებში გადავინაცვლე.

**— ამის გამო გუნდიდან წასვლასაც აპირებდით?**

— კი, მაგრამ ბოლოს გეგეჭკორმა მითხრა, რაც იყო, იყო, ძველი წყენა წარსულს ჩავაბაროთო და მეც ძირითადში დავბრუნდი. ამ დროს ზაზა ზირაქიშვილი უკვე გუნდში იყო და ამიტომ თავდამსხმელების უკან დამაყენა, ამ პოზიციაზე თამაშს კი იოლად ავუღე ალღო.

**— მეორე წრეში არც ხელფასი აგიღიათ, არც პრემია, მიუხედავად ამისა, გავარდნის საფრთხე არ დაგმუქრებიათ და ჩემპიონატშიც მეცხრე ადგილზე გახვედით, რაც გმირობის ტოლფასია...**

— შეგვეძლო, ხელფას-პრემიის მიუღებლობის გამო უარი გვეთქვა თამაშზე და არ გავსულიყავით, მაგრამ რას მოვიგებდით ამით? სპორტსმენები ვართ, ჩვენ ჩვენი უნდა დავამტკიცოთ. ამიტომაც ყველა მატჩს მაქსიმალურ მზადყოფნაში ვხვდებოდით. ისე, მეტის მიღწევაც შეგვეძლო.

**— რამ შეგიშალათ ხელი?**

— ბევრმა ფაქტორმა, კერძოდ, გამოუცდელობამ, მწვრთნელთა ცვლამ, იგივე უფულობამ. ამ მიზეზების გამო უამრავი ქულა დავკარგეთ. მოგეხსენებათ, „არსენალი“ მეათე ჩემპიონატის დებიუტანტი გახლდათ, ფეხბურთელთა უმეტესობას პირველ ლიგაში ნათამაშევი არ გვქონდა, რამაც შედეგზე დიდი გავლენა იქონია, ისევე როგორც მწვრთნელების შეცვლამ. ჯერ იყო და კორღალიძის ნაცვლად გეგეჭკორი მოვიდა, მერე გეგეჭკორი ჩახავამ შეცვალა. ეს ყველაფერი ძალიან მოულოდნელად მოხდა, რამაც გუნდის ფსიქოლოგიურ განწყობაზე მნიშვნელოვნად იმოქმედა. ხელფასებზე და პრემიებზე არაფერს ვამბობ.

**— მინდორზე ძალიან ემოციური ჩანხართ. მსაჯებსაც ხშირად ეკამათებით...**

— მოედანზე მართლაც ძალიან ემოციური ვარ. გოლის გატანა, სულ ერთია ვის გავუტან, უზომოდ მახარებს. მსაჯების გადაწყვეტილებასაც ხმამაღლა ვაპროტესტებ. კომისრებმა გუნდის ხელმძღვანელები რამდენჯერმე გააფრთხილეს კიდეც, მიხედეთ, თორემ მინდვრიდან გაძევებას ვერ გადაურჩებაო, მაგრამ, რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, გასულ სეზონში ერთი ყვითელი ბარათიც არ მიმიღია. ისე, რაკი გოლი ვახსენეთ, გეტყვით, რომ ბურთის გატანაზე მეტად საგოლე პასისი გაკეთება მიყვარს, ეს უდიდეს სიამოვნებას მანიჭებს.

**— ქართულ ფეხბურთში რომ მძიმე მდგომარეობაა, ალბათ, დამეთანხმებით. გამოსავალს რაში ხედავთ?**

— უპირველეს ყოვლისა, ფინანსური მდგომარეობა უნდა გამოსწორდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში, არაფერი გვეშველება. ფეხბურთელი ვარჯიშსა და თამაშზე უნდა ფიქრობდნენ და არა იმაზე, როგორ არჩინონ ოჯახი. თუ კლუბები ფინანსურად გაიმართნენ, მაშინ ყველაფერი გამოსწორდება. [illegible] ლება. გუნდები შეკრებებზეც წავლენ და სეზონსაც მომზადებულნი შეხვდებიან.

**— მიწვევები თუ გაქვთ სხვა ქართული ან უცხოური კლუბებიდან?**

— ორი-სამი ჩვენებური კლუბი ახლაც მეპატიჟება, თუმცა, ალბათ, უარს ვიტყვი. ივლისის ბოლოს „არსენალთან“ კონტრაქტი მისრულდება, მაგრამ წლეულსაც აქ დავრჩები, რადგან დამპირდნენ, რომ ჩემს ყველა პირობას შეასრულებენ.

**— რა გარანტია გაქვთ, რომ ისევ ხელფასების მოლოდინში არ იქნებით?**

— კლუბის ხელმძღვანელობამ ცოტა ხნის წინ განგვიცხადა, რომ მომავალ სეზონში იგივე აღარ განმეორდება. ჩვენც ვენდობით მათ სიტყვას, რადგან როცა კი შეგვპირებიან, ყოველთვის შეუსრულებიათ. მჯერა, ახლაც ასე იქნება. ფინანსურმა პრობლემებმა თუ არ შეგვაწუხა, მერწმუნეთ, „არსენალი“ მეთერთმეტე ჩემპიონატში თავის სიტყვას იტყვის.

**— კლუბებზე ჩამოვარდა სიტყვა და რომელია თქვენი ოცნების გუნდი?**

— ოცნების გუნდი არ მყავს, თუმცა ბევრ მათგანში სიამოვნებით ვითამაშებდი. მაგალითად, „არსენალში“, ოღონდ ლონდონისაში. ასევე ძალიან მომწონს „მილანი“ და „ფიორენტინა“.

**— იდეალურ ფეხბურთელად ვინ მიგაჩნიათ?**

— საერთოდ მარადონა, დღესდღეობით კი ბატისტუტა. ორივეს უდიდეს ფეხბურთელებად ვთვლი.

ვანო ოქროპირიძე

# საზაფხულო მიდი-მოდი

| «ა» ზონა | წასულები | ახალწვეულები | მატჩები |
|---|---|---|---|
| **დინამო** *იოჰან ბოსკამპი* | ლ. მიქაძე (თბილისი), ა. მუჯირი, ტულუში (ბათუმი), გვარამაძე (კრილია სოვეტოვი, რუსეთი), სოლოლაშვილი (დილა), კვარაცხელია (თბილისი), მ. მაჭავარიანი, შ. ჩომახიძე (?) | ს. გიგაძე, ვ. გოგიაძე (იბერია), გ. შენგელია (დინამო), ქიქვეიშვილი, სიჭინავა, ხომერიკი (ბათუმი), ზ. ხიზანიშვილი, ხიზანიშვილი (თბილისი), თ. კობიაშვილი, შაშიაშვილი (თსუ), ლომაია (მერანი), დევაძე (ირონი, აშდოდი, ისრაელი) | ერევანი (სომხეთი) 0:0, ქაფაზი (აზერბაიჯანი) 1:1, ტორპედო 3:1, პოგარდენი (პოლანდია) 10:0, რაპიდი (რუმინეთი) 1:2, ჰერაკლესი (ჰოლანდია) 0:3 |
| **ლოკომოტივი** *მურთაზ ხურცილავა* | ზ. არჩვაძე (ბათუმი), დ. მუჯირი (შერიფი, მოლდოვეთი), კ. გოგოლაძე (ერევანი, სომხეთი), მარლიშვილი, ხორგუაშვილი (დილა), შ. ხუჯაძე (ტორპედო), კოტორაშვილი (ვიტ ჯორჯია), გოგობერიშვილი (ანჟი, რუსეთი), დოლაბერიძე, დაუშვილი, ქოიავა, გ. ლუდუშაური, ვ. კილასონია (?) | ტრაპაიძე, კალანდაძე, მ. ქობულაძე, შავგულიძე (კოლხეთი), დავითნიძე (მერანი), ალანაძე, გლუნჩაძე (სამგურალი), ვ. გველესიანი (არსენალი), ბარამიძე, გოლეთიანი (ლარნყალი), ოდიშარია (ცხუმი) | დილა 0:3, ცხუმი 5:0, თბილისი 2:1, 1:5 |
| **ბათუმი** *ჯანო კარნეველე* | თორლაშვილი (თამაში მიატოვა), ქიქვეიშვილი, სიჭინავა, ხომერიკი (დინამო), ვერემჩუკი (თბილისი), მაქაცარია, ყულეჯიშვილი (?) | ზ. არჩვაძე (ლოკომოტივი), გელა ქორიძე (მერანი), ტულუში, ა. მუჯირი (დინამო), ი. ბახტაძე (კოლეჯი) | კოლხეთი 4:1 |
| **ვიტ ჯორჯია** *სერგო კოტრიკაძე* | ვ. მასურაძე (ტორპედო), ვ. ქუთათელაძე, ერაძე, ლამბაშიძე, გვირჯიშვილი (თსუ), ქემოკლიძე (თბილისი) | კოტორაშვილი (ლოკომოტივი), ბ. ჩიტაია, გ. ჩიტაია (დილა), გ. მეტრეველი (აკადემია), თოდუა (იბერია) | დილა 2:1 |
| **არსენალი** *დავით ჩახავა* | ჩლაიძე (თბილისი), ვ. გველესიანი (ლოკომოტივი) | გონჩაროვი (თსუ), კუპატაძე, ვ. გაგუა, კვირკველია, კოხრეიძე (არსენალი-2) | არსენალი-2 4:2 |
| **სამგურალი** *რევაზ ბურკაძე* | აფციაური (ერევანი, სომხეთი), ბურნაძე (ვანსფორი, თურქეთი), მახვილაძე (ტორპედო), ალანაძე, გლუნჩაძე (ლოკომოტივი), ახალაძე (თსუ), გ. შენგელია (დინამო), გიორგობიანი (ლუჩი, რუსეთი), დარსაძე (იბერია), გ. კილასონია (?) | იობიძე (გურია), ბრეგვაძე, ფაიქიძე (სულორი), ჭყონია (?) | |
| **სიონი** *სპარტაკ არეშიძე* | ისიანი (თბილისი), ლ. ამბიძე (მერანი) ლ. გაგუა, გუგუნავა, ძნელაძე, კ. გოდერძიშვილი, დ. ბერიძე, ტყავაძე, ჩალაძე (?) | | |
| **თბილისი** *ოთარ კორღალიძე* | ზ. ხიზანიშვილი, ხიზანიშვილი (დინამო) | კვარაცხელია (დინამო), ხუციშვილი, ბაჯელიძე (მერანი), ლ. მიქაძე (დინამო), ქემოკლიძე (ვიტ ჯორჯია), ნი ჯურაძე, რ. ჩხაიძე (გურია), ზამთარაძე, ებრალიძე (თსუ), ისიანი (სიონი), ჩლაიძე (არსენალი), ვერემჩუკი (ბათუმი) | ლოკომოტივი 1:2, 5:1, დილა 1:1 |

| «ბ» ზონა | წასულები | ახალწვეულები | მატჩები |
|---|---|---|---|
| **ტორპედო** *დავით ყიფიანი* | კ. მეტრეველი, მაზანიშვილი (?) | ვ. მასურაძე (ვიტ ჯორჯია), შ. ხუჯაძე (ლოკომოტივი), მახვილაძე (სამგურალი), გოგიაშვილი (ჟემჩუჟინა, რუსეთი) | დინამო 1:3, დილა 5:1 |
| **კოლხეთი** *გია ტუღუშაავა* | მ. ქობულაძე, კალანდაძე, ტრაპაიძე, შავგულიძე (ლოკომოტივი), ე. გვასალია (ერევანი, სომხეთი), ამაშუკელი, ჩადუნელი (?) | მერკვილიშვილი (მარგვეთი), შ. ჩხენკელი, ქუნთელია, ჯლამაძე (ტრავმის გამო არ თამაშობდნენ), რ. ჩხენკელი, ბურჭულაძე, გ. ჭანტურია (კოლხეთი 2), ჯღარკავა (ფაზისი) | ცემენტარნიცა (მაკედონია) 2:4, 0:4, ბათუმი 1:4 |
| **მერანი** *სერგო გაბელაია* | ლომაია (დინამო), გელა ქორიძე (ბათუმი), ხუციშვილი, ბაჯელიძე (თბილისი), დავითნიძე (ლოკომოტივი), გ. კვეტენაძე, ბ. ამბიძე (?) | კ. სვანიძე (გურია), როსტიაშვილი (თსუ), საბიაშვილი, ნაჭყეპია (ლარნყალი), პ. ლურსმანაშვილი (ოდიში), ლ. ამბიძე (სიონი), ნ. ყიფიანი (თამაში მიტოვებული ჰქონდა) | |
| **იბერია** *ხოხო ფრუიძე* | ს. გიგიაძე, ვ. გოგიაძე (დინამო), თოდუა (ვიტ ჯორჯია), გ. დოლიძე (?) | დარსაძე (სამგურალი) | |
| **დილა** *მერაბ ხუციშვილი* | ბ. ჩიტაია, გ. ჩიტაია (ვიტ ჯორჯია), მდივანი (?) | სოლოლაშვილი (დინამო), მარლიშვილი, ხორგუაშვილი (ლოკომოტივი) | ვიტ ჯორჯია 1:2, ლოკომოტივი 3:0, ტორპედო 1:5, თბილისი 1:1 |
| **გორდა** *იასონ ალადაშვილი* | რ. მახარაძე (მერცხალი), სიდამონიძე, ვ. მაჭავარიანი, კალმახელიძე, პ. მესხი (?) | ბუკია (თსუ), გ. ხიზანიშვილი (აკადემია) | ხალიბი 5:2 |
| **თსუ** *კოტე დოლიძე* | თ. კობიაშვილი, შაშიაშვილი (დინამო), ბუკია (გორდა), ზამთარაძე, ებრალიძე (თბილისი), გონჩაროვი (არსენალი), როსტიაშვილი (მერანი), ჭუმბურიძე (?) | ახალაძე (სამგურალი), ვ. ქუთათელაძე, ერაძე, ლამბაშიძე, გვირჯიშვილი (ვიტ ჯორჯია), შ. მახარაძე (გურია) | |
| **ხობი** *ფრიდონ გოცირიძე* | ონიანი (ნისტრუ, ოტაჩი, მოლდოვა), ლ. გვაზავა (?) | | |

**შენიშვნა: ტრანსფერთა უმრავლესობა ჯერჯერობით საბოლოო არ არის**

# ზოგი დეზებით, ზოგი უნაგირით

საქართველო კონტრასტების ქვეყანაა — ზოგი ადის, ზოგი ჩადის, ზოგს მზე ჭრის თვალებს და ზოგისთვის ჯერაც არ გათენებულა. სულ ასე არ იყო? ვინ უნაგირით იბადებოდა და ვინ დეზებით. „ოლიმპიკის" საფეხბურთო სკოლაში მისულს „მერანის" სავარჯიშო ინვენტარი მომხვდა თვალთ და „დინამოს" ბოსკამპური პირობები გამახსენდა. სხვას არაფერს შევადარებ — ბოსკამპი ვარჯიშისთვის სამოც ბურთს ითხოვს, სერგო გაბელაიას მხოლოდ სამი ჰქონდა, იოჰან მრისხანე ჰოლანდიაში ხავერდივით ბალახზე მოძღვრავს შეგირდებს, გაბელაიას კი ლამისაა ქვიშიანი კარიერის გენერლებად ექცეს ფეხბურთელები „ოლიმპიკის" ბაზაზე...

ერთი სიტყვით, პირველი ჯგუფის მოწინავე გუნდი მეტის ღირსია, მაგრამ... ამაზე ხომ დასაწყისშიც ვილაპარაკეთ.

მიუხედავად ასეთი პირობებისა, „მერანს" ბუზებივით ეხვევიან მოთამაშეები — ზუსტად 39 დავითვალე გუშინ დილით 10 საათზე ვარჯიშისას და თუ მერანელებს დავუჯერებთ, ხუთი-ექვსი კაცი კიდევ მოსასვლელია.

ახალწვეულთაგან უმეტესობა 1980-81 წლებში დაბადებული ბიჭები არიან, რომელთაც ერთ-ორ წელიწადში პირველი ჯგუფის დონეზეც თავისუფლად შეეძლებათ თამაში, მაგრამ მანამდე მოცდა მოუწევთ — ეს „მერანის" მწვრთნელ სერგო გაბელაიას სიტყვებია.

ამათ გარდა კიდევ თხუთმეტამდე ფეხბურთელი გაუშვია ბატონ სერგოს გუნდიდან. ისინი ჩემს მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებდნენო, გვითხრა მწვრთნელმა.

მეათე ჩემპიონატში მოთამაშეთაგან „მერანი" ლომაიამ, ხუციშვილმა, ბაჯელიძემ, გელა ქორიძემ და დავითნიძემ დატოვეს, ამათგან პირველი სამი „დინამოს" საკუთრება გახლდათ და იმათაც ფეხბურთელები უკან დაიბრუნეს...

— ისე გამოგვდის, სხვა გუნდებს ვუზრდით ფეხბურთელებს, ამიერიდან ასე აღარ იქნება, აქცენტს ახალგაზრდა ფეხბურთელებზე კი გავაკეთებთ, მაგრამ მათ რომელიმე გუნდიდან ნათხოვრობას მოვერიდებით — ესეც გაბელაიამ გვითხრა.

უკვე ცნობილი ფეხბურთელებიდან ყოფილი თსუ-ელი როსტიაშვილი, აწ დაშლილი „ლარწყალის" მოთამაშეები — მეკარე ნაჭყეპია და საბიაშვილი და შუა აზიაში ბედნაძიები პაატა ლურსმანაშვილი შევნიშნეთ. გაურკვეველია ბახვა ამბიძის საკითხიც — თუ მან უცხოური კლუბი ვერ მოძებნა, ისევ „მერანს" დაუბრუნდება.

ორმოცამდე ფეხბურთელი კი ვარჯიშობს ახლანდელ „მერანში", მაგრამ აქედან გუნდში დარჩენა თხუთმეტიოდე კაცს თუ აქვს გარანტირებული. ამათგან ათამდე მცველია, ორი მეკარე, ორი ნახევარმცველი და ორიც თავდამსხმელი. სერგო გაბელაია დამცველების რიცხვის გაზრდას აღარ აპირებს, ყველაზე მეტი სამუშაო კი ნახევარდამცველებთან მექნება. ჯერ შეგულებული ფეხბურთელებია მოსაწვევი, მერე კი კომპლექტაციასაც მივხედავო — თქვა მან.

რაც შეეხება ფინანსურ სიტუაციას, იგი „მერანში", როგორც ყოველთვის, ნორმალურია, ერთი დღითაც არ გვიანდება ხელფასი და პრემია. კონტრაქტებიც მინიმუმ ერთწლიანი ფორმდება და სათამაშო ეკიპირებასაც სეზონის წინ დროულად შეუძენენ მოთამაშეებს. მეთერთმეტე ეროვნულ ჩემპიონატშიც ტრანსპორტელები ტრადიციული, შავ-წითელი და მწვანე ტრუს-მაისურით ითამაშებენ.

ორიოდე სიტყვა ვარჯიშებზეც. „მერანი" მონაცვლეობით ივარჯიშებს „ოლიმპიკზე", „სინათლეზე" და თბილისის ზღვაზე. ჯერჯერობით ერთჯერადი ორსაათიანი ვარჯიშებია, რომლებზეც სპეციფიკურ სწრაფგამძლეობაზე მუშაობენ მოთამაშეები, მერე კი არასპეციფიკური ვარჯიშებიც დადგება დღის წესრიგში. მართალია, ინვენტარისა და ხეირიანი სავარჯიშო ბაზის უქონლობის გამო ვარჯიშები მომაბეზრებელია, მაგრამ გაბელაიას სისტემას ინტენსიურობით ბევრი ვერ დაიწუნებს.

— საერთოდ, ბედნიერია ის მწვრთნელი, ვისაც არჩევანის საშუალება აქვს და ამავე დროს გარკვეული კლასის მქონე ფეხბურთელებთან უხდება მუშაობა. მოგეხსენებათ, წინა ჩემპიონატის პირველ წრეში „მერანი" შედარებით სუსტი იყო, მეორეში კი გუნდმა გაილაღა და სწორედ მაშინ იჩინა ჩემმა შრომამ თავი. ვატყობდი, რომ თავიდან გოლების გატანა გვიჭირდა, მოვიყვანე თოლორდავა, ცხონებული ჯუბა ჩუხუა და გუნდის კარგი თამაშიც გოლებით უპირატესობაში გამოიხატა — დავამარცხეთ „ტორპედო", „ბათუმი", სხვებზე არას ვამბობ და რომ არა პირველ წრეში გუნდის შეთამაშებაზე დახარჯული დრო და შრომა, ოთხეულშიც მოვხვდებოდით — ესეც სერგო გაბელაიას სიტყვებია.

საკონტროლო თამაშიც ჩაატარა „მერანმა". მისი მეტოქე „ცხუმი" გახლდათ და ტრანსპორტელებმა 4:2 დაამარცხეს მოწინააღმდეგე.

დაგეგმილია სხვა შეხვედრებიც. სულ სეზონის განახლებამდე 12 საკონტროლო მატჩს ითამაშებს „მერანი", მათგან სამის თარიღი და მეტოქე გარკვეულია — 16, 17 და 20 ივლისს მერანელები შესაბამისად „ლოკომოტივს", „ცხუმს" და „თბილისს" ეთამაშებიან, ჩვენს იქ ყოფნაში „ზოოვეტთანაც" მიმდინარეობდა მოლაპარაკება, ეს მატჩი სავარაუდოდ 22 ივლისს გაიმართება. დარჩენილ შეხვედრებს რაც შეეხება, მწვრთნელი გადაწყვეტს, სად და ვისთან გამართოს. ძირითადი შემადგენლობის ხერხემალი სეზონის დაწყებამდე ორი კვირით ადრე ბოლო სამ საკონტროლო შეხვედრაში გამოიკვეთება. კონკურენციის ბოროტი ხელი მხოლოდ მეკარეებს — ნაჭყეპიასა და კოროშინაძეს არ შეეხებათ, ისიც მაშინ, თუ „დინამოდან" გიორგი ლომაია არ დაბრუნდა, სხვებს კი ჯერაც ბევრის დამტკიცება მოუწევთ.

და ერთი სიურპრიზიც — „მერანში" ნიკა დავითის ძე ყიფიანს დაუწყია ვარჯიში. მასზე როგორც ნიჭიერ ახალგაზრდა ფეხბურთელზე, ჯერ კიდევ ხუთი წლის წინ იწერებოდა, მაგრამ მერე...

ათიოდე დღეში ნიკა ყიფიანის საფეხბურთო ბედიც გაირკვევა და დანარჩენიც მერე იყოს.

მანამდე კი „მერანი" მეთერთმეტე ეროვნულისთვის ემზადება. ტრანსპორტელებს ევროსაგზური ამოუჭრიათ გულში. ისინი თავისას ეცდებიან, ვნახოთ...

სურვილი დიდია, პირობები — ისე რა, ქართული, ზოგჯერ ქართულთანაც შეუსაბამო, მაგრამ ცხოვრებაშიც ასე არ არის? ზოგი უნაგირით იბადება, ზოგი დეზებით.

თუმცა ამაზე დასაწყისშიც ვთქვით.

**კონსტანტინე გოგიშვილი**

ბადრი ქვითაიშვილის ფოტო



ამჟამად სერგო გაბელაიას განკარგულებაში ორმოცამდე ფეხბურთელია, სეზონის დასაწყისისათვის მათი რიცხვი განახევრდება



რევაზ ნაჭყეპია და მალხაზ ჭინჭარაული მძლეოსნური ვარჯიშისას



ნიკა ყიფიანი შესაძლო თანაგუნდელების გარემოცვაში

ბადრი ქვითაიშვილის ფოტო



REUTERS

ეს-ესაა ფერნანდო მაგალიანესმა მეხუთე პენალტიც გაუტანა ჩილეს

39a. Copa América Paraguay '99

# მოდით, დავარტყათ პენალტები!

### ნახევარფინალი

**ურუგვაი 1:1 (პენ 5:3) ჩილე**

1:0 ლემბო (23), 1:1 სამორანო (63)
27-ე წუთზე სალასმა (ჩილე) ვერ გაიტანა პენალტი
პენალტები გაიტანეს: დელ კამპო, გიგოუ, ალონსო, სალაიეტა, მაგალიანესი (ურუგვაი), ვარგასი, პისარო, რეიესი (ჩილე)
პენალტი ვერ გაიტანა: აროსი (ჩილე)
ურუგვაი: კარინი, დელ კამპო, პიკუნი, ლემბო, ბერგარა (კალიეხასი 81), კოელიო, ფლეურკინი (გიგოუ 65), გარსია, მაგალიანესი, სალაიეტა, ალვესი (ალონსო 52)
ჩილე: მარსელო რამირესი, ვარგასი, რეიესი, მიგელ რამირესი, აკუნია, პალასიოსი, აროსი, ესტეი, სიერა (პისარო 73), სამორანო (გონსალესი 89), სალასი
გაფრთხილება: ესტეი (55), პალასიოსი (63), აროსი (68), გარსია (73), სამორანო (74), პიკუნი (74)
მსაჯი: უბალდო აკინიო (პარაგვაი)

მიმდინარე სამხრეთ ამერიკის ჩემპიონატი მთლიანობაში კარგია, მაგრამ ნახევარფინალი... ასეთი დაბალი დონის და ამაზრზენი ფეხბურთი „კოპა ამერიკაზე" ჯერ არ ყოფილა.

ახლა რომ ვთქვათ, ცუდი ნახევარფინალი იყო, მაგრამ დაძაბულობა თან სდევდაო, უადგილო იქნება. ნახევარფინალში ფინალისტი ირკვევა და დაძაბულობა ყოველთვის თან სდევს.

გამარჯვებულის გამოსავლენად ახლაც პენალტების სერია გახდა საჭირო — მეოთხედფინალებში საუკეთესო მესამეადგილოსნების სტატუსით გასულმა ჩილემ და ურუგვაიმ ძირითად დროში ძლიერი ვერ დაადგინეს და საფეხბურთო ლატარიაც გაითამაშეს. დამატებითი დრო არ ყოფილა — მას მიმდინარე გათამაშების წესდება არ ითვალისწინებს. დასრულდება ფრედ მატჩი და თუ გამარჯვებულის გამოვლენაა საჭირო, პირდაპირ პენალტებს ურტყამენ.

მე თუ მკითხავთ, ჩილე უკეთესი გუნდია თუნდაც იმიტომ, რომ მასში მარსელო სალასი და ივან სამორანო თამაშობენ. კიდევ იმიტომაა ჩილე ურუგვაიზე კარგი, რომ მეტოქესთან შედარებით ლაღ ფეხბურთს თამაშობს, ბოლომდე იბრძვის, ურუგვაი კი... გაიტანს გოლს და უყარე კაკალი — თუ რაიმე სასწაული შანსი არ მიეცა, მოედნის ცენტრს იქით ნაბიჯს არ გადადგამს.

ყველაფრის მიუხედავად, ჩილე დამარცხდა. დამარცხდა იმიტომ, რომ მეტოქეს უფრო სხარტი მეკარე ჰყავს და უფრო მტკიცე ნერვების მქონე ფეხბურთელები. ჩილელთა მარცხის მიზეზი ისიცაა, რომ ბოძებულ შანსს ვერ იყენებენ — როცა ნახევარფინალში შენს სასარგებლოდ პენალტი ინიშნება, აუცილებლად უნდა გაიტანო. თუ ამის თავი არ გაქვს, მაშინ არ ყოფილა შენი ადგილი ფინალში და ეგაა. როცა არ შეგიძლია მეკარესთან პირისპირ მყოფმა მოწინააღმდეგე მოატყუო და გოლი გაიტანო, პრეტენზიები არ უნდა გამოთქვა. შეხვედრის შემდეგ არ უნდა წუწუნებდე, მსაჯმა არაობიექტურად განსაჯა, იქ შეცდა, აქ კი მეტოქეს მიემხროო.

27-ე წუთზე ჩილელთა თავდამსხმელი მარსელო სალასი, რომელმაც ჯგუფური ტურნირის ბოლო მატჩი და მეოთხედფინალი ორმატჩიანი დისკვალიფიკაციის გამო გამოტოვა, ურუგვაელთა საჯარიმოში წაიქცა. პარაგვაელმა მსაჯმა პენალტი დანიშნა. ანგარიში ამ დროს 1:0 იყო ურუგვაელთა სასარგებლოდ. სალასს რომ გაეტანა, ყველაფერი თავიდან დაიწყებოდა. ურუგვაის აშკარად სულთმბორგავ გუნდს ნამდვილად გაუჭირდებოდა მეტოქის თავდასხმის შეჩერება და ვინ იცის, იქნებ ფინალში ჩილეც გასულიყო, მაგრამ...

სალასის დარტყმის შემდეგ ბურთი ძელს მოხვდა — შესაბამისად ლემბოს მიერ ოთხი წუთით ადრე გატანილი გოლი არ გაიქვითა. ყველაფრის თავიდან დაწყება ჩილეს უწევს, ურუგვაი კი არჩეული ტაქტიკით ბრძოლას აგრძელებს და გამარჯვებისკენ მიიწევს.

უსახური მატჩი იყოო, ვთქვით. აბა, რა უნდა უწოდო თამაშს, სადაც ხშირია უხეშობა, რომელშიც ბურთი მხოლოდ მოედნის ცენტრში ტრიალებს და ყველაზე სახიფათო მომენტად (ცხადია ვერგატანილი პენალტის გარდა) საჯარიმო დარტყმის შემდეგ ხარიხას მოხვედრილი ბურთი ითვლება. მხოლოდ ამ დროს აღელდნენ მაყურებლები, სხვა მხრივ კი არაფრით გამორჩეული თამაში გახლდათ, აშკარად კარგი „კოპა ამერიკას" უცუდესი თამაში.

63-ე წუთზე ბებერი ლომი ივან სამორანო ანგარიშს ათანაბრებს. ჩილეს ნაკრების ლიდერი, რომლის გოლმაც გუნდი ნახევარფინალში გაიყვანა, სიერას საჯარიმოდან ჩაწოდებულ ბურთს პირველი შეეგება და ბურთი ბადეში გაახვია. არც ამის შემდეგ შეიცვალა სიტუაცია — ყველაფერი ისევ ძველებურად, უინტერესოდ გაგრძელდა.

საბოლოოდ, როგორც გითხარით, საქმე პენალტების სერიაზე მიდგა და ფინალისტიც გაირკვა — ურუგვაი 1995 წლის შემდეგ პირველად გავიდა „კოპა ამერიკას" ფინალში. მაშინ ტურნირს თავად ურუგვაი მასპინძლობდა და მათ ფინალში ბრაზილიელებს პენალტების სერიაში მოუგეს.

ჩილელებთან გამარჯვების შემდეგ ურუგვაელთა ლიდერმა მარსელო სალაიეტამ განაცხადა, გამარჯვების საიდუმლო ერთსულოვნებაშია, ჩვენ ხომ ვიქტორ პუას გულისთვის ვთამაშობთო. ვიქტორ პუა ურუგვაელთა მწვრთნელია და „კოპა ამერიკას" დასრულებისთანავე თანამდებობას არგენტინელ დანიელ პასარელას დაუთმობს.

...შეხვედრის ყველაზე საინტერესო მომენტი, ალბათ, ჩილელთა მწვრთნელ ნელსონ აკოსტას გაძევება იყო. მსაჯის მოქმედებით აღშფოთებულმა აკოსტამ ალბათ შეურაცხყო კიდეც აკინიოს, რის გამოც შეურაცხყოფილმა არბიტრმა იგი გააძევა. იმის ნაცვლად რომ აკოსტა სათადარიგოთა სკამიდან ტრიბუნაზე აეყვანათ, პოლიციამ მწვრთნელს საერთოდ დაატოვებინა სტადიონი.

ძალიან უცნაური გუნდია ურუგვაი. მიუხედავად იმისა, რომ ევროპაში მოთამაშე ლეგიონერთა უმეტესობა გუნდში არაა, ურუგვაი ფინალში გავიდა. ისიც საყურადღებოა, რომ ურუგვაიმ პარაგვაიში ნათამაშევი ხუთი მატჩიდან მხოლოდ ერთი მოიგო. მიუხედავად ამისა, ფინალშია. გუნდი ვართო მათ უნდა თქვან.

**ლაშა გოდუაძე**



REUTERS

ჩილელთა მწვრთნელი ნელსონ აკოსტა გააძევეს და დაიჭირეს კიდეც

| ბომბარდირები | |
|---|---|
| რონალდო (ბრაზილია) | 4 |
| ამოროზო (ბრაზილია) | 3 |
| სანტა კრუსი (პარაგვაი) | 3 |
| ბენიტესი (პარაგვაი) | 3 |
| პალერმო (არგენტინა) | 3 |
| ერნანდესი (მექსიკა) | 3 |
| სალაიეტა (ურუგვაი) | 3 |
| სამორანო (ჩილე) | 3 |



**ინგლისელი** მაიკლ დაბერი, გაჭიანურებული მოლაპარაკების შემდეგ, როგორც იქნა, „ლიდს იუნაიტედმა" შეიძინა. ლიდსელებმა მის სანაცვლოდ დედაქალაქურ „ჩელსის" 4,5 მილიონი გირვანქა გადაუხადეს, პლუს 200 ათასი გირვანქა, რომელსაც იორკშირული კლუბი ერთი წლის განმავლობაში არისტოკრატებს მისცემს. ოფიციალურად ყველაფერი მომავალ კვირას დასრულდება, რის შემდეგაც დაბერი თავის ახალ გუნდს შვედურ ტურნეში წაჰყვება.

**ინგლისურმა „ლივერპულმა" უარყო ხმები, თითქოს მიუნხენის „ბაიერნიდან" მარკუს ბაბელი შეიძინა. „ბაბელის გადაბირება ნამდვილად გვინდოდა, მაგრამ გერმანელ კოლეგებთან შეხვედრის შემდეგ მოლაპარაკება ერთი წლით გადაიდო" — განაცხადა ლივერპულელთა წარმომადგენელმა. შეგახსენებთ, რომ გასული სეზონის ბოლოს ბაბელით მადრიდის „რეალიც" დაინტერესდა. სამეფო კლუბის წარმომადგენლები გერმანიის ჩემპიონებს მის ფრანგ კრისტიან კარემბუში გაცვლას სთავაზობდნენ, მაგრამ გარიგება ჩაიშალა.**

**ბრაზილიურმა** „სანტოსმა" გუშინ საღამოს იტალიის დედაქალაქურ „რომას" ფაქსით აცნობა, რომ თანახმაა, რომაელების მიერ შეთავაზებული 15 მილიონი გირვანქის სანაცვლოდ მათ მარკო ასუნსაო მიჰყიდოს. თავად ასუნსაო მზად არის „რომასთან" ხუთწლიანი კონტრაქტი გააფორმოს.

**იტალიელი ნახევარმცველი ბენიტო კარბონე ინგლისურმა „შეფილდ უენსდეიმ" ტრანსფერზე დააყენა. შეფილდელები კარბონეს იმ შემთხვევაში გაყიდიან, თუ რომელიმე კლუბი მისთვის 5 მილიონ გირვანქას გაიღებს. იტალიელი ფეხბურთელი, რომელსაც ამჟამად არდადეგები აქვს, „შეფილდ უენსდეიმ" ორი წლის წინ 3,5 მილიონ გირვანქად მილანის „ინტერისგან" შეიძინა, იქამდე კი კარბონე „რეჯანას" და „პარმას" ღირსებას იცავდა.**

**უნგრეთის** ეროვნული ნაკრების თავდამსხმელი ატილა კორსოში ავსტრიულ „ზალცბურგში" გადავიდა. აღსანიშნავია, რომ 28 წლის კორსოში, რომელსაც ქვეყნის ეროვნული გუნდის ღირსება ხუთჯერ დაუცავს, „ზალცბურგისთვის" მესამე უნგრელი ფეხბურთელია, მეკარე ზაბოლიჩ საფართან და ნახევარმცველ პიტერ ლიპჩეისთან ერთად.

**ესპანურმა „მალიორკამ" ლა კორუნიის „დეპორტივოსგან" 1,2 მილიონ დოლარად არმანდო ალვარესი შეიძინა. ალვარესი, რომელმაც ახალ კლუბთან სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა, გასული სეზონის შემდეგ მალიორკელთა მეოთხე შენაძენია არგენტინული ტრიოს — ხერმან ბურგოსის, ხუან ხოსე სერისუელას და ხორხე კუინტეროს შემდეგ.**

# ჩემპიონიდან ჩემპიონში

EURO 2000
ჩვენი ჯგუფი

2000 წლის ევროპის ჩემპიონატის II შესარჩევ ჯგუფში საქართველოსთან ერთად მოასპარეზე სლოვენიის ეროვნული ნაკრების ლიდერი ზლატო ზაჰოვიჩი პორტუგალიის ჩემპიონ „პორტუდან" საბერძნეთის ჩემპიონ „ოლიმპიაკოსში" გადავიდა.

შეგახსენებთ, რომ ზაჰოვიჩით, რომელმაც საქართველოს ეროვნულ გუნდს თბილისში გოლიც გაუტანა, „ვალენსიაც" იყო დაინტერესებული, მაგრამ ესპანურმა მხარემ ლისაბონელებს სლოვენიელ ნახევარმცველში მხოლოდ 5 მილიონი დოლარი შესთავაზა, რაც მათ ეცოტავათ.

ამ გარიგების ფინანსური მხარე არ გახმაურებულა, მაგრამ თუ პორტუგალიურ საინფორმაციო წყაროებს დავეყრდნობით, ზაჰოვიჩი ბერძნებს 10 მილიონი დოლარი დაუჯდათ.

# ტიჯანი ჰარუნასთან



ტიჯანი ბაბანგიდა (მარცხნივ) ფეიენოორდელის წინააღმდეგ

**ამსტერდამის** „აიაქსის" ნიგერიელი თავდამსხმელი ტიჯანი ბაბანგიდა შესაძლოა ჰოლანდიურ კლუბს დაემშვიდობოს და პირინეის ნახევარკუნძულზე მადრიდის „ატლეტიკოში" გადავიდეს.

ესპანეთის თასის ფინალში დამარცხებული კლუბის ახალმა მწვრთნელმა, იტალიელმა კლაუდიო რანიერიმ სურვილი გამოთქვა ოლიმპიური ჩემპიონი ბაბანგიდა თავის კლუბში იხილოს. „ახალ სეზონს განახლებული, გაძლიერებული შემადგენლობით უნდა შევხვდეთ. კარგი იქნება თუ ისეთი სწრაფი და მოქნილი თავდამსხმელი, როგორიც ბაბანგიდაა ჩვენთან ითამაშებს" — განაცხადა მადრიდელთა მწვრთნელმა. კლუბის პრეზიდენტმა ხესუს ხილი ხილიმ ნიგერიელი ფეხბურთელის შესაძენად 5 მილიონი დოლარი გამოყო. ჯერი ამსტერდამელებზეა.

თუ ტრანსფერი განხორციელდა, ტიჯანი ბაბანგიდა უმცროსი ძმის დარად ესპანეთში ითამაშებს. შეგახსენებთ, რომ ჰარუნა ბაბანგიდა „ბარსელონას" მეორე კლუბში თამაშობს.

**სარბიელის** საერთაშორისო სატელეფონო კავშირს
უზრუნველყოფს კომპანია **საქტელეკომ პლუსი**
☎ 99 67 67, 98 30 20

# დავორ იქით, დავორ აქეთ...



სარჩიელის არქივიდან

იცის კი თვითონ სად უნდა?

ინგლისის ლიგის თასის მფლობელმა ლონდონის „ტოტენჰემმა" კვლავ წამოიწყო ბრძოლა ხორვატი თავდამსხმელის, დავორ შუკერის გადასაბირებლად.

გასულ კვირას „ტოტენჰემში" გადასვლა იუარა ახალგაზრდა თავდამსხმელმა მაიკლ ბრიჯისმა, არადა, მის კლუბს ლონდონელები 5 მილიონ გირვანქას სთავაზობდნენ. შუკერის შეძენის საკითხიც სწორედ ამის შემდეგ წამოიჭრა ხელახლა.

მსოფლიოს ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირმა დავორ შუკერმა, რომელსაც გასულ სეზონში მადრიდული კლუბის შემადგენლობაში იშვიათად ათამაშებდნენ, „რეალი" დატოვა და ახალი გუნდის ძიებაშია. შუკერი რამდენჯერმე ჩავიდა ლონდონში, თუმცა „ტოტენჰემის" წარმომადგენლებს სულაც არ შეხვედრია — იგი სხვა ლონდონური კლუბების „ვესტ ჰემ იუნაიტედის" და „ფულემის" ხელმძღვანელებს შეხვდა. შუკერის შეძენას ინგლისელთა გარდა გერმანელებიც ცდილობდნენ — მიუნხენის „ბაიერნმა" და ბერლინის „ჰერტამ" ამის შესახებ უკვე განაცხადეს.

მიუხედავად იმისა, რომ შუკერმა „რეალი" დატოვა, იურიდიულად იგი მაინც ესპანური კლუბის საკუთრებაა. მადრიდელები შუკერის სანაცვლოდ 3,5 მილიონ გირვანქას ითხოვენ.



# პალიუკა დაბრუნდა

მილანის „ინტერის" ახლა უკვე ყოფილი მეკარე ჯანლუკა პალიუკა მშობლიურ ქალაქ ბოლონიას დაუბრუნდა — გუშინ იგი „ბოლონიას" საკუთრება ოფიციალურად გახდა.

მას შემდეგ რაც „ინტერში" მარჩელო ლიპი მივიდა და იუვენტუსელი მეკარის ანჯელო პერუცის გადაბირების შესახებ განაცხადა, ცხადი შეიქნა რომ პალიუკას გაუშვებდნენ. მას ერთი ხანობა ლონდონის „ჩელსიც" იწვევდა, მაგრამ საბოლოოდ მეკარე მაინც იტალიაში დარჩა.

ერთი სიტყვით ჯანლუკა პალიუკა ახლა უკვე ბოლონიელია.

## რუსეთი

XVI ტური

**ტორპედო 2:4 ლოკომოტივი**

1:0 დურნევი (47), 1:1 ლოსკოვი (53პ), 2:1 დაევი (57), 2:2 ჯანაშია (59), 2:3 ოგანესიანი (85), 2:4 ბულიკინი (89)

**სპარტაკი 3:0 ურალანი**

1:0 ბულატოვი (45), 2:0 კოვტუნი (68), 3:0 ტიტოვი (74)

**ცსკა 4:1 ალანია**

1:0 კულიკი (25), 2:0 ხამუხა (58პ), 2:1 დემეტრაძე (62), 3:1 ხამუხა (69), 4:1 სემაკი (72)

**ზენიტი 2:1 შინიკი**

0:1 სნიტკო (9), 1:1 მაკსიმიუკი (36), 2:1 პეტუხოვი (66)

**როტორი 2:1 კრილია**

1:0 ვერტენიკოვი (40), 2:0 ბორზენკოვი (51), 2:1 ლუშჩანი (90)

**სატურნი 3:0 ჩერნომორეცი**

1:0 გრიაზინი (1), 2:0 სასნოვსკი (28), 3:0 მედვედევი (74)

**როსტსელმაში 1:3 დინამო**

1:0 კუპრიანოვი (1), 1:1, 1:2 გოლოვსკოი (15, 21), 1:3 ტერიოხინი (85)

**ნ. ნოვგოროდი 2:1 ჟემჩუჟინა**

0:1 კოვალენკო (13), 1:1 ავაქოვი (63), 2:1 გოგრიჭიანი (79)

ზაზა ჯანაშიას „ლოკომოტივმა" უარესად დაძაბულ ბრძოლაში ჰაერივით საჭირო სამი ქულა მოიპოვა. არადა, რკინიგზელები ორჯერ იყვნენ მდევრის როლში. ეს შეხვედრა ჩვენებურის ჩვეული ოსტატობით გამოირჩა.

0:1-ზე სტუმართა ქართველი ფორვარდი საჯარიმოში მოცელეს და მსაჯმა, რომელმაც მანამდე „ლოკომოტივის" კარში წესების დარღვევით გატანილი ბურთი ჩათვალა, უყოყმანოდ დანიშნა თერთმეტმეტრიანი — ლოსკოვმა ანგარიში გაათანაბრა. ამის მერე მოვლენები ელვისებურად განვითარდა. მასპინძლებმა კვლავ გააცურეს ლოკომოტიველთა არასაიმედოდ მომქმედი, დაცვისხაზელები და მეკარე ნიგმატულინიც უშანსოდ დატოვეს — 2:1. სამიოდე წუთში კი ლოსკოვმა ზუსტად გადააწოდა ბურთი ჯანაშიას, ზაზამ რამდენიმე მეტრი ბურთიანად გაირბინა, დაახლოებით 20 მეტრიდან ცაციათი დაბალი დაურტყა წინ გამოსულ გოლკიპერს და ბურთიც მისგან მარცხენა კუთხეში გაახვია — 2:2. „ტორპედოს" ისევ მიეცა გამარჯვების კარგი შანსი, მაგრამ დურნევმა პენალტი ვერ გამოიყენა და მასპინძლებიც საბოლოოდ გატყდნენ. სტუმართა მესამე გოლს თამამად შეიძლება ეწოდოს ბრწყინვალე. საჯარიმოში მარცხნიდან შეჭრილმა ოგანესიანმა საპირისპირო ფლანგიდან გადაწოდებულ ბურთს ძირს დაშვება არ დააცადა და ჰაერშივე დაჰკრა ეფექტურად, ბურთიც ცხრიანში ამოჩნდა.

სხვა შეხვედრებიდან ცსკა-ს მიერ „ალანიას" განადგურება უნდა აღინიშნოს. თუმცა დემეტრაძემ მორიგი გოლი მაინც შეაგდო...

გოგრიჭიანის „ჟემჩუჟინას" კარში გატანილმა გოლმა არ გაგაკვირვოთ, როგორც ჩანს ჩვენებრმა პირველი წრის შემდეგ სოჭელებს უგანა და ნიჟნი ნოვგოროდში გადაბარგდა.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სპარტაკი | 20 | 14 | 4 | 2 | 43:15 | 46 |
| ლოკომოტივი | 16 | 11 | 2 | 3 | 37:17 | 35 |
| ცსკა | 17 | 9 | 6 | 2 | 30:13 | 33 |
| ტორპედო | 17 | 7 | 8 | 2 | 20:15 | 29 |
| დინამო | 16 | 8 | 3 | 5 | 29:24 | 27 |
| ალანია | 16 | 7 | 4 | 5 | 31:23 | 25 |
| როსტსელმაში | 16 | 7 | 4 | 5 | 20:19 | 25 |
| ზენიტი | 17 | 6 | 7 | 4 | 23:18 | 25 |
| ნ. ნოვგოროდი | 16 | 6 | 4 | 6 | 20:21 | 22 |
| როტორი | 17 | 5 | 3 | 9 | 22:32 | 18 |
| სატურნი | 17 | 4 | 4 | 9 | 17:27 | 16 |
| კრილია | 17 | 4 | 3 | 10 | 22:31 | 15 |
| ურალანი | 16 | 4 | 3 | 9 | 10:20 | 15 |
| ჩერნომორეცი | 16 | 3 | 4 | 9 | 15:29 | 13 |
| შინიკი | 16 | 2 | 6 | 8 | 10:23 | 12 |
| ჟემჩუჟინა | 16 | 0 | 7 | 9 | 9:31 | 7 |

# ვინ შეცვლის ზივადინოვიჩს?

იუგოსლავიის საფეხბურთო ნაკრებს 24 ივლისიდან ახალი მწვრთნელი ეყოლება — განაცხადა ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციის მდივანმა გენერალმა ბრანკო ბულატოვიჩმა.

იუგოსლავიელების აწ უკვე ყოფილმა თავკაცმა მილან ზივადინოვიჩმა, რომელმაც გასული წლის აგვისტოში სლობოდან ზანტრაჩი შეცვალა, საუდის არაბეთის კლუბ „ალ ნასრისთან" ერთწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი.

ზივადინოვიჩს, რომელიც იუგოსლაველთა უპირველესი გუნდის მთავარ მწვრთნელობამდე ქვეყნის ოლიმპიურ ნაკრებს ედგა სათავეში, სავარაუდოდ მადრიდის „ატლეტიკოს" ყოფილი თავკაცი რადომირ ანტიჩი შეცვლის.

— რადომირს უკვე ველაპარაკეთ, თუმც გადაწყვეტით ვერაფერს ვიტყვით. ჩვენთვის მთავარია, გუნდს ისეთი ადამიანი ჩაუდგეს სათავეში, რომელიც მას 2000 წლის ევროპის ჩემპიონატზე გაიყვანს — თქვა იუგოსლავიის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა მილიან მილიანიჩმა.

ასე რომ, 18 აგვისტოს იუგოსლავიელებს ხორვატთა წინააღმდეგ სათამაშოდ ახალი მწვრთნელი გაიყვანს.

# რეალს ფედერაციაში გაუგეს

ესპანეთის ფეხბურთის ფედერაციის გადაწყვეტილებით, მადრიდის „რეალი" ქვეყნის თასის გათამაშების მერვედფინალში პირდაპირ ჩაერთვება. გადაწყვეტილება იმით გახლავთ გამოწვეული, რომ „რეალი" მომავალი წლის დასაწყისში მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატში მონაწილეობს.

ქვეყნის ფეხბურთის ფედერაცია სანამ ამ გადაწყვეტილებას მიიღებდა, პრიმერა და მეორე დივიზიონების კლუბების წარმომადგენლებს შეხვდა და „რეალის" თხოვნაზე მათთან ერთად იმსჯელა. მადრიდში გამართული სხდომის საბოლოო შედეგზე უკვე მოგახსენეთ.

— „რეალის" თხოვნას სხდომის ყველა მონაწილე გაგებით მოეკიდა და გადაწყვეტილებაც ერთხმად მივიღეთ. კენჭისყრის ჩატარება საჭირო არ გახდა, წინააღმდეგი არვინ იყო — განაცხადა ესპანეთის ფეხბურთის ფედერაციის წარმომადგენელმა ტონი ფიდალგომ.

ესპანეთის თასის გათამაშების მეთექვსმეტედფინალები, როგორც წესი, იანვარში იმართება. რაკი „რეალი" ამ ეტაპიდან გათავისუფლებულია, გათამაშებაში ჩაბმა მერვედფინალიდან, ანუ თებერვლიდან მოუწევს.

„რეალს" მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატში მონაწილეობის გამო, ჩემპიონატის ორი შეხვედრის გადადებაც მოუწევს. შეგახსენებთ, რომ მადრიდელები მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატში საკონტინენტთაშორისო თასის მფლობელის რანგში იასპარეზებენ.



სარჩიელის არქივიდან

მადრიდის „რეალს" ფედერაციამ შეღავათი გაუწია

მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატს მომავალი წლის იანვარში ბრაზილია უმასპინძლებს. ტურნირში რვა კლუბი ითამაშებს.

**ირაკლი ილაშვილი**

# უჩვეულო ტრანსფერი ალბათ აღარ შედგება



სარჩიელის არქივიდან

კლაუდიო ლოპესი (№7) შესაძლოა „ვალენსიადან" არ წავიდეს

— სულაც არ მინდა „ატლეტიკოში" თამაში. მე აღარაფერს მეკითხებით? თუ „ვალენსიადან" წავალ, მხოლოდ „ლაციოში", მადრიდში თამაშს არ ვაპირებ — კატეგორიულად განაცხადა კლაუდიო ლოპესმა, როცა გაიგო, რომ იგი საზიაროდ მადრიდის „ატლეტიკომ" და რომის „ლაციომ" იყიდეს.

შეგახსენებთ, რომ სულ რამდენიმე დღის წინ ევროპაში არნახული ტრანსფერი განხორციელდა, „ვალენსიას" არგენტინელი თავდამსხმელი, 23,3 მილიონ დოლარად ერთდროულად ორმა ზემოხსენებულმა კლუბმა შეიძინა. კონტრაქტის პირობების თანახმად, ლოპესს მომავალი ორი სეზონი მადრიდში, ხოლო შემდეგი სამი რომში უნდა გაეტარებინა.

თითქოს ყველაფერი გადაწყვეტილი იყო, მაგრამ...

— მე ხელი არაფერზე მომიწერია. მხოლოდ ის ვიცოდი, რომ ჩემი მენეჯერი „ლაციოსთან" აწარმოებდა მოლაპარაკებას. კიდევ ერთხელ გავიმეორებ, „ატლეტიკოში" არ გადავალ, მე იქ არაფერი მესაქმება — თქვა სამშობლოში არდადეგებზე მყოფმა ლოპესმა.

მაშ ასე, ევროპის საფეხბურთო სამყაროში ამ ბოლო დროს ჩვეულებრივი ტრანსფერების პარალელურად უჩვეულო ამბებიც ხდება.

აბა, რას უნდა მივაწეროთ ის ფაქტი, რომ ორი დღის წინ „ატლეტიკოს" პრეზიდენტის ხესუს ხილი ხილის ვაჟი და ამავე დროს კლუბის აღმასრულებელი დირექტორი მიგელ ანხელ ხილი აცხადებს, შეთანხმებას მივაღწიეთ, ფეხბურთელმა კონტრაქტს ხელი მოაწერა და მას უკვე მადრიდში ველითო. თავად ლოპესი საწინააღმდეგოს ამტკიცებს.

„ლაციო" ჯერჯერობით დუმს.

მას შემდეგ, რაც რომაულმა კლუბმა კრისტიან ვიერი „ინტერს" 28 მილიონ გირვანქად მიჰყიდა, გუნდში ახალი თავდამსხმელის შეძენის აუცილებლობა შეიქმნა. „ლაციომ" თავიდანვე მიზანში „არსენალის" თავდამსხმელი ნიკოლა ანელკა ამოიღო, თუმცა ახალგაზრდა ფრანგის ბედი ჯერაც არაა გადაწყვეტილი.

ამ დროს კი რომაული გუნდის ხელმძღვანელობამ ხვალინდელი დღისთვის იზრუნა. ლოპესისდარი თავდამსხმელი ნებისმიერი კლუბისთვის სასურველია და რადგანაც „ლაციოს" დღესდღეობის გუნდში არაევროკავშირელ ფეხბურთელთა ყოლის ლიმიტი ამოწურული აქვს, არგენტინელი სამომავლოდ დაიბევა, თუმცა...

გუშინ დილით „ვალენსიას" წარმომადგენელმა განაცხადა, ლოპესი ჩვენთან დარჩება და კონტრაქტს გაახანგრძლივებსო. თუ ეს მართლა მოხდა, მაშინ არგენტინელი თავდამსხმელი წელიწადში გასამრჯელოს სახით 2,3 მილიონ დოლარს მიიღებს, ხოლო ნებისმიერი კლუბი, რომელიც მის შეძენას მოისურვებს, ვალენსიელებს 40 მილიონ დოლარს გადაუხდის.

**ჭოჭა ჭკადუა**

## გერმანია

ლიგის თასი ნახევარფინალი

**ვერდერი 2:1 ლევერკუზენი**

0:1 კირსტენი (6), 1:1 ზაიდელი (28), 2:1 ბოდე (77)

ვერდერი: როსტი, ბაუმანი, ბენკენი, ვიდნერი, ფრინგსი, მაქსიმოვი, აილტსი, ვიკი (ბარტენი 65), ბოდე, ბოგდანოვიჩი (აილტონი 59), ზაიდელი

ლევერკუზენი: მატიშეკი, რეები, კოვაჩი, ჰოფმანი, გრეშკო, იაშდანი (რობსონ პონტე 56), შნაიდერი, რამელო, ნოივილი (რაიხენბერგერი 56), კირსტენი, ბრდარიჩი

გაფრთხილება: ვიდნერი, შნაიდერი, რაიხენბერგერი

მსაჯი: კოოპი



„იუვენტუსის" ახალწვეულები — ობრაიანი და ბაკინი (მარჯვნივ)

# ან ფული, ანაც ფული და სალასი

ლონდონის „არსენალმა" ფრანგი თავდამსხმელის ნიკოლა ანელკას მსურველ კლუბ რომის „ლაციოს" სატრანსფერო თანხის გაზრდა მოსთხოვა, თან დასძინა, თუ მეტს არ შემოგვთავაზებთ, ანელკას „იუვენტუსში" გავუშვებთო.

რომის „ლაციო" ლონდონელებს ანელკას სანაცვლოდ 22 მილიონ გირვანქას სთავაზობს, არადა, „არსენალს" 25 მილიონი უნდა. ინგლისის 1998 წლის ჩემპიონმა და თასის მფლობელმა „არსენალმა" ისიც განაცხადა, თუ გინდათ, 22 მილიონს დავყაბულდებით, ოღონდაც ფულს ჩილელი თავდამსხმელი მარსელო სალასი დაამატეთო. „ლაციომ" სალასის გაყიდვა იუარა.

ახლა რაც შეეხება „იუვენტუსის" წინადადებას — ტურინულმა კლუბმა ორი კვირის წინ განაცხადა, რომ ანელკას სანაცვლოდ 15 მილიონ გირვანქას გაიღებს, ამასთანავე ლონდონელებს ფრან თავდამსხმელ, მსოფლიოს ჩემპიონ ტიერი ანრის დაუთმობს.

თავად ანელკას რაც შეეხება, იგი დღესდღეობით პარიზშია და ნისლიან ალბიონზე კლუბში სავარჯიშოდ დაბრუნებას უარობს.

„იუვენტუსი" კი ინტერტოტოს თასისთვის ემზადება — კვირას რუმინეთში „ჩაჰლაულს" ეთამაშება. მანამდე კარლო ანჩელოტის გუნდმა მეორე ამხანაგური თამაში გამართა, ისევ „ვალე დაოსტასთან" და ამჯერად 6:0 მოიგო. გოლები რიგონიმ (ორი), ანრიმ, ობრაიანმა და სკულიმ გაიტანეს. ერთი გოლიც მეტოქის ფეხბურთელმა ჩაჭრა საკუთარ კარში. ამ თამაშში ალესანდრო დელ პიეროც მონაწილეობდა.

ირაკლი ილაშვილი

# თავხოტორა ესპანელი

გახსოვთ 1995-96 წლების „ბარსელონა"?

მაშინ „ბარსას" ლეგენდარული იოჰან კრუიფი წვრთნიდა. კატალონიელთა რიგებში სწორედ იმ დროს გამოჩნდა ერთი ახალგაზრდა ესპანელი ბიჭი, რომელსაც ფეხბურთის სპეციალისტები დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებდნენ, თუმც მფრინავი ჰოლანდიელი მას დიდად არ სწყალობდა.

ალბათ მიხვდით, საუბარი ივან დე ლა პენიას ეხება, რომელიც აწ უკვე 24 წლისა მოყრილა, თავი გადაუპარსავს და რომის „ლაციოს" ღირსებას იცავს.

შარშან ზაფხულში რომაული კლუბის მიერ 12 მილიონ გირვანქად „ბარსასგან" ნაყიდმა დე ლა პენიამ იტალიელ გულშემატკივართა იმედები ვერ გაამართლა. მისგან ტიფოზები მოედნის შუაგულში დრიბლინგსა და გამჭოლ გადაცემებს ელოდენ, მაგრამ ესპანელმა ამის გაკეთება ვერ შეძლო, რის გამოც „ლაციოს" ძირითად შემადგენლობაში ვერ ხვდებოდა, სეზონის მეორე ნახევარი კი თითქმის მთლიანად სათადარიგოთა სკამზე გაატარა.

ამიტომაც არავის გაჰკვირვებია, როცა გასული სეზონის ბოლოს დე ლა პენია „ლაციოს" სატრანსფერო სიაში მოხვდა.

ისე არ გეგონოთ, თითქოს ესპანელით არავინ დაინტერესებულიყოს. მისი შეძენის მსურველნი არიან და თანაც მრავლად. განსაკუთრებულად კი ინგლისური „არსენალი" და „ნიუკასლი" აქტიურობენ.

„ნიუკასლს" რომაელთათვის გასულ უქმეებზე კონკრეტული წინადადებითაც მიუმართავს. ჩრდილოინგლისელები ყაბულს არიან, ესპანელში 9 მილიონი გირვანქა გადაიხადონ.

გადავა თუ არა დე ლა პენია ინგლისში, უახლოეს მომავალში გაირკვევა. ინგლისურ საინფორმაციო სააგენტოებს თუ დავეყრდნობით, დიდი შანსია, ესპანელი ჩრდილოინგლისურ კლუბში, ჩვენი თანამემამულე თემურ ქეცბაიას თანაკლუბელი გახდეს.

კოკა მძადუა



წავა ივან დე ლა პენია ნისლიან ალბიონზე?

# წარსულის შედეგები

CHAMPIONS LEAGUE · Cup Winners' Cup · UEFA CUP

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 76 | პარმა (იტალია) | 8 | 59 | 34 | 13 | 12 | 88:41 | 81 |
| 77 | მაგდებურგი (გდრ) | 16 | 72 | 32 | 15 | 25 | 115:86 | 79 |
| 78 | გურნიკი (ზაბჟე, პოლონეთი) | 19 | 74 | 32 | 15 | 27 | 129:111 | 79 |
| 79 | ლევერკუზენი (გერმანია) | 8 | 54 | 26 | 17 | 11 | 94:52 | 78 |
| 80 | ლაიპციგი (გდრ) | 18 | 77 | 31 | 16 | 30 | 107:91 | 78 |
| 81 | ლევსკი (სოფია, ბულგარეთი) | 29 | 96 | 30 | 18 | 48 | 156:168 | 78 |
| 82 | ნანტი (საფრანგეთი) | 18 | 74 | 26 | 23 | 25 | 113:107 | 75 |
| 83 | უნივერსიტატია (კრაიოვა, რუმინეთი) | 21 | 74 | 31 | 12 | 31 | 86:85 | 74 |
| 84 | სენტ ეტიენი (საფრანგეთი) | 16 | 69 | 29 | 15 | 25 | 103:80 | 73 |
| 85 | ბრონდბიუ (დანია) | 12 | 68 | 30 | 13 | 25 | 101:82 | 73 |
| 86 | სერვეტი (ჟენევა, შვეიცარია) | 23 | 77 | 28 | 16 | 33 | 111:116 | 72 |
| 87 | ტიროლი (ინსბრუკი, ავსტრია) | 24 | 80 | 30 | 12 | 38 | 110:140 | 72 |
| 88 | ტვენტე (ენსხედე, ჰოლანდია) | 14 | 68 | 28 | 14 | 26 | 113:87 | 70 |
| 89 | ტორპედო (მოსკოვი, რუსეთი) | 16 | 61 | 26 | 18 | 17 | 86:63 | 70 |
| 90 | შალკე 04 (გერმანია) | 8 | 53 | 29 | 11 | 13 | 83:57 | 69 |
| 91 | ფენერბაჰჩე (თურქეთი) | 28 | 88 | 29 | 11 | 48 | 94:155 | 69 |
| 92 | ლაციო (რომი, იტალია) | 10 | 54 | 28 | 12 | 14 | 81:59 | 68 |
| 93 | რუსენბორგი (ნორვეგია) | 18 | 72 | 30 | 8 | 34 | 106:138 | 68 |
| 94 | იფსვიჩ თაუნი (ინგლისი) | 10 | 50 | 29 | 9 | 12 | 100:51 | 67 |
| 95 | ასტონ ვილა (ინგლისი) | 11 | 55 | 27 | 13 | 15 | 78:48 | 67 |
| 96 | ლიონი (საფრანგეთი) | 14 | 60 | 29 | 9 | 22 | 97:97 | 67 |
| 97 | ოსერი (საფრანგეთი) | 11 | 58 | 27 | 12 | 19 | 96:63 | 66 |
| 98 | სამპდორია (იტალია) | 8 | 53 | 28 | 9 | 16 | 80:53 | 65 |
| 99 | ბანიკი (ოსტრავა, ჩეხეთი) | 14 | 60 | 28 | 9 | 23 | 86:72 | 65 |
| 100 | მტკ (ბუდაპეშტი, უნგრეთი) | 13 | 60 | 27 | 10 | 23 | 110:95 | 64 |
| 101 | ბერლინი (გდრ) | 15 | 60 | 23 | 18 | 19 | 87:80 | 64 |
| 102 | ციურიხი (შვეიცარია) | 17 | 71 | 26 | 12 | 33 | 108:120 | 64 |
| 103 | ბოლონია (იტალია) | 9 | 49 | 24 | 15 | 10 | 71:43 | 63 |
| 104 | ქსამაქსი (შვეიცარია) | 12 | 56 | 23 | 16 | 17 | 85:66 | 62 |
| 105 | ნოტინგემი (ინგლისი) | 8 | 46 | 25 | 9 | 12 | 58:39 | 59 |
| 106 | ვიტორია (სეტუბალი, პორტუგალია) | 11 | 56 | 26 | 7 | 23 | 90:72 | 59 |
| 107 | ევერტონი (ინგლისი) | 11 | 45 | 23 | 12 | 10 | 71:35 | 58 |
| 108 | ნიუკასლი (ინგლისი) | 8 | 50 | 24 | 10 | 16 | 83:54 | 58 |
| 109 | ტრაბზონსფორი (თურქეთი) | 17 | 58 | 23 | 12 | 23 | 77:90 | 58 |
| 110 | ლიეჟი (ბელგია) | 9 | 48 | 25 | 6 | 17 | 69:49 | 56 |
| 111 | ბოავიშტა (პორტუგალია) | 15 | 58 | 21 | 14 | 23 | 79:69 | 56 |
| 112 | სიონი (შვეიცარია) | 15 | 58 | 21 | 13 | 24 | 86:106 | 55 |
| 113 | პაოკ (სალონიკი, საბერძნეთი) | 20 | 58 | 20 | 15 | 23 | 62:93 | 55 |
| 114 | სლავია (პრაღა, ჩეხეთი) | 13 | 52 | 21 | 11 | 20 | 62:60 | 53 |
| 115 | ვიძევი (ლოძი, პოლონეთი) | 13 | 58 | 21 | 11 | 26 | 77:94 | 53 |
| 116 | სოსიედადი (ესპანეთი) | 11 | 48 | 20 | 12 | 16 | 58:61 | 52 |
| 117 | დანფერმლაინი (შოტლანდია) | 7 | 42 | 23 | 5 | 14 | 83:45 | 51 |
| 118 | სპარტაკი (ტრნავა, სლოვაკეთი) | 11 | 46 | 21 | 9 | 16 | 66:52 | 51 |
| 119 | დინამო (მინსკი, ბელარუსი) | 11 | 48 | 18 | 14 | 16 | 62:58 | 50 |
| 120 | ორჰუსი (დანია) | 15 | 52 | 17 | 14 | 21 | 65:72 | 48 |
| 121 | მეჰელენი (ბელგია) | 7 | 37 | 18 | 11 | 8 | 49:26 | 47 |
| 122 | ანტვერპენი (ბელგია) | 14 | 55 | 17 | 13 | 25 | 74:91 | 47 |
| 123 | ბეშიქთაში (თურქეთი) | 23 | 66 | 17 | 13 | 36 | 65:110 | 47 |
| 124 | კარდიფ სიტი (უელსი) | 14 | 49 | 16 | 14 | 19 | 67:61 | 46 |
| 125 | ჰართსი (შოტლანდია) | 14 | 48 | 18 | 10 | 20 | 68:73 | 46 |
| 126 | ვაშაში (ბუდაპეშტი, უნგრეთი) | 12 | 47 | 18 | 8 | 21 | 88:61 | 44 |
| 127 | ბევერენი (ბელგია) | 8 | 38 | 18 | 8 | 12 | 56:34 | 44 |
| 128 | ბობი (ბრნო, ჩეხეთი) | 10 | 41 | 19 | 6 | 16 | 69:57 | 44 |
| 129 | ესპანიოლი (ესპანეთი) | 6 | 38 | 20 | 4 | 14 | 53:46 | 44 |
| 130 | მიუნხენ 1860 (გერმანია) | 7 | 35 | 18 | 7 | 10 | 79:47 | 143 |
| 131 | ჰერტა (ბერლინი, გერმანია) | 7 | 34 | 19 | 5 | 10 | 53:39 | 43 |
| 132 | დიორ ეტო (უნგრეთი) | 12 | 42 | 19 | 5 | 18 | 73:76 | 43 |
| 133 | ომონია (ნიქოზია, კვიპროსი) | 25 | 64 | 19 | 5 | 40 | 77:140 | 43 |
| 134 | შახტიორი (დონეცკი, უკრაინა) | 9 | 34 | 18 | 6 | 10 | 58:47 | 42 |
| 135 | სტრასბური (საფრანგეთი) | 8 | 40 | 17 | 8 | 15 | 48:53 | 42 |
| 136 | ინტერი (ბრატისლავა, სლოვაკეთი) | 10 | 38 | 19 | 3 | 16 | 68:56 | 41 |
| 137 | სლავია (სოფია, ბულგარეთი) | 16 | 49 | 16 | 8 | 25 | 57:82 | 40 |
| 138 | ჰიკ (ჰელსინკი, ფინეთი) | 18 | 56 | 17 | 6 | 33 | 62:129 | 40 |
| 139 | მანჩესტერ სიტი (ინგლისი) | 7 | 34 | 15 | 9 | 10 | 54:34 | 39 |
| 140 | ვულვერჰემპტონი (ინგლისი) | 7 | 32 | 16 | 6 | 10 | 59:44 | 38 |
| 141 | აიკ (სოლნა, შვედეთი) | 13 | 40 | 12 | 14 | 14 | 56:52 | 38 |
| 142 | არჯეში (პიტეშტი, რუმინეთი) | 10 | 38 | 15 | 8 | 15 | 58:62 | 38 |
| 143 | ნორჩეპინგი (შვედეთი) | 15 | 44 | 12 | 14 | 18 | 54:60 | 38 |
| 144 | ლოზანა (შვეიცარია) | 19 | 54 | 15 | 8 | 31 | 77:113 | 38 |
| 145 | ვესტ ჰემი (ინგლისი) | 4 | 31 | 15 | 7 | 9 | 58:62 | 37 |
| 146 | შტურმი (გრაცი, ავსტრია) | 12 | 46 | 13 | 11 | 22 | 48:64 | 37 |
| 147 | ვოივოდინა (ნოვი სადი, იუგოსლავია) | 11 | 36 | 15 | 7 | 14 | 33:43 | 37 |
| 148 | ვიტორია (გიმარაეში, პორტუგალია) | 12 | 44 | 14 | 8 | 22 | 45:69 | 36 |
| 149 | ლინფილდი (ჩრდ. ირლანდია) | 27 | 63 | 10 | 16 | 37 | 68:137 | 36 |
| 150 | სპარტა (როტერდამი, ჰოლანდია) | 7 | 32 | 14 | 7 | 11 | 64:44 | 35 |
| 151 | ბოჰემიანსი (პრაღა, ჩეხეთი) | 9 | 36 | 14 | 7 | 15 | 52:46 | 35 |
| 152 | ოფკ (ბელგრადი, იუგოსლავია) | 8 | 38 | 14 | 7 | 17 | 64:69 | 35 |
| 153 | ვიქტორია (ფრანკფურტი, გერმანია) | 13 | 42 | 16 | 3 | 23 | 54:63 | 35 |
| 154 | რაპიდი (ბუქარესტი, რუმინეთი) | 10 | 38 | 15 | 5 | 18 | 51:62 | 35 |
| 155 | აზ 67 (ალკმაარი, ჰოლანდია) | 5 | 26 | 13 | 8 | 5 | 62:26 | 34 |
| 156 | ბირმინგემ სიტი (ინგლისი) | 4 | 25 | 14 | 6 | 5 | 51:38 | 34 |
| 157 | ადმირა ვაკერი (ავსტრია) | 10 | 36 | 14 | 6 | 16 | 46:51 | 34 |
| 158 | აპოელი (ნიქოზია, კვიპროსი) | 21 | 56 | 11 | 12 | 33 | 58:137 | 34 |
| 159 | ლანსი (საფრანგეთი) | 7 | 32 | 12 | 9 | 11 | 55:35 | 33 |
| 160 | ვისლა (კრაკოვი, პოლონეთი) | 6 | 28 | 13 | 7 | 8 | 55:37 | 33 |
| 161 | ბეტისი (სევილია, ესპანეთი) | 7 | 30 | 14 | 5 | 11 | 40:32 | 33 |
| 162 | მოლენბეკი (ბელგია) | 7 | 30 | 11 | 11 | 8 | 39:33 | 33 |
| 163 | დნეპრი (უკრაინა) | 8 | 32 | 13 | 7 | 12 | 42:39 | 33 |
| 164 | ზალცბურგი (ავსტრია) | 8 | 36 | 13 | 7 | 16 | 38:48 | 33 |
| 165 | გლენტორანი (ჩრდ. ირლანდია) | 28 | 64 | 8 | 17 | 39 | 52:144 | 33 |
| 166 | ველეჟი (მოსტარი, იუგოსლავია) | 6 | 28 | 12 | 8 | 8 | 47:40 | 32 |
| 167 | ნიცა (საფრანგეთი) | 8 | 32 | 13 | 6 | 13 | 52:55 | 32 |
| 168 | ბოტევი (პლოვდივი, ბულგარეთი) | 14 | 38 | 12 | 8 | 18 | 58:65 | 32 |
| 169 | სტად დე რეიმსი (საფრანგეთი) | 4 | 24 | 14 | 3 | 7 | 63:30 | 31 |
| 170 | დანდი (შოტლანიდა) | 6 | 28 | 14 | 2 | 12 | 54:45 | 30 |
| 171 | ფორტუნა (დიუსელდორფი, გდრ) | 5 | 29 | 11 | 8 | 10 | 45:36 | 30 |
| 172 | კილმარნოკი (შოტლანდია) | 7 | 32 | 11 | 8 | 13 | 45:50 | 30 |
| 173 | სევილია (ესპანეთი) | 8 | 30 | 11 | 8 | 11 | 39:46 | 30 |
| 174 | რუხი (ხოჟუვი, პოლონეთი) | 9 | 36 | 11 | 8 | 17 | 56:66 | 30 |
| 175 | არისი (სალონიკი, საბერძნეთი) | 11 | 32 | 12 | 6 | 14 | 47:64 | 30 |

# სარბიელი

# სპორტული ლატარია "CROCO" გათამაშების წესები

თამაშში მონაწილე პირის მიზანია, გამოიცნოს ტირაჟში მოცემული სპორტული შეჯიბრების შედეგი, სპორტის სათამაშო სახეობებში მატჩის ძირითადი დროის შედეგი (მოგება, ფრე, წაგება). ფსონების სია ქვეყნდება გაზეთ „სარბიელში". სიაში მატჩის გასწვრივ მითითებულია კოეფიციენტები ყოველ შესაძლო შედეგზე. დასაშვებია მოგების კოეფიციენტების ცვლილება გაზეთის გამოსვლის შემდეგ. მოთამაშე ვალდებულია, დააზუსტოს კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ჩაბარების ადგილზე გამოკრული ფსონების მიხედვით. შედეგის გამოცნობისას მოთამაშე მიიღებს თანხას, რომელიც დადებული თანხისა და კოეფიციენტის ნამრავლის ტოლია.

ფსონები მიიღება როგორც ცალკეულ მატჩზე, ასევე რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე. ამ შემთხვევაში მოთამაშემ უნდა გამოიცნოს ვარიანტში აღნიშნული ყველა თამაშის შედეგი. თუ ფსონი დადებულია რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე, მოგების კოეფიციენტი შეადგენს ცალკეული შედეგების შესაბამისი კოეფიციენტების ნამრავლს (მეათედის სიზუსტით, დამრგვალების გარეშე). კოეფიციენტების ნამრავლი არ უნდა აღემატებოდეს 1000-ს. თუ ნამრავლი 1000-ზე მეტია, მოგების კოეფიციენტად ჩაითვლება 1000.

არათანაბარი სიძლიერის გუნდების შეხვედრისას მატჩის გასწვრივ შეიძლება მითითებული იყოს ანგარიში (ჰანდიკაპი) და, შესაბამისად, მატჩის შედეგი განისაზღვრება ამ ანგარიშის გათვალისწინებით.

ფეხბურთის ნებისმიერი მატჩის ანგარიშის გამოცნობისთვის, თუ არ არის მითითებული სპეციალური ფსონი ანგარიშისთვის, კოეფიციენტი 5,0-ის ტოლია.

კოეფიციენტები მრავლდება მხოლოდ ერთი და იგივე სახის პროგნოზისთვის (მაგალითად: თამაშის შედეგი — შედეგზე, გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლა — შემდეგ ეტაპზე გასვლაზე და ა.შ.). ერთი და იგივე წყვილის ორი სხვადასხვა სახით შეტანა ერთ ვარიანტში კოეფიციენტების გადასამრავლებლად არ შეიძლება (მაგ: ინტერი — კალიარი 3:0 და ინტერი — კალიარი 1, ან ინტერი — კალიარი 1 და ინტერი — კალიარი (0:1) 1). თუ ერთ ვარიანტში ერთი და იგივე წყვილი ორი სხვადასხვა სახით აღმოჩნდება შეტანილი, ქვითრის განხილვისას მხედველობაში მიიღება წყვილის ის პროგნოზი, რომლის შესაბამისი კოეფიციენტიც მეტია. თუ ბილეთში შეტანილი მატჩის ფორა მოთამაშის მიერ არასწორად არის მითითებული, მხედველობაში მიიღება ფორა, რომელიც გამოქვეყნებული არის „კროკო"-ს მატჩთა სიაში.

ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება, თუ:

1. ფსონი დადებულია მატჩის დაწყების შემდეგ;
2. შეიცვალა მასპინძელი გუნდი (ორმატჩიანი სათასო ტურნირებისთვის გაუქმებულად არ ითვლება ფსონი, რომელიც დადებულია გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლაზე). ერთი და იგივე ქალაქის სხვა სტადიონზე მატჩის გადატანისას, ან მატჩის ნეიტრალურ მინდორზე ჩატარებისას ფსონი გაუქმებულად არ ითვლება;
3. შეხვედრა არ ჩატარდა ან გადაიდო სამ დღეზე მეტი ვადით (ტექნიკური შედეგი მხედველობაში არ მიიღება);
4. მატჩი ჩაიშალა, არ დამთავრდა, ან შედეგი არ დაფიქსირდა და არ იქნა გადათამაშებული სამი დღის ვადაში;
5. წყვილში შეცდომით არის მითითებული რომელიმე გუნდი;
6. არასწორად ან არასრულად არის შევსებული ქვითარი.

ცალკეულ მატჩზე დადებული ფსონი მატჩის გადადების ან არჩატარების შემთხვევაში უბრუნდება მოთამაშეს. იმ შემთხვევაში, როდესაც ბილეთში შეტანილია რამდენიმე მატჩის შედეგი ერთად და ერთ-ერთი შეხვედრა რაიმე მიზეზით გაუქმდა, ამ მატჩის შედეგი მოთამაშეს ჩაეთვლება გამოცნობილად (კოეფიციენტი — 1,0) და დანარჩენი შედეგები არსებული წესის მიხედვით განიხილება.

თუ მატჩი დამთავრდა და მისი შედეგი დაფიქსირდა, ხოლო შემდეგ გაპროტესტდა და შედეგი შეიცვალა ან მატჩი გადათამაშდა, მოგებები გაიცემა პირველი შედეგის მიხედვით. გაუქმებულად ჩაითვლება მხოლოდ ის ფსონები, რომლებიც ჩამოსულია ორმატჩიან სათასო ტურნირებში შემდეგ ეტაპზე გასვლისთვის პირველი მატჩების წინ).

ტურში გატანილი გოლების რაოდენობაზე დადებული ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოცემული ტურის რომელიმე მატჩი გადაიდო და ამ მატჩს შეეძლო გავლენა მოეხდინა ბილეთში შევსებულ პროგნოზზე.

ფსონის მინიმალური ოდენობაა: ერთ ვარიანტზე 1 ლარი. თუ ერთ ვარიანტზე დადებულია 1 ლარზე ნაკლები, მაშინ ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება. ფსონები, რომლებზეც შესაძლო მოგება აღემატება 5000 ლარს, თანხმდება ადმინისტრაციასთან.

ქვითარი უნდა შეივსოს გარკვევით შავი ან ლურჯი ფერის პასტით, არ შეიძლება ქვითრის ფანქრით ან წითელი პასტით შევსება. გადაშლილი ან გადასწორებული ქვითარი არ განიხილება და თანხა უბრუნდება მოთამაშეს. ბილეთში, რომელიც ჩაბარებულია ბუკმეკერთან, ცვლილებების შეტანა აკრძალულია, ჩაბარებული ბილეთი უკან არ გაიცემა.

ერთ ბილეთში რამდენიმე ვარიანტის შეტანისას მოთამაშე ვალდებულია, მიუთითოს ვარიანტთა საერთო რაოდენობა.

ქვითარი თვითკოპირებადია და შედგება ორი იდენტური ნაწილისგან, ივსება მხოლოდ პირველი პირი მოთამაშის მიერ და იგი არის სრული პასუხისმგებელი მის სწორად შევსებაზე. შევსებული ქვითარი უნდა ჩაბარდეს „კროკო"-ს ბუკმეკერს, რომელიც თავისი პირადი ბეჭდით ადასტურებს ქვითარის მიღებას, აწერს მას ჩაბარების თარიღს და უბრუნებს მოთამაშეს მის კუთვნილ ნაწილს. ბუკმეკერი არ აგებს პასუხს ქვითარში აღნიშნული მატჩებისა და ფსონების მართებულობაზე. ქვითრების გაცემა არ არის შეზღუდული და მას საბუთის ძალა ენიჭება მხოლოდ ზემოთ აღნიშნული წესით შევსებისა და „კროკო"-ს ადმინისტრაციაში ჩაბარების შემდეგ.

მატჩთა სიასთან ერთად ჩაბარების პუნქტებში გამოკრული უნდა იყოს ბუკმეკერთა ბეჭდების ნიმუშები, რომლებიც მოქმედია ჩაბარების დღისთვის.

მოგებები გაიცემა და პრეტენზიები განიხილება ქვითარში შეტანილი მატჩების ჩატარების ბოლო თარიღიდან ერთი კვირის განმავლობაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ მოგებები არ გაიცემა და პრეტენზიები არ მიიღება. მოგებების გაცემა იწყება მატჩის შემდგომ პირველივე სამუშაო დღეს. იმ შემთხვევაში, თუ მოგებულ ბილეთზე გასაცემი თახა აღემატება ათას ლარს, დასაშვებია მოგება გაიცეს სამი სამუშაო დღის დაგვიანებით.

ადმინისტრაცია პასუხს არ აგებს და მოგებებს არ ანაღდებს იმ ქვითრებზე, რომლებიც არ ჩაბარდა ადმინისტრაციას „კროკო"-ს შიდაგანაწესით დადგენილი წესების მიხედვით.

მოთამაშის მონაწილეობა „კროკო"-ს მიერ წარმოებულ ლატარიებში ნიშნავს, რომ იგი გაცნობილია გათამაშების წესებს და თანახმაა, ითამაშოს არსებული წესებით.

## ქვეყნის ჩემპიონატები

| გერმანია | |
|---|---|
| ბაიერნი | 1,3 |
| დორტმუნდი | 4,0 |
| ლევერკუზენი | 5,0 |
| კაიზერსლაუტერნი | 6,0 |
| ჰერტა | 8,0 |
| **ინგლისი** | |
| მანჩესტერი | 1,4 |
| არსენალი | 3,5 |
| ჩელსი | 4,0 |
| ლივერპული | 6,0 |
| ლიდსი | 8,0 |
| **საფრანგეთი** | |
| მარსელი | 2,0 |
| ბორდო | 3,0 |
| მონაკო | 3,0 |
| პსჟ | 4,0 |
| ლიონი | 6,0 |
| ნანტი | 8,0 |
| ლანსი | 8,0 |
| **იტალია** | |
| მილანი | 2,5 |
| ინტერი | 2,5 |
| იუვენტუსი | 3,0 |
| ლაციო | 3,0 |
| პარმა | 5,0 |
| ფიორენტინა | 7,0 |
| რომა | 8,0 |
| **ესპანეთი** | |
| ბარსელონა | 1,6 |
| რეალი | 2,3 |
| ვალენსია | 5,0 |
| ატლეტიკო | 7,0 |
| დეპორტივო | 8,0 |
| სელტა | 8,0 |
| ბილბაო | 8,0 |
| მალიორკა | 8,0 |
| სოსიედადი | 8,0 |
| **პორტუგალია** | |
| პორტუ | 1,7 |
| ბენფიკა | 2,5 |
| სპორტინგი | 4,0 |
| ბოავიშტა | 8,0 |
| **ჰოლანდია** | |
| აიაქსი | 2,0 |
| ფეიენოორდი | 2,5 |
| ეინდჰოვენი | 2,5 |
| **ბელგია** | |
| ბრიუგე | 2,2 |
| ანდერლეხტი | 2,2 |
| გენკი | 3,0 |
| სტანდარდი | 8,0 |

| საბერძნეთი | |
|---|---|
| ოლიმპიაკოსი | 2,0 |
| პანათინაიკოსი | 2,0 |
| აეკ | 3,0 |
| პაოკ | 8,0 |
| **ჩეხეთი** | |
| სპარტა | 1,6 |
| სლავია | 2,3 |
| სიგმა | 8,0 |
| ტეპლიტე | 8,0 |
| ბანიკი | 8,0 |
| **პოლონეთი** | |
| ვისლა | 1,5 |
| ლეგია | 2,5 |
| ვიძევი | 4,0 |
| ლეხი | 8,0 |
| პოლონია | 8,0 |
| **უკრაინა** | |
| დინამო კიევი | 1,1 |
| შახტიორი | 6,0 |
| კარპატი | 8,0 |
| ტავრია | 8,0 |
| **თურქეთი** | |
| გალათასარაი | 1,4 |
| ფერენბაჰჩე | 3,0 |
| ბეშიქთაში | 5,0 |
| ტრაბზონი | 7,0 |
| **შოტლანდია** | |
| რეინჯერსი | 1,6 |
| სელტიკი | 2,3 |
| **ავსტრია** | |
| რაპიდი | 1,8 |
| შტურმი | 2,0 |
| ზალცბურგი | 4,0 |
| აუსტრია | 5,0 |
| გრაცერი | 8,0 |
| **შვეიცარია** | |
| გრასჰოპერი | 1,8 |
| სერვეტი | 3,0 |
| ციურიხი | 4,0 |
| ლოზანა | 5,0 |
| **დანია** | |
| ბრონდბიუ | 2,0 |
| კოპენჰაგენი | 3,0 |
| ოლბორგი | 3,0 |
| სილკებორგი | 5,0 |
| აკდემიკსი | 5,0 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

## რომელი გუნდი გაიმარჯვებს

| | |
|---|---|
| მანჩესტერი | 2,5 |
| მილანი | 2,5 |
| ბარსელონა | 2,5 |
| ლაციო | 4,0 |
| ფიორენტინა | 5,0 |
| პარმა | 5,0 |
| ბაიერნი | 5,0 |
| რეალი | 6,0 |
| არსენალი | 7,0 |
| ჩელსი | 7,0 |
| დორტმუნდი | 10,0 |
| ლევერკუზენი | 10,0 |
| მარსელი | 10,0 |
| ბორდო | 10,0 |
| ვალენსია | 10,0 |
| მალიორკა | 15,0 |
| ჰერტა | 15,0 |
| ლიონი | 15,0 |
| ფეიენოორდი | 15,0 |
| ეინდჰოვენი | 15,0 |
| პორტუ | 15,0 |
| დინამო (კიევი) | 15,0 |
| სპარტაკი | 25,0 |
| რუსენბორგი | 25,0 |
| კროაცია | 25,0 |
| პარტიზანი | 25,0 |
| გენკი | 25,0 |
| ოლიმპიაკოსი | 50,0 |
| აეკ | 50,0 |
| გალათასარაი | 50,0 |
| ბეშიქთაში | 50,0 |
| ბოავიშტა | 50,0 |
| ცსკა | 50,0 |
| რეინჯერსი | 50,0 |

## ჩემპიონთა თასი

### რომელი ქვეყნის წარმომადგენელი გაიმარჯვებს

| | |
|---|---|
| იტალია | 2,0 |
| ესპანეთი | 2,4 |
| ინგლისი | 2,4 |
| გერმანია | 3,0 |
| საფრანგეთი | 5,0 |
| ჰოლანდია | 8,0 |
| პორტუგალია | 15,0 |
| უკრაინა | 15,0 |
| ნორვეგია | 25,0 |
| რუსეთი | 25,0 |
| ხორვატია | 25,0 |
| ბელგია | 25,0 |
| იუგოსლავია | 25,0 |
| საბერძნეთი | 50,0 |
| თურქეთი | 50,0 |
| შოტლანდია | 50,0 |

## უეფას თასი

### რომელი ქვეყნის წარმომადგენელი გაიმარჯვებს

| | |
|---|---|
| იტალია | 2,5 |
| ესპანეთი | 3,0 |
| ინგლისი | 3,0 |
| გერმანია | 5,0 |
| საფრანგეთი | 8,0 |
| ჰოლანდია | 8,0 |
| პორტუგალია | 12,0 |
| ბელგია | 15,0 |
| რუსეთი | 25,0 |
| იუგოსლავია | 25,0 |
| ხორვატია | 25,0 |
| შვედეთი | 25,0 |
| ჩეხეთი | 50,0 |
| ნორვეგია | 50,0 |
| თურქეთი | 50,0 |
| შვეიცარია | 50,0 |
| შოტლანდია | 50,0 |
| საბერძნეთი | 50,0 |
| რუმინეთი | 50,0 |

## რომელი გუნდი გაიმარჯვებს

| | |
|---|---|
| იუვენტუსი | 3,0 |
| რომა | 5,0 |
| ლიდსი | 7,0 |
| ტოტენჰემი | 7,0 |
| ბოლონია | 7,0 |
| უდინეზე | 7,0 |
| აიაქსი | 7,0 |
| კაიზერსლაუტერნი | 7,0 |
| დეპორტივო | 10,0 |
| სელტა | 10,0 |
| ატლეტიკო | 10,0 |
| ნიუკასლი | 10,0 |
| ვერდერი | 15,0 |
| ვოლფსბურგი | 15,0 |
| ჰამბურგი | 15,0 |
| დუისბურგი | 15,0 |
| ვესტ ჰემი | 15,0 |
| მონაკო | 15,0 |
| ნანტი | 15,0 |
| ლანსი | 15,0 |
| რენი | 25,0 |
| მონპელიე | 25,0 |
| ბენფიკა | 25,0 |
| სპორტინგი | 25,0 |
| ვიტებსკი | 25,0 |
| ლოკომოტივი (მოსკოვი) | 25,0 |
| ჰაიდუკი | 25,0 |
| ცრვენა ზვეზდა | 25,0 |
| ბრიუგე | 25,0 |
| ანდერლეხტი | 25,0 |
| სელტიკი | 25,0 |
| გიოტებორგი | 50,0 |
| პაოკ | 50,0 |
| პანათინაიკოსი | 50,0 |
| როდა | 50,0 |
| სლავია (პრაღა) | 50,0 |
| ზენიტი | 50,0 |
| ფენერბაჰჩე | 50,0 |
| გრასჰოპერი | 50,0 |
| ლიერსი | 50,0 |
| ლოკერენი | 50,0 |
| სტ. ტრუიდენი | 50,0 |
| სტიაუა | 50,0 |
| დინამო (ბუქარესტი) | 50,0 |

*გადამრავლება შეიძლება მხოლოდ ქვეყნის ქვეყანაზე ან გუნდის გუნდზე. ქვეყნის და გუნდის გადამრავლება არ შეიძლება.*
*იმ გუნდებზე, რომლებიც სიაში არ არის შეტანილი, ფსონები არ მიიღება.*

კროკოს ბიუროთა მისამართები:
თბილისში — ფურცელაძის ქუჩა, კინოთეატრ „რუსთაველის" შენობაში;
№2 ცენტრალური ფოსტამტი აღმაშენებლის გამზირზე; გლდანი, I სავაჭრო ცენტრი.
ქუთაისში — პუშკინის ქუჩა 16, ტელერადიოკომპანია „ივერიონის" შენობაში.
ბათუმში — აჰმედ მელაშვილის ქუჩა 23. (ყოფილი კამოს ქუჩა)
რუსთავში — მაჩაბლის ქუჩა 3. პირიმზე, მეორე სართული.
'გორში — სტალინის ქუჩა. ჭადრაკის კლუბი.
თელავში — კოსტავას ქუჩა 23
ფსონები მიიღება ყოველდღე ორშაბათისა და ხუთშაბათის გარდა 13-დან 16 საათამდე
**კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

# ქარაბაკი ავტოდორში ვარჯიშობს თან კალევზე ფიქრობს

ფეხის ორი უმძიმესი ოპერაციისა და წელიწადნახევრიანი იძულებითი შესვენების შემდეგ საქართველოს კალათბურთელთა ნაკრების თავდამსხმელი ლევან ქარაბაკი, მოგეხსენებათ, უკრაინაში აღმოჩნდა, სადაც მკურნალობის სრული კურსი გაიარა და შემდეგ იქვე ბელაცერკოვის „ნეფტოხიმაველში“ ვარჯიშს შეუდგა. უკრაინაში ქარაბაკი დიდხანს არ გაჩერებულა, სულ მალე მან ფინეთს მიაშურა და იქ იუვასკულას „ვოიკოტში“ ჩაირიცხა.

ვერც ფინური კლუბი აღმოჩნდა ჩვენებურის საბოლოო ნავსაყუდელი. ლევანი სამშობლოში დაბრუნდა, ეროვნულ გუნდთან ერთად ორ საევროპო შეხვედრაშიც (ლატვიასთან და იტალიასთან) მიიღო მონაწილეობა და როცა მისით დაინტერესებულმა თსუ-მ თავისთან გადასვლა შესთავაზა, ქარაბაკს ბევრიც აღარ უფიქრია.

მისმა კარგმა თამაშმა სტუდენტური გუნდი ერთიორად გააძლიერა, თუმცა ეს ერთი შეხედვით, რადგან წელიწადნახევრიან უმოქმედობას უკვალოდ არ ჩაევლო და ქარაბაკიც აღარ იყო ის, ძველი ქარაბაკი.

ქართული კალათბურთისა და მისი ქომაგების საბედნიეროდ, ნიჭიერ ქარაბაკს ხელი არ ჩაუქნევია, ივარჯიშა, მოინდომა და სეზონის ბოლოს ისეთ ფორმას მიაღწია, რომ აშკარა გახდა, მეტი ძალისხმევის შედეგად ქარაბაკი გაცილებით მაღალ დონეზეც შეძლებდა თამაშს.

არა, ჯერ არაფერი გადაწყვეტილა, მაგრამ არც ის გაგიკვირდეთ, რომ სულ მალე ქარაბაკმა ნორმალური ევროპული კლასის გუნდში ამოყოს თავი. ფინეთში ბურთაობისას ლევანი „ვოიკოტის“ მწვრთნელს, ესტონელ ჰეინო ლილს ისე მოსწონებია, რომ ამ უკანასკნელს უთქვამს, შენ ოღონდ თანხმობა თქვი და ტალინის „კალევში“ ისე მოგაწყობ, გასინჯვაც არ დაგჭირდებაო.

ქარაბაკმა ესტონური ვარიანტი დაიგულა და სულ ახლახანს, როგორც შევიტყვეთ, რუსეთში გაფრინდა, სადაც სარატოვის „ავტოდორს“ აწონებს თავს. ეს გუნდი ახლა ჩერემშინის საწვრთნელ ბაზაზე გადის შეკრებას, ქარაბაკიც იქვეა, ვარჯიშობს და მწვრთნელის, ანდრეი სიდიაკინის საბოლოო პასუხს ელის.



ლევან ქარაბაკი

ცნობისათვის, „ავტოდორიცა“ და „კალევიც“ წლეულს საპორტას თასზე ითამაშებენ და თუ ქარაბაკი ერთ-ერთ მათგანში ჩაირიცხა, მასაც იქ ვიხილავთ.

**გიორგი ბიძაშვილი**

# იმუშავებენ ერთად ბეჟანიშვილი და ხომიჩუსი?



ვლადიმერ ბეჟანიშვილი

ევროპაში ახლა სატრანსფერო სეზონია გახურებული. იქაურ მიდი-მოდის რა თავში ვიხლით, ჩვენ ჩვენსაზე ვზრუნავთ, იქნებ რომელიმე ქართველმა ივარგოს, ბედმაც გაუღიმოს და ძლიერ ევროპულ კლუბთან სარფიანი კონტრაქტიც გააფორმოსო.

საზღვარგარეთ მობურთალი ჩვენებურები ძირითადად ერთწლიან კონტრაქტებს ამჯობინებენ-ხოლმე. ერთის მხრივ ეს იქნებ კარგიცაა, მაგრამ საქართველოს კალათბურთელთა ნაკრების თავდამსხმელ ვლადიმერ ბეჟანიშვილის მაგალითზე ასე როდი ითქმის. გასულ სეზონში რუსულ „ურალ გრეიტში“ მოთამაშე ბეჟანიშვილს თავის დროზე მეტი წინდახედულება რომ გამოეჩინა, ახლა საფიქრალიც აღარაფერი ექნებოდა.

საქმე ისაა, რომ შარშან პერმში გასასინჯად ჩასულმა ვაკომ ურალგრეიტელების მოწონება დაიმსახურა და კლუბის თავკაცობამ მას გრძელვადიანი კონტრაქტიც შესთავაზა. ქართველმა იუარა, ჯერ ერთი წლით დავრჩები და აქაურობა თუ მომეწონა, კონტრაქტის გაგრძელებას წინ რაღა დაუდგებაო, უთქვამს. რა იცოდა, თუ...

ახლა ყველაფერი შეიცვალა, გუნდის ხელმძღვანელობამ რუსეთში მეოთხეობა მწვრთნელს წარუმატებლობად ჩაუთვალა, იგი თანამდებობიდან დაითხოვეს, მის შემცვლელად კი გამოცდილ სპეციალისტს, ჯერჯერობით კვლავაც რუსთა ნაკრების მთავარ გამწვრთნელ, სერგეი ბელოვს უხმეს. ბელოვი შეთავაზებულ წინადადებას დათანხმდა, რითაც ბეჟანიშვილის ურალგრეიტელობა საეჭვო გახდა. იმიტომ არა, რომ ბელოვი ქართველს არ სწყალობს, უბრალოდ, არ იცის, დასჭირდება თუ არა მას ბეჟანიშვილი.

ვაკო ახლა თბილისში ინდივიდუალურად ვარჯიშობს, სათამაშო ფორმა რომ შევინარჩუნოო, უთხრა „სარბიელს“:

„პერმიდან იმ პირობით წამოვედი, რომ ახლა უკვე იქ უნდა ვყოფილიყავი და კონტრაქტი გამეახლებინა. ახლახან დამირეკეს და მითხრეს, მწვრთნელად ბელოვი დაინიშნა და ამის შემდეგ ყველაფერი მხოლოდ მისი გადასაწყვეტიაო. ისე კი დიდი სურვილი გამოთქვეს, რომ კვლავაც მათთან გავაგრძელო თამაში. შევეცდებით, შენით მწვრთნელიც დავაინტერესოთო, დამაიმედეს.

მეც ძალიან მინდა „ურალ გრეიტში“ ყოფნა. იქაურობას კარგად შევეგუე, კარგი გუნდია და პირობებიც ნორმალური მქონდა. ბელოვი პირველად გუშინწინ უნდა ჩასულიყო პერმში. ალბათ, ყველაფერს აწონ-დაწონის და საბოლოო პასუხსაც მერე იტყვის“ — გვითხრა გუშინ ბეჟანიშვილმა.

უკანასკნელი ინფორმაცია, რაც პერმიდან შევიტყვეთ, ის გახლავთ, რომ სერგეი ბელოვი მართლაც ჩასულა პერმში და თავდაპირველად მიზნად თანაშემწის მოძიება დაუსახავს. ამ საკითხზე კი არც მეტი, არც ნაკლები, თვით სეულის ოლიმპიადის ჩემპიონისთვის, ლიტველი ვალდემარას ხომიჩუსისთვის მიუმართავს. ხომიჩუსს კი ბელოვისგან დრო უთხოვია მოსაფიქრებლად.

პერმელებს, ცხადია, მაღალი მიზნები ამოძრავებთ. საკითხავი ერთიღაა — მომავლის „ურალ გრეიტში“ ვლადიმერ ბეჟანიშვილიც თუ მოიაზრება.

**საბა ესებუა**

# ჩრდილოელები იანვარში დაიწყებენ

შარუნას მარჩულიონისს, დიდ ლიტველ კალათბურთელს, ჯერ კიდევ ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში თამაშის დროს გაუჩნდა ჩრდილოევროპული საკალათბურთო ლიგის შექმნის იდეა. კალათბურთელის კარიერის დასრულების შემდეგ მარჩულიონისი ლიტვაში დაბრუნდა, და საოცნებო პროექტზე მუშაობა დაიწყო: ცოტა თავის ფული დადო, ცოტა — პარტნიორების, სპონსორებიც შეაწუხა...

ასეა თუ ისე, 2000 წლის იანვარში დაიწყება ჩრდილოევროპული საკალათბურთო ლიგის პირველი ჩემპიონატი, რომელშიც 9 ქვეყნის 14 გუნდი მიიღებს მონაწილეობას: „ჟალგირისი“, „ლიეტუვოს რიტასი“, „ალიტა“ (სამივე ლიტვა), „ვენტსპილსი“, „ბროცენი“ (ორივე ლატვია), „ტორპან პოიატი“, „ტაპიოლანი“ (ორივე ფინეთი), ცსკა (რუსეთი), „ბკ კიევი“ (უკრაინა), „კალევი“ (ესტონეთი), „ბორასი“, „პლანია“ (ორივე შვედეთი), „კოპენჰაგენი“ (დანია), „სკაილაინერზი“ (გერმანია).

რეგულარული ჩემპიონატი 6 იანვრიდან 19 მარტამდე გაიმართება. აქ პირველ ორ ადგილზე გასული გუნდი ავტომატურად გადის ჩრდილოევროპული საკალათბურთო ლიგის „ოთხთა ფინალში“. 3-10 ადგილებზე გასული გუნდები პლეი ოფში გააგრძელებენ ბრძოლას. ამათგან ორი საუკეთესო „ოთხთა ფინალში“ გადის. ეს ტურნირი კი 9-10 (ან 15-16) აპრილს გაიმართება. „ოთხთა ფინალის“ მასპინძლობის საუკეთესო კანდიდატები არიან მოსკოვი, კიევი და ფრანკფურტი.

ლიგის დამფუძნებელი და კომისარი შარუნას მარჩულიონისი მყარ ფინანსურ გარანტიებს იძლევა. მონაწილე გუნდს ფული, პრაქტიკულად, არაფერში ეხარჯება: ავიაბილეთების, შიდა ტრანსპორტირების, სასტუმროს და კვების ფულს თავად ლიგა იხდის. პლეი ოფში გასული გუნდები პრემიებს მიიღებენ.

# ახალ საუკუნეში ფიბა ევროთასებს ფორმას და სახეს შეუცვლის

*ფიბამ შეცვალა ევროთასების გათამაშების ფორმატი და 2000-20001 წლების სეზონიდან აღნიშნული შეჯიბრებები ამგვარი სისტემით გაიმართება:*

## ევროლიგა — 24 კლუბი

ეროვნული ფედერაციები ევროლიგის 2000-2001 წლების გათამაშებაში კლბებს მიავლენენ ევროლიგისა და საპორტას თასის 1999-2000 წლების გათამაშების, აგრეთვე ბოლო სამი წლის ყველა ევროპული თასის შედეგების გათვალისწინებით. გუნდების შერჩევის პრინციპი ამგვარია:

*2 ადგილს მიიღებენ კლუბები, რომლებიც ევროლიგის 1999-2000 წლების გათამაშების ფინალში გავლენ.*

*12 ადგილს დაიკავებენ ფიბას რეიტინგით 12 საუკეთესო ეროვნული ფედერაციის წარმომადგენელი კლუბები. თითო ფედერაცია მიავლენს თითო კლუბს.*

*4 ადგილს დამატებით დაიკავებენ ფიბას რეიტინგით 4 საუკეთესო ეროვნული ფედერაციის წარმომადგენელი კლუბები. თითო ფედერაცია მიავლენს თითო კლუბს.*

*4 ადგილს დაიკავებენ იმ ეროვნულ ფედერაციათა წარმომადგენლები, რომელთა კლუბები გავლენ საპორტას თასის 1999-2000 წლის გათამაშების ნახევარფინალში.*

*2 კლუბს შეარჩევს ფიბას მიერ გამოყოფილი ევროთასების კომისია. ისინი გასცემენ ე.წ. „უაილდ ქარდს“.*

ამრიგად, 2000-2001 წლების ევროლიგაში ითამაშებს 24 კლუბი. გათამაშების სისტემა ასეთია: პირველ ჯგუფურ ეტაპზე შეიქმნება ოთხი 6-გუნდიანი ჯგუფი. მეორე ჯგუფურ ეტაპზე ასპარეზობა ასევე ოთხ 6-გუნდიან ჯგუფში გაგრძელდება, ოღონდ ახალ ჯგუფებში ძველი ჯგუფებიდან სამ-სამი გუნდი ჯვარედინი სისტემით გადავა (მაგალითად, A1, A2, A3, B4, B5, B6).

მეორე ჯგუფურ ეტაპზე ჯგუფების ოთ-ოთხი საუკეთესო გუნდი გავა მერვედფინალში, საიდანაც გათამაშება ოლიმპიური სისტემით გაგრძელდება. ოთხი დარჩენილი გუნდი შეიკრიბება ერთ ქალაქში და გამართავს „ოთხთა ფინალს“, რომლის გამარჯვებულიც ევროლიგის 2000-2001 წლების გათამაშების გამარჯვებულად გამოცხადდება. „ოთხთა ფინალი“ გაიმართება 2001 წლის 8-10 აპრილს.

ახლა გაგაცნობთ ზოგიერთ დამატებით დეტალს ევროლიგის 2000-2001 წლების გათამაშების შესახებ:

ერთ ეროვნულ ფედერაციას არ შეიძლება ჰყავდეს სამზე მეტი კლუბი ევროლიგაში.

ეროვნულ ფედერაციას (თუკი საკმარისი ადგილები აქვს) პირდაპირ შეუძლია მიავლინოს ევროლიგაში ეროვნული პირველობის ჩემპიონი და მეორე ადგილზე გასული. თუკი ეროვნულ ფედერაციას აქვს ევროლიგაში მესამე კლუბის მივლენის უფლება, იგი მის ვინაობას არკვევს საკუთარი წესდების და დადგენილი წესების მიხედვით.

როდესაც გაირკვევა ევროლიგის 22 მონაწილე, ფიბას მიერ გამოყოფილი ევროთასების კომისია კენჭისყრამდე ასახელებს „უაილდ ქარდის“ მფლობელ ორ გუნდს.

„უაილდ ქარდს“ მიიღებენ იმ ფედერაციების წარმომადგენლები, რომელთაც:

1) არ ჰყავთ წარმომადგენელი ევროლიგაში და აქვთ ამგვარ ფედერაციათაგან უმაღლესი რეიტინგი (ერთი ადგილი).

2) არ შეუვსიათ კლუბების ლიმიტი (ანუ არ ჰყავთ 3 კლუბი ევროლიგაში) და ამგვარ ფედერაციათაგან აქვთ უმაღლესი რეიტინგი (მეორე ადგილი).

## საპორტას თასი — 24 კლუბი

ეროვნული ფედერაციები საპორტას თასის 2000-2001 წლების გათამაშებაში კლუბებს მიავლენენ ევროლიგისა და კორაჩის თასის 1999-2000 წლების გათამაშებების, აგრეთვე ბოლო სამი წლის ყველა ევროპული თასის შედეგების გათვალისწინებით. გუნდების შერჩევის პრინციპი ამგვარია:

*18 ადგილს დაიკავებენ ფიბას რეიტინგით 18 საუკეთესო ეროვნული ფედერაციის წარმომადგენელი კლუბები. თითო ფედერაცია მიავლენს თითო კლუბს.*

*2 ადგილს დაიკავებენ იმ ეროვნულ ფედერაციათა წარმომადგენლები, რომელთა კლუბები ევროლიგის 1999-2000 წლების გათამაშებაში დაიკავებენ 3-4 ადგილებს.*

*4 ადგილს დაიკავებენ იმ ეროვნულ ფედერაციათა წარმომადგენლები, რომელთა კლუბები გავლენ კორაჩის თასის 1999-2000 წლების გათამაშების ნახევარფინალში.*

ამრიგად, საპორტას თასის 2000-2001 წლების გათამაშებაში მონაწილეობას მიიღებს 24 კლუბი.

გათამაშების სისტემა ასეთია: შეიქმნება ოთხი 6-გუნდიანი ჯგუფი, რომლებშიაც თამაშები წრიულად გაიმართება (შინ-სტუმრად პრინციპით, თითო კლუბი გამართავს 10 მატჩს). თითო ჯგუფიდან ოთხი საუკეთესო გავა მერვედფინალში. მერე გათამაშება ოლიმპიური სისტემით გაგრძელდება (შინ-სტუმრად პრინციპით). ფინალი (ერთი მატჩი) გაიმართება 2001 წლის 17 აპრილს.

ერთ ეროვნულ ფედერაციას არ შეიძლება ჰყავდეს ორზე მეტი კლუბი საპორტას თასზე.

## კორაჩის თასი

ნებისმიერ ეროვნულ ფედერაციას შეუძლია მიავლინოს მაქსიმუმ 4 კლუბი კორაჩის თასის 2000-2001 წლების გათამაშებაში. ამასთანავე, უნდა დაცული იყოს პრინციპი: ერთ ეროვნულ ფედერაციას არ შეიძლება ჰყავდეს შვიდზე მეტი კლუბი სამივე ევროპულ თასზე.

თუკი კორაჩის თასზე მონაწილეობის სურვილს გამოთქვამს 128-ზე მეტი კლუბი, მაშინ უმდაბლესი რეიტინგის მქონე ეროვნულ ფედერაციებს მოაკლდებათ თითო ადგილი. ყველა შემთხვევაში, ნებისმიერ ეროვნულ ფედერაციას გარანტირებული ექნება მინიმუმ ერთი ადგილი.

თუკი კორაჩის თასზე მონაწილეობის სურვილს გამოთქვამს 64-ზე მეტი კლუბი, მაშინ გაიმართება პირველი შესარჩევი წრე (შინ-სტუმრად პრინციპით, მატჩები გაიმართება 2000 წლის 28 სექტემბერს და 5 ოქტომბერს). როცა დარჩენილი კლუბების რაოდენობა გახდება 64, გაიმართება მეორე შესარჩევი წრე (შინ-სტუმრად პრინციპით, მატჩები გაიმართება 2000 წლის 19 და 26 ოქტომბერს).

დარჩენილი 32 კლუბი განაწილდება 8 ჯგუფში (თითო ჯგუფში 4 გუნდი). ჯგუფებში მატჩები გაიმართება წრიულად (შინ-სტუმრად პრინციპით, თითოეული გუნდი გამართავს 6 მატჩს), 2000 წლის 16 ნოემბრიდან 2001 წლის 18 იანვრამდე. ჯგუფის ორი საუკეთესო გავა მერვედფინალში, საიდანაც გათამაშება ოლიმპიური პრინციპით გაგრძელდება. ფინალური მატჩები (შინ-სტუმრად პრინციპით), გაიმართება 2001 წლის 11 და 18 აპრილს.

# იმნაიშვილი სიდნეიში მაინც წავა

## საკითხავი ესღაა: მარტო ჰალსტუხი დასჭირდება თუ თოფიც?

**ამ დღეებში ფინეთის ქალაქ ტამპერეში დამთავრდა მსოფლიოს ჩემპიონატი სასტენდო სროლაში. იქ ქართველთაგან მხოლოდ მრგვალ სტენდზე მსროლელები — თამაზ იმნაიშვილი და დავით ქვათაძე ასპარეზობდნენ. ფინალში რომ ვერც ერთი გავიდა, ეს უკვე გაცნობეთ. დღეს კი თბილისში დაბრუნებულ თამაზ იმნაიშვილთან ინტერვიუს გთავაზობთ**



[illegible] ფოტო

— ეს მსოფლიოს ჩემპიონატი ბოლო იყო ოლიმპიადის წინ, რამაც მას სხვანაირი დატვირთვა შესძინა. ატმოსფერო კი ისეთივე დაძაბული გახლდათ, როგორიც მსოფლიოს პირველობას შეეფერება.

წინასწარ სროლებში ქვათაძემ 125 ქულიდან 120 დააგროვა, მე — 119. ფინალური ექვსეული კი 122-ქულიანმა „დახურა".

**— შეგეძლოთ თუ არა უკეთესი შედეგის მიღწევა ან თქვენ, ან ქვათაძეს და თუ ასეა ხელი რამ შეგიშალათ?**

— უვარჯიშებლობამ. ცხრა წლის წინ, საქართველოში შინაომების დაწყების მერე, ჩვენთან არსებული ყველა სასტენდო სასროლეთი დაინგრა. დღემდე ერთიც არაა აღდგენილი. ამიტომ ტურნირზე ყოველთვის უვარჯიშებლები მივდივართ. ტამპერეშიც ასე იყო. პირადად მე ზუსტად ერთი წელია, არ მისვრია. შარშან, ივლისში ბარსელონაში ჩატარებული მსოფლიოს ჩემპიონატი ჩემთვის აქამდე ბოლო შეჯიბრება იყო. ქვათაძე კი წავიდა ერთხელ ტოკიოში და იქ ურიგოდ არ უსვრია.

**— ესე იგი, მესტენდურებს საქართველოში სავარჯიშო ბაზა არ გაქვთ?**

— საქართველოს არც ერთ ქალაქში სასტენდო სროლისთვის საჭირო ერთი პატარა მოედანიც კი არაა.

**— როცა თქვენ სიდნეის ოლიმპიური მისიის ხელმძღვანელად დაგასახელეს, სპორტის დეპარტამენტი წინააღმდეგი წავიდა იმ მიზეზით, რომ სიდნეიში მოქმედ სპორტსმენად უნდა ჩასულიყავით და არა მისიის ხელმძღვანელად. დღეს თუ გიქმნით ის ხელსაყრელ პირობებს ოლიმპიური ლიცენზიის მოსაპოვებლად?**

— დეპარტამენტს რაც შეუძლია, მეხმარება. იმედია, ევროპის ჩემპიონატისთვისაც დამაფინანსებს, სადაც ხუთი ლიცენზია გაიცემა. ეს ჩვენი ოლიმპიადაზე მოხვედრის ბოლო შანსია.

**— მაგრამ ვიცი, რომ დეპარტამენტმა მხოლოდ კვიპროსის დიდ პრიზზე დაგაფინანსათ, ფინეთში — ოლიმპიურმა კომიტეტმა. განა ლიცენზიის მოსაპოვებლად ერთი ტურნირი კმარა?**

— მაგრამ ოლიმპიურ კომიტეტს ხომ დეპარტამენტმა სთხოვა. ყოველ შემთხვევაში, მე დამაფინანსეს და ჩემთვის მთავარი ესაა. ისე კი, დეპარტამენტთან პრობლემები არა მაქვს. მის თავმჯდომარესთან, კახი ასათიანთან, კიდეც მოვილაპარაკე. მას ძალიან უნდა, სიდნეიში სპორტსმენად ჩავიდე, მაგრამ ამისთვის მარტო სურვილი არ კმარა. ვარჯიშია საჭირო.

**— თუნდაც მცირე ხნით სავარჯიშოდ რომ გაგიშვათ, ეს ხომ მაინც შესაძლებელია...**

— გეთანხმებით, ეს შეიძლება...

**— ტამპერეში ფრანგებთან მოლაპარაკებას რომ აწარმოებდით ევროპის ჩემპიონატის წინ მათ ბაზაზე მომზადების თაობაზე, თუ შეთანხმდით?**

— ფრანგებმა ამ ევროპის ჩემპიონატისთვის საგანგებოდ ააგეს ახალი სასროლეთი. მისი გახსნა აგვისტოს ბოლოსთვისაა ნავარაუდევი. ჩემპიონატი კი სექტემბრის დამდეგს იწყება. ამ ერთ კვირაში შეიძლება შეკრება მოვაწყოთ. უვარჯიშებლად გამოსვლა ძნელია. რამდენიმედღიანი ვარჯიში აუცილებელია. ის შეკრება კი საამისოდ მისწრება იქნება. სწორედ ამის თაობაზე ვესაუბრეთ ფრანგებს. მათგან თანხმობა მივიღეთ. ახლა ჯერი ჩვენზეა. ვნახოთ, თუ დაგვაფინანსებენ.

**— ბოლოს ამ ევროპის ჩემპიონატზეც ვთქვათ, რომელიც სიდნეიში მოხვედრის ბოლო იმედად დაგრჩათ.**

— ევროპის ჩემპიონატი [illegible] სექტემბერს იწყება [illegible] დება ხუთი ლიცენზია, მათ მოსაპოვებლად ადგილზე, [illegible]ში, სამ-ოთხი დღით ვარჯიში მაინცაა საჭირო. მგონი, საამისოდ დაგვაფინანსებენ და საფრანგეთში აგვისტოს ბოლოს წავალთ.

მაგრამ ეს ჩემპიონატი ჩემთვის სიდნეიში მოხვედრის ბოლო შანსი სულაც არაა. ოლიმპიური კომიტეტის აღმასკომის განმეორებით სხდომაზე მე მაინც დამამტკიცეს ოლიმპიური მისიის ხელმძღვანელად. ოღონდ იმ პირობით, რომ თუ ოლიმპიურ ლიცენზიას მოვიპოვებ, მაშინ მისიას სხვა უხელმძღვანელებს. ასე რომ, სიდნეიში ნამდვილად ჩავალ. საკითხავი მხოლოდ ისაა, სპორტსმენად თუ მისიის ხელმძღვანელად.

ზემოთქმულს რა უნდა დავუმატო ან რა კომენტარი გავუკეთო? როგორ გინდა, უვარჯიშებელ სპორტსმენს მსოფლიოსა თუ ევროპის ჩემპიონატებზე წარმატება მოსთხოვო? დეპარტამენტის პოზიცია კი გვაკვირვებს. მან ფედერაციების დაფინანსება ლამის შეწყვიტა. სანაცვლოდ სხვადასხვა უწყებებს ავალებს ამას, აქეთ — სეოკიო, იქით — თბილისის სპორტის სამმართველოო. აგერ განათლების სამინისტროო, სპორტსაზოგადოებებიო... ერთი სიტყვით, დასავალებელი არ ელევათ. თავს იმართლებენ, სახსრები არა გვაქვსო, მაგრამ ვისაც ავალებს, ისინი რა, ხეზე კრეფენ ფულებს? უახლოეს ხანებში ტყვიის მსროლელები ევროპის, ხოლო მშვილდოსნები — მსოფლიოს ჩემპიონატებზე წავლენ. ამ ორი გუნდის წევრთაგან ის მხოლოდ ერთისას აფინანსებს. ერთი კვირით ხომ მაინც უნდა ავარჯიშო კაცი? თუ ესეც აღარ შეგიძლია და...

**ირაკლი თავაძე**



# ცხოვრება მინდა!

## ტურნირიდან ტურნირზე მგზავრობით დაღლილი შტეფი გრაფი წლეულსაც ითამაშებს და...



შტეფი გრაფი

**შტეფი გრაფი**, ყველა დროის საუკეთესო ჩოგბურთელი ქალი, ამ სეზონის ბოლოს, ალბათ, დიდ სპორტს გამოეთხოვება.

„ჩოგბურთიდან წასვლაზე გასული წლების ტრავმების გამო ბევრს ვფიქრობდი, ხშირად ძალიან ახლოსაც ვიყავი ამ გადაწყვეტილებასთან. ამიტომ გამიმართლა რომ ჩემი პირობებით მივდივარ და არაფერი მაიძულებს ამის გაკეთებას. ეს ნამდვილად ბოლო სეზონი იქნება. კიდევ ხუთ ტურნირზე ვიასპარეზებ და მორჩა" — განაცხადა ნიუ ჯერსიში, ANM-ის საჩვენებელი ტურნირის წინ გრაფმა.

დიდ გერმანელს თავისი გეგმების გამჟღავნება ჯერჯერობით თურმე არ სურდა — იგი ჟურნალისტებმა აიძულეს. ინტერესი შემთხვევითი არ ყოფილა: შტეფიმ როლან გაროსისა და უიმბლდონის ტურნირების შემდეგ განაცხადა, რომ უკან აღარასოდეს დაბრუნდებოდა. თავის ნათქვამს კი კომენტარს ჯიუტ არ უკეთებდა.

თუმც მასმედიის შეუჩერებელმა ზეწოლამ ჩოგბურთის „რკინის ლედიც" კი გატეხა: „ძალიან ძნელი იყო მთელი ამ კითხვების ყოველდღიურად მოსმენა. მე უბრალოდ თამაში მინდა".

გრაფი თავის უკანასკნელ, 54-ე დიდი სლემის ტურნირზე, აგვისტოში, აშშ-ის ღია პირველობაზე იასპარეზებს და ფლაშინგ მედოუზზეც გამარჯვების უპირველესი ფავორიტი იქნება.

„სპორტიდან წასვლა მაშინ გსურს, როდესაც საუკეთესოთა შორის ხარ. ეს იდეალური, მაგრამ ამავე დროს რთული სიტუაციაცაა, რადგან თუ ისევ აღწევ წარმატებებს, საყვარელი საქმიანობისთვის თავის დანებება ძალიან ძნელია".

გრაფს უკვე დიდი ხანია, აღარ სჭირდება გულშემატკივრებს რაიმე დაუმტკიცოს: 1988 წელს მან სეზონის ოთხივე „მეიჯორი" და სეულის ოლიმპიადა — უნიკალური „ოქროს სლემი" მოიგო, კარიერაში სარეკორდო, 364 კვირის მანძილზე ედგა კლასიფიკაციის სათავეში.

სულ გრაფს კოლექციაში 7 უიმბლდონის, 6 როლან გაროსის, 5 აშშ-ის და 4 ავსტრალიის ღია პირველობის ტიტულებია, რომელთა შორის ყველაზე ტკბილი ბოლო, პარიზული ტრიუმფი გამოდგა წლეულს, სადაც ფინალში შტეფიმ მარტინა ჰინგისს აჯობა.

„ძნელია, სიტყვებით გადმოსცე ის რასაც იმ ორი კვირის მანძილზე მივაღწიე. ეს იყო გაცილებით მეტი, რასაც ველოდი ან ვოცნებობდი. საუკეთესო კი ბოლო სამი მატჩი გახლდათ, რომლებშიც მსოფლიოს პირველი, მეორე და მესამე ჩოგნები დავამარცხე".

პარიზის შემდეგ დიდმა გერმანელმა „უიმბლდონზეც" გამოიჩინა თავი, სადაც ფინალში ლინდსი დევენპორტთან დამარცხდა და კლასიფიკაციაში მესამე ადგილზე დამკვიდრდა.

აშკარა გახდა, რომ შტეფის ძველი სიმაღლეების დაპყრობის, დაკარგული პირველობის დაბრუნების ძალაც შესწევდა, მაგრამ...

„იმდენად ჩოგბურთისგან არ ვარ დაღლილი, თამაშს ახლაც მოუთმენლად ველი, ჯერაც მიყვარს. მაგრამ ყველაფერი ეს, ერთი ტურნირიდან მეორეზე მოგზაურობა, ზედმეტად მომთხოვნი და მოსაბეზრებელი გახდა".

გრაფი, რომელიც WTA ტურზე უკვე 17 წლის მანძილზე ასპარეზობდა, გაისიდან მხოლოდ საჩვენებელ ტურნირებზე და საკუთარი სიამოვნებისთვის აპირებს თამაშს.

„ტურზე აღარ ვიქნები, მაგრამ ჩოგბურთისთვის სრულიად თავის დანებებას არ ვაპირებ. იგი ყოველთვის იქნება ჩემი ცხოვრების დიდი შემადგენელი ნაწილი. აქა-იქ, ისეთ ქვეყნებში, სადაც არასოდეს ვყოფილვარ, მომავალშიც ვითამაშებ. ჩოგბურთიდან სრულიად გაქრობას არ ვგეგმავ".

ახლა შტეფის შეეძლება, გაცილებით მეტი დრო დაუთმოს საკუთარ სამენეჯერო კომპანიას, რომელშიც სამ ახალგაზრდა გერმანელ ჩოგბურთელთან, ამავე დროს თავის შეგირდებთან აქვს კონტრაქტი.

— თავისუფალ დროს რის გაკეთებას აპირებთ? — ბოლოს ეს ჰკითხეს დიდ გერმანელს.

— რას გავაკეთებ პირად ცხოვრებაში? როგორც იქნა, ცხოვრებას ვეღირსები.

# შარი და დიდება

**ჩოგბურთის** დიდების დარბაზში კუთვნილი ადგილი ჯონ მაკინროიმ ტაშის გრიალითა და ჩვეული მწარე ენით დაიკავა.

70-იანების ბოლოს ელიტაში შეჭრილი ნიუიორკელი ბევრს სპორტულ მიღწევებთან ერთად მთავარი თუ გვერდითი მსაჯების არანაკლებ ოსტატური ლანძღვა-გინებითა და დაუსრულებელი კამათებით დაამახსოვრდა.

—მან წუწუნი სრულიად ახალ დონეზე აიყვანა — განაცხადა ოლიმპიურმა ჩემპიონმა ერიკ ჰაიდენმა, მაკინროის კოლეჯის მეგობარმა, რომელიც დაჯილდოების ცერემონიალს უძღვებოდა — ვფიქრობ, მისი დარბაზში გაწევრიანების საკითხი მანამ უნდა გადავდოთ, სანამ მთელი მსოფლიოს მსაჯობას ბოდიშს არ მოუხდის".

მაკინროი არ დაბნეულა. „მართლა უნდა მოვუბოდიშო? — შეეკითხა იგი ნიუპორტის კაზინოს დარბაზში შეყრილთ და პასუხად ხმამაღალი „არა" მიიღო — მეც ასე ვფიქრობ. ჯანდაბამდის გზა ჰქონიათ".

თუმცა მოწუწუნისა და შარისთავის გარდა მაკინროი თავისი თაობის ყველაზე ნიჭიერი და ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული წარმომადგენელი იყო, რაზეც სამი უიმბლდონის და ოთხი აშშ-ის ღია პირველობის, სულ კი 77-77 ერთეულებისა და წყვილების ტიტულები მოწმობს. ამასთან ამერიკელი ჯერაც მსოფლიოს უმრწმეს პირველ ჩოგნად რჩება — კლასიფიკაციის თავში იგი 21 წლისა და 1 თვისა მოკალათდა, ეროვნულ ნაკრებს კი დევისის თასი ხუთჯერ მოაგებინა.

ცერემონიალზე ჯონმა სასეირო 45-წუთიანი სიტყვა წარმოთქვა, რომელშიც პირველი მწვრთნელიდან დაწყებული ყველას მადლობა მოუხადა, ამასთან მასმედიას, თავის დროებით მეწყვილე შტეფი გრაფს, ავსტრალიასა და ინგლისს კი ლანძღვა არ დააკლო.

„ვფიქრობ, ჩოგბურთს მე ენერგია შევმატე. ჩემი სტილი გამორჩეული და განუმეორებელი იყო, ჩემი კერპის, როდ ლეივერის მსგავსად, დიდი იარაღი არ გამაჩნდა, მაგრამ თამაშის ნებისმიერ ელემენტს კარგად ვფლობდი" — აღნიშნა „თავმდაბალმა" ამერიკელმა, რომელმაც საკუთარ თავს ხის ჩოგნით მოთამაშე უკანასკნელი დიდი ჩოგბურთელი უწოდა.

თუმცა მაკინროიმ ისიც აღიარა, რომ ფეთქებადი ხასიათის გამო ტყუილად როდი აკრიტიკებდნენ: „ამას მართლაც ვიმსახურებდი, ემოციების შეკავება არასოდეს შემეძლო. ვერაფრით გავექეცი ჩოგბურთის ძველ „ცუდ ბიჭებთან" — ჯიმი კონორსთან და ილიე ნასტასესთან შედარებას. არა მგონია, მათსავით საზიზღარი ვყოფილიყავი, მაგრამ ალბათ, ბევრითაც არ ჩამოვრჩებოდი. ისე, ჩემი გამარჯვებები რომ არა, დარწმუნებული ვარ, ახლა მხოლოდ შარისთავობის გამო არავინ გამიხსენებდა."

**ავთანდილ სვანიძე**



ჯონ მაკინროი (მარჯვნივ) დიდების დარბაზის წევრია

REUTERS




ბედი მომეცით, მიკა სალომ თქვას: ფერარელობაზე ხომ ვერც იოცნებებდა

# მიკა, მაგრამ არა ჰაკინენი

შუმახერის არყოფნის პერიოდში „ფერარიმ" ალეზის უარის შემდეგ გუნდში ფინელი მიკა სალო მიიწვია. იგი 32 წლისაა. კარიერაში საუკეთესო შედეგი მეოთხე ადგილია რბოლაში, კვალიფიკაციაში კი მეექვსე. მოგროვებული აქვს 15 ქულა, მონაწილეობდა 71 რბოლაში.

მიკა სალო ფორმულა 1-ში პირველად 1994 წელს „ლოტუსის" შემადგენლობაში გამოჩნდა. სეზონის დამთავრებამდე ორი ეტაპიღა იყო დარჩენილი, ამ დროს კი ჯონი ჰერბერტმა „ბენეტონს" მიაშურა და სწორედ მის ადგილზე უხმეს „ლოტუსის" თავკაცებმა ფინელ მრბოლს.

მიკას სწრაფი პილოტის რეპუტაციით მოაქვს თავი. ჯერ კიდევ 1990 წელს ბრიტანეთის ფორმულა 3-ში სალომ ჩინებულად იასპარეზა და მხოლოდ თვისტომი და მოსახელე მიკა ჰაკინენი გაუშვა წინ.

„ლოტუსიდან" წამოსვლის მერე სალომ ძალა „ტირელში" სცადა და სამი წლის მანძილზე დაქროდა „ტირელის" ბოლიდით. ამ პერიოდში მან მხოლოდ 12 ქულა დააგროვა.

შარშან მიკა სალო „ეროუსში" გადავიდა და სან-მარინოს დიდ პრიზზე გუნდის ისტორიაში საუკეთესო, მეშვიდე ადგილზე გავიდა.

ახლა კი ფინელი მრბოლი, დროებით, მაგრამ მაინც სახელოვანი „ფერარის" პილოტია, თუ რისი მაქნისია, სწორედ ახლა უნდა დაამტკიცოს, გუშინ მიკამ პირველად გაუგო გემო შუმახერის მანქანას. „ფერარის" ხომ წლევანდელ სეზონში მხოლოდ ჩემპიონობა სურს. ეგ ყველაფერი კარგი, მაგრამ „ფერარის" ამ არჩევანს ალეზიმ გაუგებარი უწოდა. იტალიური ტელეარხით გამოსვლისას მან თქვა, რომ გუნდის ტესტ-პილოტი ლუკა ბადოერი გაცილებით უკეთესი არჩევანი იქნებოდაო — „ფერარიმ" თავისი საქმისა თვითონ იცის, მაგრამ, ჩემი აზრით, სალო და ბადოერი ერთმანეთის კონკურენტები არ არიან. რაღა თქმა უნდა, ბადოერი მთელი თავით მაღლა დგას სალოზე.

# სეზონის ბოლომდე აუცილებლად დავბრუნდები

„ფერარი" ვერ იძლევა პასუხს კითხვაზე, როდის დაუბრუნდება გუნდს შუმახერი. სხვადასხვა შეფასებით, მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი 4 ან 5 რბოლას გამოტოვებს. ეს ციფრი შესაძლოა ნაკლებიც იყოს, მაგრამ არც ის არის გამორიცხული, შუმახერი სეზონის ბოლომდე ვერ დაბრუნდეს ტრასაზე. თავად შუმახერის ვარაუდით, მის გამოჯანმრთელებას 2-3 თვე შეიძლება დასჭირდეს, მაგრამ საჭეს აუცილებლად მიუჯდება სეზონის ბოლომდე. „ჩვენ არ გვინდა დავაძალოთ შუმის, რაც შეიძლება ჩქარა დაუბრუნდეს რბოლებს, შეიძლება სულაც მონცას რბოლაშივე ვიხილოთ, მაგრამ ამას ცოტა მოგვიანებით შევიტყობთ. ახლა მთელი ჩვენი ყურადღება ირვინზეა გამახვილებული. სანამ მიხაელი არ დაბრუნებულა, ის უეჭველად №1 პილოტი იქნება გუნდში. ედი საკმაოდ წარმატებით ასპარეზობს წლეულს, ვნახოთ, შევძლებთ თუ არა მასთან ერთად ტიტულის მოპოვებას" — განაცხადა „ფერარის" პრეს-მდივანმა ტიმ უოლტერსმა.

თვითონ ირვინმა ასეთი კომენტარი დაურთო უოლტერის განცხადებას:

„ცხადია, ამის კეთება, ვგულისხმობ ტიტულის მოპოვებას, რბოლიდან რბოლამდე მომიწევს. ეს იოლი საქმე არ არის, მაგრამ ყველა დარწმუნებული უნდა იყოს იმაში, რომ ყველაფერს გავიღებ საამისოდ. ჰო, ეს ის გზა არ არის, რომლითაც პირველ ნომრად გახდომას ვისურვებდი, გუნდს ჰაერივით სჭირდება შუმის დაბრუნება. მოუთმენლად დაველოდები იმ დღეს, როცა კვლავ ერთად მივუსხდებით ჩვენს წითელ ბოლიდებს".

# ფერარი იკვლევს ავარიის მიზეზს

ბრიტანეთის დიდ პრიზზე მიხაელ შუმახერის ავარიის შემდეგ „ფერარი" სასწრაფოდ იძიებს ამ შემთხვევის მიზეზებს.

ჯერჯერობით დადგენილია, რომ ავარია გამოიწვია უკანა მუხრუჭების სისტემაში წნევის დაცემამ, რაც თავის მხრივ სამუხრუჭე ნიპელის დაკარგვას მოჰყვა. ამ დეტალის დაკარგვის მიზეზი ჯერ გაურკვეველია. კომპიუტერული მონაცემების გამოკვლევის ანალიზის შემდეგ გაირკვა, რომ გასახურებელი წრის და უშუალოდ რბოლის დროს მანქანაში არავითარი პრობლემები არ არსებობდა.

**ირაკლი ბერიაშვილი**

# ჰილს ცოლი ამუხრუჭებდა

როგორც იქნა, დეიმონ ჰილმა გადაწყვიტა — ფორმულა 1-ში რბოლას სეზონის ბოლომდე გააგრძელებს და ისევ „ჯორდანის" ბოლიდით იქროლებს.

ყოფილმა მსოფლიოს ჩემპიონმა მშობლიურ „სილვერსტოუნზე" ასპარეზობისას წლეულს საუკეთესო — მეხუთე შედეგი აჩვენა და, ეტყობა, ამან განაპირობა კიდეც მისი საბოლოო გადაწყვეტილება, თუმცა ჰილის დარჩენაში თავისი ამაგი არც გუნდის მეპატრონეს ედი ჯორდანს უნდა დავუკარგოთ.

ბოროტ ხმებს თუ დავუჯერებთ, დეიმონს კარიერის დასრულებას თურმე ცოლი — ჯორჯია აძალებდა. მოგეხსენებათ, ქალი თუ ვინმეს შეუჩნდა, მტერს და ავს, ეს ჩვენი ჰილი კი ისეთი კაცი გამოდგა, ცოლის ჭკუაზე რომ არ გაიარა და აჰა, ბატონო — ჯორჯია სახლშია, დეიმონი ისევ ბოლიდში.

**ბაკა ხურციძე**



# ანტილოპა — ძე ანტილოპასი

ქართველ ბორჯღალოსანთა დამრიგებელმა კლოდ სორელმა სხვა სიკეთესთან ერთად, ბევრ ჩვენებურს გაუხსნა საფრანგეთისკენ მიმავალი გზა. ამ ქვეყნის სარაგბო კლუბებში არაერთ ქართველს შეხვდებით. სწორედ კლოდ სორელის ხელდასმით დაიწყებენ ფრანგულ „ბეზიეში" ახალ სეზონს ლოკომოტიველი ვასო კაცაძე, ყოჩი ბესარიონ ხამაშურიძე, ზორდელები ილო ზედგენიძე და გოდერძი შველიძე. ამასთან დაკავშირებით ერთ-ერთ მათგანს, ბესარიონ ხამაშურიძეს ანუ უმცროს ანტილოპას ვესაუბრეთ

**— საფრანგეთში როდის მიემგზავრები?**

— 1 აგვისტოს, ბილეთი დაჯავშნული მაქვს. ერთთვიანი საწვრთნელო შეკრება გვექნება. სექტემბერში საფრანგეთის ჩემპიონატიც დაიწყება.

**— თუ იცი მაინც, რა გუნდია „ბეზიე"?**

— წარმოდგენა არ მაქვს. მე ვიცი მხოლოდ ის, რომ გუნდი ბოლო სეზონში ელიტარული ლიგიდან ჩამოქვეითდა და უკან დასაბრუნებლადაა მოწადინებული. კლოდ სორელმა გვითხრა, „ბეზიეს" მესვეურები მენდობიან და თქვენც ნუ შემარცხვენთო. ასეც იქნება. ყოველ შემთხვევაში, მე საფრანგეთში სასეირნოდ ნამდვილად არ მივდივარ. რაც შეეხება პირობებს, ადგილზე გავეცნობით. ისე, კონტრაქტი ერთწლიანია.

**— 21 წლისას „აიაში" თამაშის თითქმის 5 წლის სტაჟი გაქვს. ეს სეზონი კი „ყოჩებში" დაიწყე. ერთი ეგ მითხარი, შარშან შენმა ყოფილმა თანაგუნდელებმა, თითქმის ყველამ ერთად, რომ ბათუმს მიაშურეს და „გადათვდნენ", შენ რატომ არ გაჰყევი მათ?**

— „აიას" დაშლა, ჰო, დაშლა, აბა, სხვა რა ჰქვია გუნდს რომ ერთბაშად 20 მოთამაშე დატოვებს, ყველამ მტკივნეულად განვიცადეთ. მაგრამ, ხომ იცით, ქუთაისში რაგბი უყურადღებოდ დარჩა და სხვა რა გზა იყო, ბიჭები ბათუმში წავიდნენ, იქ მათ კარგი პირობები შეუქმნეს და ალალი იყოს. ისინი ყველანი ჩემი ძმები არიან. მე სხვა გეგმები მაქვს. დიდი რაგბის თამაში მსურს. კი, მართალია, ერთ დროს ქუთაისი იყო ქართული რაგბის ცენტრი, მაგრამ ახლა ვითარება შეიცვალა. ახლა ჩვენში რაგბი მაინც თბილისიდან მოდის, დედაქალაქში უფრო მეტს ისწავლი, ამიტომ ვამჯობინე „ყოჩებში" გადასვლა.

**— „ყოჩები" — „დათვების" ერთი თვის წინანდელ თამაშზე რას იტყვი?**

— მაგარი ბრძოლა იყო. მატჩი ჩვენი უპირატესობით დაიწყო და სოლიდურადაც დავწინაურდით. მერე თავი მოგებულად ჩავთვალეთ, მოვდუნდით და მწარედაც ვინანეთ. „დათვებმა" ბოლო წუთებში ამოგვიქაჩეს თამაში.

**— ქვეყნის ჭაბუკთა და ახალგაზრდულ ნაკრებ გუნდებში ბევრჯერ გითამაშია. ახლა ეროვნული ნაკრების ერთ-ერთ წამყვან მორაგბედ ითვლები. თუ გრძნობ, რომ ოსტატობას იმაღლებ?**

— აბა, მითხარით, საქართველოს პირველობაზე ოსტატობა როგორ უნდა ავიმაღლო. აქ ხომ უვარჯიშებლადაც შეიძლება თამაში. სხვა საქმეა საერთაშორისო მატჩები, სხვადასხვა ტურნირები. იქ მართლა ბევრს სწავლობ, მომზადებული თუ არ ხარ, იქ ვერც იხეირებ. ზარმაცი არასოდეს ვყოფილვარ. წელანაც გითხარით, დიდი რაგბის თამაში მინდა და ამისთვის ყველაფერს გავიღებ.

**— ბორჯღალოსანთა უმრავლესობა უცხოურ კლუბებშია...**

— რაც მეტი ლეგიონერი გვეყოლება, მით უკეთესი. ნაკრებიც ძლიერი იქნება. ბოლო დროს ქართველებმა ბევრჯერ დავამტკიცეთ, რომ არც ისე ხელწამოსაკრავნი ვართ, თუნდაც ამ თვენახევრის წინ შვიდკაცას ტურნირებზე გერმანიაში, ესპანეთსა და ისრაელში. სამოასაც კი მოვუგეთ.

**— შვიდკაცას თამაში უფრო გსიამოვნებს თუ თხუთმეტკაცასი?**

— შვიდკაცა უფრო ლაღად სათამაშოა. თუმცა ძალა, სისწრაფე და აზროვნება ორივეგან ერთნაირადაა საჭირო. პლიუსები ერთსაც აქვს და მეორესაც.

**— ამბობენ, უმცროსი ანტილოპა უფროსზე — ბათლომე ხამაშურიძეზე მაგარიაო, შენ რას იტყვი?**

— მამაჩემმა თავისი სიტყვა უკვე თქვა. „აიას" შემადგენლობაში სამჯერ იყო საბჭოთა კავშირის ჩემპიონი და ბევრი სხვა ტიტულიც აქვს მოპოვებული. იმ დროისთვის, მან, შეიძლება ითქვას, მაქსიმუმს მიაღწია. მე რა გავაკეთე? ჯერ არაფერი. მამაჩემს თავის გზა ჰქონდა, მე კი ჩემი გზა მაქვს, მთავარია, სწორად ვიარო.

**იუზა ქაციტაძე ქუთაისიდან**



ბესარიონ ხამაშურიძე (მარჯვნივ) „ბეზიეში" გოდერძი შველიძესთან ერთად მიდის

# რუმინეთი ფილიპსით ცვიპირეშს გაპარსვას

რუმინელებმა მსოფლიოს თასზე ღირსეულად სათამაშოდ ნაკრებში უცხოელ მწვრთნელს უხმეს. თუმცა, ჩვენგან განსხვავებით, ევროპელს არ ენდნენ და დასახმარებლად მიმართეს ახალზელანდიელ ჯონ ფილიპსს, რომელიც მანამდე ინგლისურ „როტერჰემს" წვრთნიდა, უფრო ადრე კი უელსურ „ბრიჯენდს". ფილიპსი ახალი ზელანდიის რაგბის კავშირის მწვრთნელთა საბჭოს წევრია. ასე რომ, კვალიფიკაცია ნამდვილად არ დაეწუნება.

„მოხარული ვარ, რომ ევროპის ერთ-ერთ საუკეთესო ნაკრებში მუშაობის საშუალება მეძლევა და იმედი მაქვს, მსოფლიოს თასზე ღირსეულად ვითამაშებთ. რუმინელებს ჩინებული მორაგბეები ჰყავთ და მათი ცოდნის სწორად გამოყენების შემთხვევაში, მჯერა, დიდ წარმატებებს მივაღწევთ" — განაცხადა ფილიპსმა პრესკონფერენციაზე. ამისი იმედი აქვთ რუმინელ რაგბის მამებსაც, რომლებმაც ახალზელანდიელთან ექვსთვიანი ხელშეკრულება გააფორმეს. მსოფლიოს თასზე ნაკრების წარმატების შემთხვევაში კი ფილიპსი სულ მცირე, ორი წლით დარჩება რუმინეთში.

ის კი არა, ახალზელანდიელი გაისად ექვსი ერის B ჯგუფში გამარჯვებაზეც ფიქრობს: „მსოფლიოს თასის მომგებნი რომ არ ვართ, ყველამ იცის, მაგრამ მეოთხედფინალში ასპარეზობა მაინც უნდა შევძლოთ. აი, მომავალი წლის ექვსი ერის B ჯგუფში კი ნამდვილად უნდა ვიმარჯვოთ. ეს ადვილი არ იქნება, მაგრამ შესაძლებელია".

# გახსოვდეთ ავსტრალია!

სამი ერის პირველობის დაწყებამდე სპეციალისტთა თუ გულშემატკივართა უმეტესობა ფავორიტად ახალ ზელანდიას მიიჩნევდა. ტურნირის პირველ მატჩში „ოლ ბლექსის" მიერ „ქურციკთა" 28:0 ძლევის შემდეგ კი ძნელად თუ მოიძებნება კაცი, ვისაც ტურნირში ზელანდიელთა გამარჯვება ეეჭვებოდეს. ერთ-ერთი ასეთი, რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, ახალზელანდიელთა თავკაცი ჯონ ჰართია: „გადაჭარბებულად მიმაჩნია ლაპარაკი ჩვენი უდავო ფავორიტობის შესახებ. მართალია, სამხრეთაფრიკელები დავამარცხეთ, მაგრამ არ დაგავიწყდეთ ავსტრალია. „ვოლაბები" დღესდღეობით შესანიშნავ ფორმაში არიან, მათგან ყველაფერია მოსალოდნელი. თანაც, აფრიკელებთან ხომ მეორე მატჩიც გვაქვს სათამაშო. ასე რომ, შაბათს დიდი ბრძოლა გველის. ვშიშობ, „ქურციკთა" დამარცხება ბიჭებს თავში არ აუვარდეთ. ამიტომაც ვაფრთხილებ მათ — გახსოვდეთ ავსტრალია!"

სამხრეთაფრიკელებთან მატჩისგან განსხვავებით ავსტრალიელების წინააღმდეგ ჰართმა ერთი მობურთალი დაიმატა — პიტა ალატინი, თუმცა ჯერ არ დაუსახელებია იმ მორაგბის ვინაობა, ვისაც იგი შეცვლის.

მეზობლებისგან განსხვავებით, დიდი ცვლილებებია ავსტრალიელთა გუნდში. „ვოლაბებს" მეთიუ ბურკი და ტიმ ჰორანი დაუბრუნდნენ, რომლებმაც შესაბამისად კრის ლათამი და ნათან სპუნერი შეცვალეს. ამ უკანასკნელის შეცვლა თუ მოსალოდნელი იყო, კრის ლათამის ნაკრებს მიღმა დატოვებას ვერავინ იფიქრებდა. ლათამი ბოლო დროს შესანიშნავ ფორმაშია და „ვოლაბთა" ბოლო მატჩებშიც ბურკის ტრავმის გამო ლათამი ბურთაობდა და მისი გამოჯანმრთელებული ბურკით შეცვლა ამიტომაც იყო მოულოდნელი. გარდა ამისა, „ოლ ბლექსთან" საპაექროდ ავსტრალიელთა თავკაცმა როდ მაკქვინმა შესაძლოა კიდევ ერთ ახალ მობურთალს — ენდრიუ ბლეიდსს უხმოს, თუმცა მისი სანაკრებო მომავალი მთლიანად გლენ პანოჰოზეა დამოკიდებული, რომელსაც იდაყვის ტრავმა აწუხებს და თუ არ მოუშუშდა, დასვენება მოუწევს.

**ბაატა თოთაძე**

## რაგბი

ბადრი ქეთილაძის ფოტო



დევიდ ვატერსტოუნმა ქართველების მომგებ ტონგელებს ამაგი დაუფასა

# აფრიკელი ბაზიერი

## საქართველოს ნაკრების მძლეველი ყველა ტონგელი მსოფლიოს თასზე ითამაშებს

სულ უფრო ცოტა რჩება მსოფლიოს თასის დაწყებამდე და ნელ-ნელა ირკვევა იმ მორაგბეთა ვინაობა, რომლებსაც ამა თუ იმ ნაკრების ღირსების დაცვა მოუწევთ. ფრანგების დარად ტონგის ნაკრების სამხრეთაფრიკელმა მწვრთნელმა დევიდ ვატერსტოუნმაც დაასახელა იმ მობურთალები, რომლებიც 15 აგვისტოდან დაიწყებენ მზადებას პლანეტის ამ უდიდესი სარაგბო ტურნირისთვის, თუმც ვატერსტოუნის თქმით, შეკრების დაწყებამდე შესაძლოა შემადგენლობაში რამდენიმე ცვლილება მოხდეს.

ამჟამად დასახელებულ ორმოც მობურთალს შორის კი მხოლოდ თოთხმეტია ადგილობრივ კლუბებში მოთამაშე. ცხრა ბრიტანეთში ბურთაობს, შვიდი — იაპონიაში, ექვსი — ახალ ზელანდიაში, სამი — სამხრეთ აფრიკაში და ერთიც ავსტრალიაში. ყველაზე ახალგაზრდა, 20 წლის ეპელი ტაიონე, ინგლისში თამაშობს. მისი დებიუტი „ზღვის არწივების“ რიგებში 3 ივლისს წყნარი ოკეანის მონაპირეთა პირველობაზე კანადელებთან ჩატარებულ მატჩში შედგა. „უხუცესი“ კი 33 წლის ფალამანი მაფია, რომელსაც ნაკრების მაისურა 36-ჯერ მოურგია.

აღსანიშნავია, რომ ბორჯღალოსნებთან ნათამაშევი ყველა ტონგელი ვატერსტოუნის სიაში მოხვდა. თვითონ იგი კი გასულ კვირას სამხრეთაფრიკული „შევარდნების“ მთავარ მწვრთნელად დაინიშნა. ამ გუნდში უკვე ბურთაობს ოთხი ტონგელი და ახალ მწვრთნელს მათი რაოდენობის გაზრდა განუზრახავს.

**მირანდა ზედელაშვილი**

## სროლა

ივლისმა საქართველოს სროლისა და მშვილდოსნობის ფედერაციას ბევრი საზრუნავი მოუტანა — ამ სახეობების საერთაშორისო კალენდარი ისეთი მნიშვნელოვანი შეჯიბრებებითაა გადატვირთული, როგორიც მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატებია, ამიტომაც ფედერაციაში დიდი ფაციფუცია. ზოგნი ბილეთების, ზოგნი სავიზო პრობლემებს აწყდებიან.

# ნინო სალუქვაძე არსენაა ლიცენზიებს «ღარიბებსაც» აძლევს

24 ივლისს ბორდოში ევროპის ჩემპიონატი იწყება სპორტული პისტოლეტით სროლაში. გადაწყვეტილია, იქ ოლიმპიური ჩემპიონი ნინო სალუქვაძე და ნინო უჩაძე გაემგზავრებიან, ხოლო მეგი ხუბულაშვილი შვეიცარიიდან ჩავა. რამდენიმე წელია, მეგი ლოზანის კლუბის წევრია და წლეულს ქვეყნის საკლუბო ჩემპიონიც გახდა. უჩაძის წაყვანა ბოლო მომენტში გადაწყდა, რამაც გუნდურ პირველობაში გამოსვლის საშუალება მოგვცა.

ბორდოში ქართველებს მხოლოდ მედლები აქვთ საძიებელი, სხვებს კი ამათთან ერთად — ოლიმპიური ლიცენზიებიც. ნინო სალუქვაძემ ლიცენზიები უკვე მოიპოვა სპორტულშიც და პნევმატურშიც. ეს კი ჩვენს ფედერაციას სიდნეის ოლიმპიადაზე მეორე მონაწილის გაყვანის უფლებას ანიჭებს. ნებისმიერ ქვეყანას ხომ ერთ სახეობაში მხოლოდ ორი სპორტსმენის გაყვანა შეუძლია. ფედერაციის საზრუნავიც იმ მეორე მონაწილის შერჩევაა. მას შეუძლია, უარი თქვას ერთ ლიცენზიაზე და ოლიმპიადაზეც ერთი სპორტსმენი წაიყვანოს (ვთქვათ, ხარჯების შესამცირებლად), მაგრამ მაშინ სროლის საერთაშორისო ფედერაცია მას ვინმეს გადასცემს (როგორც იმნაიშვილს მისცეს ატლანტის ოლიმპიადის ლიცენზია). ეს კი სალუქვაძეს კონკურენტს შემატებს. ამიტომ ასეთ ნაბიჯს არ გადადგამენ, რაც იმას ნიშნავს, რომ სიდნეიში ორი ქართველი მსროლელი იასპარეზებს.

ბადრი ქეთილაძის ფოტო



ნინო სალუქვაძისთვის ოლიმპიური ლიცენზია რა ბედენაა... თქვენ ხეირიანი სავარჯიშო პირობები თქვით

მშვილდოსნები მსოფლიოს ჩემპიონატზე სცდიან ბედს. ეს ტურნირი 19-29 ივლისს საფრანგეთის ქალაქ გიიომში ჩატარდება. ოლიმპიური ლიცენზიები იქაც გაიცემა, თანაც ბარაქიანად — 43. საფრანგეთში აჭარის სპორტდეპარტამენტი ხათუნა ფუტკარაძეს, ოლგა ლადიგინას და სერგო ბერიძეს აგზავნის, ხოლო აშშ-ში მცხოვრები ხათუნა ქვრივიშვილი თავისი ხარჯით გაემგზავრება. სპეციალისტებს თითქმის არ ეეჭვებათ, რომ ის ლიცენზიას მოიპოვებს. აი, დანარჩენებზე კი თავს იკავებენ. ეს სიფრთხილე იქიდან გამომდინარეობს, რომ წლეულს მათ ბათუმში ჩატარებული ორი შეჯიბრებისა და ანთალიის დიდი პრიზის გარდა არსად უასპარეზიათ. აჭარის სპორტდეპარტამენტმა მათ თანამედროვე მშვილდები სეზონის დასაწყისში შეუძინა (რაც ქვეყნის ნაკრებისთვის მიუწვდომელი ფუფუნებაა), მაგრამ ტურნირებზე გასამგზავრებელი თანხა ვერც ბათუმში გამოუნახეს და ვერც ფედერაციაში.

თუ მოხდა და ორმა ჩვენებურმა მოიპოვა ლიცენზია, მაშინ მშვილდოსნობის საერთაშორისო ფედერაცია ოლიმპიადაზე ჩვენს მესამე მონაწილესაც დაუშვებს, რათა გუნდურ პირველობაში გამოსვლა შეძლონ.

**ირაკლი თავაძე**

## ჭიდაობა

# ჩავიდეთ ქალაქში, გავიგოთ, აღარ გვაძლევენ ფულსა...

ქართველმა მოჭიდავეებმა, დიდებმაც და პატარებმაც უკვე მოილიეს ევროპის ჩემპიონატები და ახლა ჯერი მსოფლიოს პირველობაზე მიდგა. ევროპაზე უმცროსებს მაგალითი ჯერ დიდებმა უჩვენეს, მსოფლიოზე კი პირიქითაა — ჯერ ჭაბუკებისა და ახალგაზრდების შეჯიბრებებია, მერე კი დიდებისა.

როგორც ახალგაზრდა და ჭაბუკ „ბერძენ-რომაელთა“, ასევე თავისუფალთა უკლებლივ ყველა სამსოფლიოსჩემპიონატო სტარტი აგვისტოშია. წესით, ახლა ეს ნაკრებები გამალებულ მზადებაში უნდა იყვნენ, მაგრამ... ისინი დაფინანსებას ელიან. დეპარტამენტი ახალგაზრდულ გუნდებს ფინანსურ შემწეობას კი ჰპირდება, მაგრამ რეალურად რა გამოვა ამ საქმიდან, არავინ იცის. რაც შეეხებათ ჭაბუკებს, დეპარტამენტი მათ დაფინანსებას უფულობის გამო უარობს და დახმარებას განათლების სამინისტროს სთხოვს. საბაბი — ამ გუნდების წევრები მოსწავლეები არიან. განათლების მინისტრი ჯერჯერობით დუმს. ვიდრე ქართული ჭიდაობის მომავალს პატრონ-მშველელი გამოუჩნდება, ამასობაში ძვირფასი დრო იკარგება. დრო, რომელიც გუნდებმა საწვრთნელ-მოსამზადებლად უნდა გამოიყენონ. მწვრთნელები თუ სპორტსმენები ფედერაცია-დეპარტამენტში ყოველდღიურად ჩამოდიან რაიონებიდან, ამბავს კითხულობენ, დღეები კი გარბის — კატოვიცეში გასამართი ჭაბუკ თავისუფალთა მსოფლიოს ჩემპიონატამდე ხომ ერთი თვეც აღარ დარჩა. თვეზე ოდნავ მეტი გვაშორებს ჭაბუკ „ბერძენ-რომაელთა“ ანალოგიურ ტურნირს, რომელიც დანიაში ჩატარდება.

როგორც გითხარით, დეპარტამენტი ახალგაზრდულ ნაკრებებს სამსოფლიოსჩემპიონატოდ დაფინანსებას ჰპირდება. ახალგაზრდა „ბერძენ-რომაელთა“ ნაკრებმა ორშაბათიდან შეკრება დაიწყო. მას, ევროპის ჩემპიონატის წინ მოწყობილი შეკრების დარად, თბილისის სპორტის სამმართველომ უპატრონა, რომელმაც ერთი შეკრების ფული გამოყო. მწვრთნელმა ვლადიმერ ადეიშვილმა კი ეს თანხა ორად გაყო, რადგან მეორე და ძალიან საჭირო შეკრების დამფინანსებელი არ გამოჩნდა. ერთი სიტყვით, როგორც გიჭირდეს, ისე გილხინდესო... „ბერძენ-რომაელთა“ პირველობა რუმინეთში გაიმართება და იქ, ალბათ, სრულ გუნდს გაუშვებენ (თუ საერთოდ გაუშვეს). აი, თავისუფალი სტილის მოჭიდავე ახალგაზრდების საქმე კი ცოტა უფრო რთულადაა. მათი ჩემპიონატი მომავალი ოლიმპიადის მასპინძელ სიდნეიში ტარდება. თუ მასპინძლებს საკუთარი თავის გამოცდა სურთ, სტუმარ გუნდებს იქაურობის დაზვერვა განუზრახავთ. ალბათ, ამიტომ, ჩვენები იქ რამდენიმე სპორტსმენს მაინც აჭიდავებენ. ასე რომ არ ყოფილიყო, გუნდს მწვანე კონტინენტზე არავინ გაგზავნიდა, რადგან ეს ჩვენთვის მეტად ძვირი სიამოვნებაა. ახლა კი ავსტრალიას შესაძლოა ახლახან რიგაში ჩატარებული ევროპის პირველობის პრიზიორები — მიხეილ ტურაშვილი, დავით ოთიაშვილი და ზვიად გვილავა ესტუმრონ. მწვრთნელები იმედოვნებენ, რომ მათ ერთი-ორ კაცსაც დაუმატებენ.

მოკლედ, ჯერ დაპირების მეტი არაფერი გვესმის. ისლა დაგვრჩენია, ველოდოთ, როდის შეიცვლება ასეთი დამოკიდებულება ჩვენი სპორტის მომავლისადმი. მომავალი კი ნამდვილად საიმედოა. ამ ბიჭებს ძალუძთ, ქართულ ჭიდაობას არაერთი გამარჯვება შემატონ. მთავარია, სპორტის მესვეურებმა ეს შეიგნონ.

**ირაკლი თავაძე**

## ჰოკეი

როგორ ითხოვდა უეინ გრეცკი რეინჯერსიდან მარკ მესიეს წასვლის შემდეგ, სრულფასოვანი პარტნიორი შემაშველეთო, მაგრამ ვინ უგდო ყური. კლუბის ხელმძღვანელობას რამდენჯერმე შეეძლო ძლიერი ჰოკეისტის გადაბირება, მაგრამ თავი არ შეიწუხა. ეს მით უფრო გასაკვირია, რომ ნიუიორკული გუნდი უფულობას არ უჩივის და ლიგაში ერთ-ერთი უმდიდრესია. მოკლედ, ასე იყო თუ ისე, უეინი წავიდა, გუნდი კი ზედიზედ მეორედ დარჩა პლეი ოფს მიღმა. მერედა დაფაცურდნენ რეინჯერსის ბატონ-პატრონები და „დიადის“ სიტყვა, სიძუნწეს ხელგაშლილობა და ძლიერი ჰოკეისტების მოწვევა გიჯობდეთო, არა მარტო გაიხსენეს, საქმედაც აქციეს

# ფლერის ფლირტის სცოდნია

## ნიუ იორკს თავი შეაყვარა

ამას წინათ რეინჯერსმა მოთამაშეთა მთელი ჯგუფი შეიძინა, ახლა კი ვარსკვლავითაც გაძლიერდა.

გასული კვირის ბოლოს ნიუიორკელთა ბოსებმა შეუზღუდავ აგენტთა შორის ყველაზე გამორჩეულ ფიგურასთან, ტეო ფლერისთან მიაღწიეს შეთანხმებას და მასთან მრავალწლიანი კონტრაქტი გააფორმეს. როგორც ვარაუდობენ, ფლერის გასამრჯელო წელიწადში არანაკლებ 8 მილიონი დოლარი იქნება.

„ძალიან მოხარული ვარ, რომ რეინჯერსში აღმოვჩნდი. კლუბმა ისეთი დიდი ინტერესი გამოამჟღავნა ჩემს მიმართ, რომ უეჭველია, მე მას ვჭირდები. ეს ფაქტი კიდევ უფრო მახარებს“ — თქვა ახალგამომცხვარმა რეინჯერსელმა კონტრაქტის გაფორმების შემდეგ.

მართლაც ასეა. მიუხედავად ფლერის განცხადებისა, დასავლეთში მსურს დარჩენაო, აღმოსავლეთში მოასპარეზე ნიუიორკელებმა იგი მეზობელ დივიზიონელებს არ დაუთმეს.



ტეო ფლერი

ფლერი რომ კოლორადოში აღარ დარჩებოდა, ისედაც ნათელი იყო. კოლორადომ უკვე იმდენი ფული დახარჯა სხვა ვარსკვლავების კონტრაქტების განახლებაზე, კიდევ ერთ მრავალმილიონიან გარიგებას ველარ გასწვდებოდა. თანაც, მიუხედავად იმისა, რომ ჩემპიონატში და პლეი ოფშიც ფლერი საკმაოდ შედეგიანი იყო, დალასთან ნახევარფინალში კოლორადო სწორედ მისი სუსტი თამაშის გამო დამარცხდა.

ასეა თუ ისე, რეინჯერსს გამოჩენილი ბომბარდირი შეემატა. ვარაუდობენ, რომ ფლერი თავის ყოფილ თანაკლუბელ ვალერი კამენსკისთან (რუსი ცოტა ადრე გადავიდა რეინჯერსში) და პეტერ ნედველთან ერთად კლუბის წამყვან სამეულში ითამაშებს.

**სამველ ლარიბიანი**

## მძლეოსნობა

# რატომ მარტო ატომ?!

23 ივლისიდან 8 აგვისტომდე, ქალაქი ვინიპეგი პანამერიკული თამაშებს უმასპინძლებს. ტურნირის ორგანიზატორებმა სტადიონებზე მაყურებლების მისატყუებლად მრავალი სახელოვანი სპორტსმენი მიიწვიეს. გამორჩეული პატივი კი მძლეოსნებს ერგოთ. მაგრამ რად გინდა, ზოგს ტრავმა აწუხებს, ზოგი კიდევ თავისი ხუშტურების გამო უარობს ვინიპეგში ჩასვლას.

აგერ, ბატონო, კანადელ სპრინტერ ბრუნო სურინს, თურმე სევილიის მსოფლიოს ჩემპიონატის მოგება იდეა-ფიქსად გაუხდია — მძლეოსანთა უპირველესი შეჯიბრებისთვის უნდა მოვემზადო, ვინიპეგში ასპარეზობა არაფერში წამადგებაო — შეუთვლია სურინს ტურნირის ორგანიზატორებისთვის.

ამერიკელი დონავან ბეილი კი ახლახან მორჩენილ ფეხს დაჰკანკალებს და ადვილი მისახვედრია, რისთვის იზოგავს თავს, მასაც სევილიაში წარმატებით გამოსვლა სურს.

აი, ტრინიდადელმა ატო ბოლდონმა კი არ გააწბილა კანადელები და საორგანიზაციო კომიტეტის ვიცე-პრეზიდენტმა მაიკ მურმაც ატოს ვინიპეგში ასპარეზობის ამბავიც დიდი სიხარულით ამცნო საზოგადოებას.

საერთოდ კი პანამერიკულ თამაშებზე 42 ქვეყნის 5300 სპორტსმენი, 41 სახეობაში იასპარეზებს.

### ჭამა-სმის მინისტრმა თამაშები გახსნა და... ბავშვები დაამშია

ესბერგის თამაშები გახსნილად გამოაცხადა დანიის კვების, პურპროდუქტებისა და თევზის მრეწველობის მინისტრმა ჰენრიკ დემმა, რამაც ევროპის ახალგაზრდობის ამ დიდ ფორუმს „წონა“ დააკლო, მაგრამ ზომა-წონის დაკლებას ვინ ჩივის, როცა აქაური ოლიმპიური დღეები მის ყველა წინამორბედს ჩამორჩება. ამაში არ ვგულისხმობთ თავად შეჯიბრებებს და პრესცენტრის მუშაობას, რაც ბათისა და ლისაბონისაზე მთელი თავით მაღლა დგას და ისეთია, მართლაც ნერწყვს მოგადენს პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობითაც. აი, სპორტსმენთა კვება კი, როგორც იტყვიან, კრიტიკას ვერ უძლებს. მათი მენიუ ძალზე ღარიბია და რაც აქვთ, ისიც მოსწრებაზეა. ჰოდა, არის ერთი ზედახორა და ტაციაობა ჩვენს კუნძულ ფანიოზეც და მატერიკზეც, სადაც სპორტსმენები ასპარეზობენ და ცხოვრობენ კიდეც, თუ ამას ცხოვრება ჰქვია.

აბა, რა ცხოვრებაა, როცა მათი ნაწილი სადღაც სხვენში, საქათმეში იატაკზე იძინებს? თუმცა, ამაზე უკვე გიამბეთ და თავს აღარ შეგაწყენთ, მაგრამ სრული „სიამოვნებისთვის“ იმას კი გეტყვით, რომ ამ ჩვენს საცხოვრებლებში, უკაცრავად, სადგომებში, არც საპონი დაგვხვდა, არც პირსახოცი და არც ტუალეტის ქაღალდი, ყოველივე ამას კი, ცხადია, შინიდან დღეს აღარავინ დაათრევს. ყოველივე ამის გამო ჩვენი დელეგაციის მეთაური კოტე ღლონტი ორგანიზატორებთან აღშფოთდა და მისი ასისტენტი რუსუდან აფციაურიც გაკაპასდა. მის ადგილზე კი სხვა ალბათ მათ ქვების სროლასაც დაუწყებდა, რადგან 9 თუ 10 საათის მშიერ-მწყურვალმა და დაღლილ-დაქანცულმა, ორი საათის გაჭიანურებული მგზავრობი[illegible]რე კუნძულს რომ ვაი-ვაგლახით მოაღწია, სასადილოში ფლავისთვის მედგარ და დამამცირებელ ბრძოლაში ველარ ჩაება და გაწიწმატდა. ბოლოს თავი იმით დაიმშვიდა, მე რა მიჭირს, ორ-სამ დღეში შინ დავბრუნდები და ამათ იკითხონ, აქ რომ რჩებიანო. თუმცა, დანიელებს თავისი სიტყვა მაინც დაუტოვა ყოველდღიურ მისიების სხდომაზე, რომელსაც ესწრებიან საორგანიზაციო კომიტეტის წევრები და დელეგაციათა ხელმძღვანელები. ორგანიზატორები სამარისებურ სიჩუმეში თავჩაქინდრულნი ისმენდნენ რუსუდანის ინგლისურ რაკრაკს, სხდომის მერე კი სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლები ჩვენს პროტესტანტს მადლიერებით ეუბნებოდნენ, ყველას სათქმელი დიდებულად თქვი და გული მოგვიოხეთო.

იქნებ ვინმემ იკითხოს, ნეტა თქვენ, რომ დანიელებზე გაწიწმატებულხართ, გალეტილი ქართველები თავს როგორღა გაართმევდით ასეთსავე ღონისძიებასო. საქმეც ეგაა, რომ ვერ გავართმევდით, არც ვცდილობთ მის „დათრევას“, რათა მერე ყელზე არ დაგვადგეს.

ცხადია, ჩვენი გულისწყრომა არც მთელ დანიას ეხება და არც მის მოქალაქეებს. მათ თავიანთთვის აწყობილ-დალაგებულ-დავარცხნილი ქვეყანა აქვთ, მაგრამ...

ჰო, ერთმა ჩვენმა თანადელეგაციელმა აქ ფულიან-პასპორტიანი და თვითმფრინავის ბილეთიანი საფულე დაკარგა. ეს ყველაფერი დანიელმა ოქრონსფერთმიანმა ქალთევზამ პოლიციას ჩააბარა, პოლიციელმა კი პატრონს ერთ საათში დაუბრუნა.

# ჩემპიონი გვყავს!

## ოქრო ძიუდოსა და ზეზვასგან

გვინდა თუ არა, ესბერგში მიმდინარე ევროპის ახალგაზრდულ ოლიმპიურ დღეებს სხვა ქვეყნებში გამართულ ასეთსავე ასპარეზობებს ვადარებთ. ორი წლის წინათ ლისაბონში ამგვარი თამეშები პორტუგალიის პრეზიდენტმა გახსნა, ბათისა ინგლისის პრინცესა ანამ, დანიაში კი...

### ბიოგრაფიის პირველი სტრიქონები

სამშაბათს გამართული ფინალური ბრძოლის მერე საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრების უფროსი მწვრთნელი შოთა ხაბარელი გაოგნებული იყო, ეს რა ქნა გიორგი თოთლაძემ, მოგებული ბრძოლა დათმოო.

როგორც გაუწყეთ, თოთლაძემ (73კგ) ვაჰიბ ბაბაევთან (რუსეთი) ფინალური შეხვედრა, რომელსაც იგებდა, მსაჯთა გაფრთხილების გამო წააგო. თუმცა, ამ 16 წლის ქარელელ ბიჭს თავდაპირველად მწვრთნელები ჩემპიონობას არც უგეგმავდნენ, მაგრამ, ხომ გაგიგონიათ, მადა ჭამაში მოდისო, თანაც თოთლაძეს, სპეციალისტთა ვარაუდით, კენჭისყრამ გაუმართლა — მას მეტოქეებად ბედმა ერთის გარდა ისეთები არგუნა, რომელთა ქვეყნები ძიუდოში მეტ-ნაკლებად არ გამოირჩევიან. და გიორგიმაც ფინალამდე ყველა მეტოქე ვადაზე ადრე, წმინდა გამარჯვებით ჩამოიცილა, მათ შორის რეტორჩანი (შვეიცარია), მილაჩინ იბრო (ბოსნია), მარკო ფავარო (იტალია) და ლატვიელი დონატის სუტნიკასი. მერე კი იყო გარუსებული აზერბაიჯანელ ბაბაევთან მარცხი.

მწვრთნელები ამ მარცხს იმით ხსნიან, რომ თოთლაძეს მედალი უკვე განაღდებული ჰქონდა და მიზანიც თითქმის მიღწეულად ჩათვალაო, თავად გიორგი კი ფიქრობს, ფინალისთვის, ეტყობა, სათანადოდ ვერ განვეწყვეო.

მაგრამ, როგორც უნდა იყოს, ესბერგში მოპოვებული ვერცხლის მედალი თოთლაძის 4-წლიან სპორტულ კარიერაში პირველი დიდი წარმატებაა. აქამდე მას საქართველოს ჭაბუკთა პირველობა მოუგია, წლევანდელ თურქეთის საერთაშორისო ტურნირზე კი მეორე იყო. გიორგი თოთლაძეს ძალა უცდია სამბოშიც, თანატოლთა საქართველოს პირველობებზე მუდამ ყოფილა ფინალში, სადაც გამარჯვება და დამარცხება ერთმანეთს ენაცვლებოდა.

ჩვენმა მკითხველმა უკვე იცის, რომ 81 კგ წონით კატეგორიაში მოასპარეზე მინდია ბოდაველმა ბრინჯაოს მედალი მოიპოვა, ახლა გაცნობებთ, რომ იგი პირველ შეხვედრაში 0:5 დამარცხდა აზერბაიჯანელ ნურადინ სალიმოვთან. დანარჩენი შეხვედრები კი წმინდად მოიგო გერმანელ კრისტიან ვაკერთან, ავსტრიელ რობერტ მალუანთან და ესტონელ რენე ოისმასთან.

მინდია ბოდაველს, ისე როგორც მის თანაგუნდელებს, მოუგია საქართველოს ჭაბუკთა ჩემპიონატი და თურქეთის საერთაშორისო ტურნირის გამარჯვებულიც გახლავთ. როგორც თავად გვითხრა, არც ესბერგში წამოსულა დასამარცხებლად, მაგრამ პირველ წრეში თავს ზემოთ ძალა აღარ იყო.

აღსანიშნავია, რომ მინდია 80-იანი წლების ცნობილი ძიუდოისტის, ევროპის ჩემპიონისა და მსოფლიოს ჩემპიონატის მესამე პრიზიორის დავით ბოდაველის შვილია. იმედი ვიქონიოთ, რომ ესბერგში მოპოვებული ბრინჯაო მინდიასთვის დიდი გზის დასაწყისი გახდება და [illegible] გარი [illegible].

[illegible]



სამშაბათს, როცა ჩვენი ჩოგბურთელები ნინო ესებუა და ოთარ ენუქიძე ერთეულთა და შერეულ წყვილთა თანრიგშიც მეოთხედფინალში გავიდნენ, საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების უფროსი მწვრთნელი ლალი ზერეკიძე ფიქრობდა, ღმერთი ისე როგორ გაგვწირავს, სამიდან ერთში მაინც ნახევარფინალში არ გავიდეთო, რაც ბრინჯაოს მედალს გაგვისამებდა. სამწუხაროდ, ოთხშაბათს ნინოსა და ოთარის წინსვლა ერთეულთა მეოთხედფინალში შეაჩერეს ჯერ გერმანელმა ჯულია ბაბილონმა, რომელიც მართლაც ბაბილონის გოდოლივით აღიმართა ესებუას წინაშე და გაიმარჯვა კიდეც (7:6, 6:1), მერე კი დიდბრიტანელი მატეუ სმიტი შლაგბაუმივით გადაუდგა ენუქიძეს. საბოლოოდ ორივე ჩვენი ჩოგბურთელი ერთეულთა თანრიგში V-VIII ადგილებზე გავიდა.



ჩვენმა ძიუდოისტებმა, ახმეტელმა ზეზვა ებელაშვილმა (60 კგ) და ქუთაისელმა დავით სებისკვერაძემ ბრწყინვალედ დაიწყეს შეჯიბრი. ისინი თითქოს ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ, მეტოქის რაც შეიძლება მალე წაქცევაში.

ზეზვამ ფრანგ ნიკოლა მუსარიდინთან, იტალიელ სალვატორე ანონესთან და ჰოლანდიელ ედმონტისთან წმინდა გამარჯვებებით გაიკაფა გზა ფინალისკენ.

დავითმაც სლოვენიელ ჟერების, სლოვაკი ტოტისა და პოლონელი ჟიმაჟდას წმინდად ძლევით შეაღწია ფინალში, სადაც ჩეხ ტომასთან გაფრთხილებით დამარცხდა, ზეზვა ებელაშვილმა კი ბელარუს დიმიტრი კუნცევიჩს ხანტეით აჯობა და ჩემპიონი გახდა.

**ავთანდილ გურასაშვილი**
ესბერგიდან

# შერატონი, ჯანმრთელობა და ფასები




„შერატონ მეტეხი პალასი“ რომ მსოფლიოს სტანდარტების შესაბამისი მშვენიერი სასტუმროა, ყველას მოგეხსენებათ. აქ უამრავი სახის მომსახურებას სთავაზობენ კლიენტებს და ისინიც კმაყოფილნი არიან. 1 ივლისიდან კი „შერატონის“ სტუმრებს და მათთან ერთად ქალაქის მაცხოვრებლებსაც საშუალება მიეცათ, ისარგებლონ განახლებული გამაჯანსაღებელი ცენტრით, რომელიც დილის 7 საათიდან საღამოს 23 საათსა და 30 წუთამდე მუშაობს.

1 ივლისამდე გამაჯანსაღებელი ცენტრი 550 კვადრატული მეტრის ფართობს იკავებდა, ამჟამად კი მას 150 კვ/მ კიდევ მიემატა და გაცილებით მიმზიდველი გახდა. სასტუმროს ხელმძღვანელობამ იტალიური ფირმისაგან, რომელიც თავის სფეროში ერთ-ერთი საუკეთესოა, უახლესი სავარჯიშო ტრენაჟორები შეიძინა და სპორტული დარბაზი აღჭურვა. ყველა მსურველს, გარკვეული თანხის გადახდის შემდეგ, საშუალება ეძლევა, ამ დარბაზში ივარჯიშოს. აქვე მშვენიერი ინსტრუქტორის ხელმძღვანელობით აერობიკის კურსებსაც გაივლით.

დიდი ფიზიკური დატვირთვის შემდეგ თქვენს განკარგულებაშია საუნა, აუზი და წყლის მასაჟი. ისე, მასაჟით წყლის გარეშეც შეგიძლიათ დატკბეთ, ოღონდ ამისთვის დამატებითი თანხის გადახდაა საჭირო.

ყველაფერ ამას გუშინ გავეცანით, როცა „შერატონის“ საზოგადოებასთან ურთიერთობების დირექტორმა ქალბატონმა თამარ ვარდიაშვილმა სხვა ჟურნალისტებთან ერთად მიგვიწვია. მან და გამაჯანსაღებელი ცენტრის მომხიბვლელმა მენეჯერმა ლიტა ჭანკოტაძემ ცენტრი ძირისძირობამდე დაგვათვალიერებინეს და ტრენაჟორებითა და საცურაო აუზით ტკბობის საშუალებაც მოგვეცა.



[illegible] ფოტორეპორტაჟი





სასიამოვნო ვიზიტის დამთავრების შემდეგ აუზის ბართან მიგვიწვიეს და ხილითა და ნატურალური წვენებით გაგვიმასპინძლდნენ.

ჰო, მართლა, ფასები: გამაჯანსაღებელი ცენტრის წევრობა ერთი თვით 120 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარებში, სამი თვით — 330 აშშ დოლარი, 6 თვით — 600, ერთი წლით კი — 1080. თუ ოჯახით გადაწყვეტთ (2 უფროსი და 2 ბავშვი) ცენტრის წევრობას, ანდა ჯგუფურად (5 ან მეტი პირი), მაშინ ამოქმედდება ფასდაკლების სისტემა და თქვენი ჯიბეც საკმაო შეღავათს იგრძნობს.

ისე, გამაჯანსაღებელი ცენტრის მომსახურებით უფასოდაც შეგიძლიათ ისარგებლოთ, თუმცა ამ შემთხვევაში ერთ პირობას აუცილებლად უნდა აკმაყოფილებდეთ... „შერატონ მეტეხი პალასში“ უნდა ცხოვრობდეთ.

**გაიოზ თალაკვაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა



# არ მასვენებენ ფოტოგრაფები...




ფოტოხულიგანს გადარჩენილი ჯუზეპე გერინი

ფინიშამდე რამდენიმე ასეული მეტრილა რჩებოდა. იტალიელი ჯუზეპე გერინი ეულად დაწინაურებულიყო და ეტაპის მოგებაში მდევრები ნაღდად ვერ შეეცილებოდნენ. თუმცა ვიღაც გამოთაყვანებულმა ფოტომოყვარულმა ტელეკომელს გარჯა კინაღამ წყალში ჩაუყარა. იგი შუა გზაზე გაეჩხირა და გერინისთვის სურათის გადაღება მოინდომა, მაგრამ ფოტოაპარატის გაჩხაკუნება გვიანღა მოიფიქრა, მრბოლს შეეჯახა და ორივენი წაიქცნენ. 29 წლის ბერგამოელი უცბადვე წამოხტა, ველოსიპედს მოახტა და ერთ-ერთი ქომაგის დახმარებით სიჩქარეც აკრიფა. მდევრებმა მხოლოდ სხვაობის შემცირება შეძლეს...

77 კილომეტრის გავლის შემდეგ მონ-სენის დაღმართზე, ფრანგთა გასახარად (გუშინ საფრანგეთის ეროვნული დღესასწაული — ბასტილიის აღების დღე იყო), ტიერი ბურგინიონი და სტეფან ჰელო დაწინაურდნენ. ფრანგულმა დუეტმა გზის მეორე აღმართს კრუა დე ფერს თერთმეტწუთიანი უპირატესობით მიაღწია. თუმცა სხვაობა თანდათანობით მცირდებოდა და ალპ დუეზის მთის ძირას ლიდერები ხუთ წუთსღა უგებდნენ მდევრებს. ბურგინიონს ძალებმა უმტყუნა და ელოც უეულად დარჩა. მისი დაწევა მცირერიცხოვანმა ჯგუფმა, რომელსაც ლანს არმსტრონგის თანაგუნდელი ტაილერ ჰამილტონი წინამძღოლობდა, ფინიშამდე ოთხი კილომეტრით ადრე მოახერხა.

კილომეტრის გავლის შემდეგ კი გერინიმ გადამწყვეტი იერიში წამოიწყო და ეტაპის გამარჯვებულიც იგი გახდა.

საერთო ჩათვლაში ლიდერობა კი არმსტრონგმა შეინარჩუნა, რომელმაც მეორე ადგილზე მყოფ ესპანელ აბრაამ ოლანოს კიდევ უფრო გაასწრო.

ეტაპის დაწყების წინ ორგანიზატორებმა ათი გუნდის 51 მრბოლი შეამოწეს, ვინმეს სისხლში ჰემატოკრიტების დონე დაშვებულზე მეტი ხომ არა აქვსო, მაგრამ ყველას ნორმის ფარგლებში აღმოაჩნდა.

გაიოზ თალაკვაძე

### მეათე ეტაპი

სესტრიერი — ალპ დე უეზი, 220,5 კმ

1 ჯუზეპე გერინი (იტალია, ტელეკომი) — 6 სთ 42 წთ 31 წმ
2 პაველ ტონკოვი (რუსეთი, მაპეი) — +21 წმ
3 ფერნანდო ესკარტინი (ესპანეთი, კელმე) — +25
4 ალექს ცულე (შვეიცარია, ბანესტო) — +25
5 რიშარ ვირანკი (საფრანგეთი, პოლტი) — +25

### საერთო ჩათვლა

1 ლანს არმსტრონგი — 46 სთ 14 წთ 03 წმ
2 აბრაამ ოლანო (ესპანეთი, ონსე) — +7 წთ 42 წმ
3 ალექს ცულე — +7 წთ 47 წმ
4 ლორან დიუფო — +8 წთ 07 წმ
5 ფერნანდო ესკარტინი — +8 წთ 07 წმ




# მთები დაიწყო, მშვიდობით პეპლებო!

პირველივე მთის ეტაპმა თითქმის ყველას და ყველაფერს თავისი ადგილი მიუჩინა. თითქმის იმიტომ, რომ ოლიმპოს მიდამოებში კიდევ დარჩა რამდენიმე ველოსიპედისტი, ჯიუტად რომ არ სურთ მეორეხარისხოვნებში მოხვედრა. თუმცა, დრო და აღმართები მაინც თავისას იზამს და სახელისა და პატივის მაძიებელთა სიის სათავეს ისევ ათასი რამის მნახველი, გამოცდილი და გამძლე გვარდია დაეპატრონება. დიუფო, ესკარტინი, ცულე, ოლანო, ტონკოვი, ვირანკი, გოტი... და, რაღა თქმა უნდა, არმსტრონგი. ესეც იმ ძველი, ნატყვიარი გვარდიიდან არის, სამი წლის იძულებითი შესვენების შემდეგ „დიდი მარყუჟის" ხიბლმა ისევ თავისკენ რომ მოაბრუნა.

ვის — ყვითელი, ვის — თეთრი წითლით

ტურ დე ფრანსში ოთხი ნომინაციაა: ყველაზე აქტიური მრბოლის (ასპარეზობს მწვანე მაისურით, ჩასათვლელ ქულებს აგროვებს შუალედურ და სწორი ეტაპების ფინიშებზე); მთების მეფის (თეთრი მაისურა წითელი ხალებით, ქულებს აგროვებს ნებისმიერი ეტაპის ყველა მთიან საშუალედო და საბოლოო ფინიშზე); საუკეთესო გუნდის (ანგარიშობენ გუნდის რამდენიმე სპორტსმენის როგორც სპრინტში ისე მთაში მოგროვებულ ქულებს); საერთო ჩათვლაში გამარჯვებული მრბოლის (ასპარეზობს ყვითელი მაისურით, ეს არის კაცი, რომელიც ყველაზე ნაკლებ დროს მოანდომებს 21 ეტაპად დაყოფილ ოთხი ათასი კილომეტრის გავლას).

ირაკლი ბერიაშვილი

# ტურის ბაბუ — ჯინო ბარტალი

კვირას, 18 ივლისს, იტალიელი ჯინო ბარტალი 85 წლის შესრულდება. ტოსკანელი „ტურ დე ფრანსის" გამარჯვებულთაგან უხუცესია. მან „ტური" ორჯერ 1938 და 1948 წლებში მოიგო. საუკუნის შუა წლების ერთ-ერთი საუკეთესო იტალიელი სპორტსმენი ველოსპორტში დოპინგის არსებობაზე ესაუბრა ფრანგულ გაზეთ „ლე მონდს".

**— კვლავინდებურად გაინტერესებთ, რა ხდება ველოსპორტში?**

— რა თქმა უნდა. ეს ჩემი ხელობა იყო. მთელი ცხოვრება სხვა საქმე არ მიკეთებია. წლეულს, „ჯიროს" დროს „ლა გაძეტა დელო სპორტისთვის" რამდენიმე სტატია მოვამზადე სეზონის პირველ დიდ შეჯიბრებაზე.

**— როგორი რეაქცია გქონდათ, როცა ფრანგმა და იტალიელმა სამართალდამცავებმა ველოსპორტში დოპინგი აღმოაჩინეს?**

— უარყოფითი. ასეთი ველოსპორტი ჩემთვის მიუღებელია.

**— იცოდით, რომ დოპინგმა ასე ღრმად გაიდგა ფესვები?**

— არა. ვინმე რომ მოსულიყო ჩემთან და ამის შესახებ ერთი სიტყვა მაინც თქვა, როცა მე „ლა გაძეტასთვის" ვმუშაობდი, ამას ყველაფერს უყოყმანოდ დავწერდი. ალბათ ამიტომაც, არავის არასოდეს არაფერი დასცდენია ჩემთან დოპინგთან დაკავშირებით.

**— როგორ შეაფასებდით იმას, რომ წლეულს „ტურ დე ფრანსის" საორგანიზაციო კომიტეტმა ცალკეულ პიროვნებებს და ზოგიერთ გუნდს ტურნირში მონაწილეობა აუკრძალა. ვითომდა, ისინი შეჯიბრის რეპუტაციას აზიანებდნენ თავიანთი დოპინგ-სკანდალებთან კავშირის გამო?**



ჯინო ბარტალი 1938 წელს

— ორგანიზატორები, რა თქმა უნდა, ყოველთვის ეცდებიან, მხოლოდ ის ველომრბოლები მიიწვიონ, რომლებიც მათ მიერ მოწყობილ ტურნირს კარგ რეკლამას გაუწევენ. შეჯიბრის, მით უმეტეს ასეთი დონის, ჩატარება ძალიან, ძალიან ძვირი ჯდება, ამიტომაც ისინი მონაწილეთაგან კარგ ქცევას ითხოვენ და თაღლითობა არ სჭირდებათ.

**— „ჯიროდან" მარკო პანტანის ჰემატოკრიტების ნორმაზე მაღალი დონის გამო მოკვეთაზე რას იტყვით?**

— ამ საქმეში რაღაც დაფარულია. მარკო პანტანი მშვენიერი ახალგაზრდაა, უბრალო, პირდაპირი, მართალი. მას სტიმულატორები არ სჭირდება, რათა კარგ შედეგებს მიაღწიოს. ალბათ, ვიღაცას მისი ჯინი სჭირდა.

**— და მაინც, ეჭვობენ, რომ მან დოპინგი მიიღო...**

— არავინ იცის, ჩაიდინა მან ეს თუ არა. არსებობს ხალხი, ვისაც მარკოს პოპულარობა აწუხებს და მისი სახელის გასატეხად ტყუილსაც არ მოერიდება. ყველაფერი ეს ნერვებს მიშლის.

**— ფიქრობთ, რომ იგი „ჯიროდან" არ უნდა გაეძევებინათ?**

— „ჯირო" ფაქტობრივად დამთავრებული იყო. მისი დასრულებისთვის უნდა დაეცადათ და მერე გაერჩიათ ეს საქმე. დიდი უსამართლობაა მისი დარი ჩემპიონით მთელი ტურნირის მანძილზე რეკლამა გაიკეთო და ზედ ბოლოში იგი გამოწურული ლიმონივით გადააგდო. სპორტში დიდი ფული ტრიალებს და შესაბამისად სიცრუის თქმაც შეიძლება ვინმეს ხელს აძლევდეს. მრბოლები მათმა კოლეგებმა უნდა განსაჯონ და არა იმ ხალხმა, ვისაც ველოსპორტთან საერთო არაფერი აქვს.

**— თქვენ დროსაც იყო დოპინგი?**

— კი, მინახავს რაღაცეები, მაგრამ ამით არასოდეს დავინტერესებულვარ. მერჩივნა, ერთი კარგი ბიფშტექსი მეჭამა, ვიდრე სტიმულატორები გადამეყლაპა. მრბოლმა თავისი ძალით უნდა მოიგოს და არა დოპინგის დახმარებით. უკვე 85 წლისა ვხდები და თავს ისევ მშვენივრად ვგრძნობ. ვინც დოპინგს იღებს, ჩემს ასაკამდე ნაღდად ვერ მოაღწევს.

**— ამ პრობლემის გადაჭრის ერთ-ერთ შესაძლო გზად ერთი წლის განმავლობაში ყველანაირი შეჯიბრის ჩატარებაზე უარის თქმაც მიიჩნიეს...**

— ეს უაზრობაა. შემდეგ როგორ განაახლებენ ტურნირებს? უბრალოდ, ვინც დოპინგსკანდალებში არიან გარეულნი, სპორტული დირექტორები, ექიმები, მრბოლები, ველოსპორტიდან თანდათანობით უნდა მოიკვეთონ და ეს რაც შეიძლება ჩქარა უნდა მოხდეს, თორემ მერე უკვე ძალიან გვიან იქნება.

„ლე მონდიდან" თარგმნა
გაგი გურულმა

### ცოტაოდენი გეოგრაფია და ისტორია

#### მეათე ეტაპი, სესტრიერი — ალპ დე უეზი



ალპ დე უეზი — ზღვის დონიდან 1860 მეტრ სიმაღლეზე მდებარე ალპების „კურორტი-დედოფალი" „ტურ დე ფრანსის" ისტორიაში იმითაა ცნობილი, რომ ფინიში აღმართში პირველად აქ მოეწყო. 1952 წელს ალპ დუეზში ეტაპის მოგება იმ წელს საბოლოოდ გამარჯვებულმა ფაუსტო კოპიმ მოახერხა. ეს ულელტეხილი მას შემდეგ ერთგვარად ლეგენდად იქცა. მას „ჰოლანდიელთა მთასაც" უწოდებენ, რადგან ბოლო აღმართის მიხვეულ-მოხვეული გზა ყოველთვის ჰოლანდიელებით ივსება.

### ტურის ლეგენდები

1930 წელი

გამარჯვებული ანდრე ლედიუკი




აქამდე გამართული „ტურები" თითქმის იგივე სცენარით მიმდინარეობდა, როგორც ახლანდელი. ანუ თითოეული გუნდი ერთ მრბოლს თავის ლიდერად გამოარჩევდა და მთელი შეჯიბრის მანძილზე დანარჩენი წევრები ამ სპორტსმენის სამსახურში იყვნენ — ყველაფერს აკეთებდნენ, რათა მისთვის საბოლოო გამარჯვება გაეადვილებინათ. ამ პრინციპით, რა თქმა უნდა, ბევრი ძლიერი ველოსიპედისტი იჩაგრებოდა, რადგან დიდ გუნდებში ისინი მრავლად იყვნენ თავმოყრილნი, არადა, ერთის გარდა ყველას თავიდანვე უხდებოდა გამარჯვებაზე ოცნების გულიდან ამოგდება.

ეს სიტუაცია ტურნირის ორგანიზატორ ანრი დეგრანჟს ბოლოს და ბოლოს ყელში ამოუვიდა. „ტურ დე ფრანსზე" „პირველი ვიოლინოების" ხმა მინდა მესმოდესო — თქვა მან და 1930 წელს შეჯიბრს სახე უცვალა. მონაწილენი, დიდი ფიქრისა და განსჯის შემდეგ თვითონ შეარჩია და ისინი ეროვნული ნაკრებების სახით მიიწვია. ასე დაიბადა ველოსპორტში ეროვნული გუნდები.

ამ წამოწყებას ერთი ძალიან უარყოფითი მხარეც ჰქონდა — სპორტული ფირმები მრბოლებს ფულს აღარ აძლევდნენ და თვით „ტურიც" ფინანსურ გაჭირვებაში ჩავარდა. თუმცა დეგრანჟმა თავის თანამოაზრეებთან ერთად გამოსავალს აქაც მიაგნო. „ტურის" ქარავანში მან სარეკლამო მანქანები ჩართო, რეკლამას კი, მოგეხსენებათ, საკმოად დიდი თანხების მოტანა შეუძლია.

სიახლემ ყველაზე მეტად ახალგაზრდა ფრანგი მრბოლების წისქვილზე დაასხა წყალი. საფრანგეთის ნაკრებში 8 ნაკლებად გამოცდილი, მაგრამ ძალიან ნიჭიერი და ძლიერი ველოსიპედისტი მოხვდა, რომელთაგან ნებისმიერს შეეძლო წარმატებაზე ფიქრი. ცვლილების გარეშე კი ისინი სხვადასხვა გუნდებში იქნებოდნენ გაფანტულნი და უპრეტენზიო ბელგიელებისთვის იმუშავებდნენ.

ამ ახალგაზრდებმა მალე მოიპოვეს ქომაგთა სიმპატიები და თავიანთი მეგობრობით მთელ ათწეულსაც დიდი კვალი დაამჩნიეს. საფრანგეთის საყვარელ გმირებად იქცნენ ანდრე ლედიუკი, ცნობილი მსახიობის, ჟან გაბენის ძმაკაცი, ძმები, ანტონინ და პიერ მანიები, შარლ პელისიე...

ამ მშვენიერი გუნდის კლასი და სიძლიერე 1930 წლიდანვე გამოჩნდა. გრენობლი-ევიონის ეტაპზე ფრანგებმა მეგობრისთვის თავდადების საუკეთესო მაგალითი აჩვენეს. ყვითელი მაისურის მფლობელი ლედიუკი გზაში დაეცა და მცირედი ტრავმაც მიიღო, წინ კი „კაცი ლოკომოტივი", იტალიელი ლეარკო გუერა გაიჭრა. ჰოდა, თანაგუნდელებმა ლედიუკი შუაში მოაქციეს და იტალიელს გამოედევნენ. საინტერესო რბოლა, რომელსაც რადიოთიც გადასცემდნენ (კიდევ ერთი სიახლე), საბოლოოდ ლედიუკის გამარჯვებით დასრულდა. ფრანგთა ბატონობა „ტურზე" ხუთი წელი გაგრძელდა, ეროვნული ნაკრებები კი 1961 წლამდე შემორჩა.

გაგი გურული

# ახალი საფეკო

სიეტლელმა მშენებლებმა სიამაყით უპატაკეს თანაქალაქელთ, რომ დღედღეზე მწყობრში ჩადგება ახალი საბეისბოლო სტადიონი „საფეკო ფილდი", რომელიც 45 ათას მაყურებელს იტევს. „საფეკოზე" გადმობარგდება „სიეტლ მარინერსის" გუნდი, რომელიც 1977 წლიდან „კინგდომის" მინდორზე თამაშობდა. „საფეკოს" გახსნისთანავე ექსპლუატაციაში შევა მოძრავ-მექანიზებული სახურავიც, რომელიც თოვლ-წვიმას ნაჩვევ სიეტლელებს თამაშის ცქერისას ავდრისგან დაიცავს. სულ კი „საფეკო" 517 მილიონი დოლარი დამჯდარა.



REUTERS სიეტლიდან

## ჩემპიონთა ლიგა. I საკვალიფიკაციო ეტაპი
პირველი წრე. 14 ივლისი

ვესტმანაეიარი (ისლანდია) 1:0 ტირანა (ალბანეთი)
1:0 იოჰანესონი (45)

სლოგა იუგომაგნატი (მაკედონია) 1:0 ქიაფაზი (აზერბაიჯანი)
1:0 მემედი (66)

პარტიზანი (იუგოსლავია) 6:0 ფლორა (ესტონეთი)
1:0 ილიჩი (12), 2:0 პეკოვიჩი (25), 3:0 ივიჩი (35), 4:0 კეზმანი (54), 5:0 პეკოვიჩი (71), 6:0 ივიჩი (75)

ბარი თაუნი (უელსი) 0:0 ვალეტა (მალტა)

ლიტექსი (ბულგარეთი) 3:0 გლენტორანი (ჩრდ. ირლანდია)
1:0 პაჯი (11), 2:0 ბუში (35), 3:0 პეტროვი (82)

ჰაფნარი (ფარერები) 1:1 ჰაკა (ფინეთი)
1:0 ლაკიუნი (47), 1:1 პოპოვიჩი (60)

ჟენესი (ლუქსემბურგი) 0:2 სკონტო (ლატვია)
0:1 ასტაფიევი (66), 0:2 მიხოლაპსი (73)

სენტ პატრიკი (ირლანდია) 0:5 ზიმბრუ (მოლდოვა)
0:1 ბერკო (29), 0:2 ეპურეანუ (35), 0:3 ბერკუ (41), 0:4 ბორეტი (72), 0:5 ეპურეანუ (85)

ჟალგირისი (ლიტვა) 2:0 ცემენტი (სომხეთი)
1:0 ი. სტეშკო (45), 2:0 ა. სტეშკო (88)

# მეფის მოძღვნილიო...



REUTERS მადრიდიდან



*ესპანეთის მეფემ ხუან კარლოსმა და დედოფალმა სოფიამ თავიანთ მადრიდულ სასახლეში მიიწვიეს რამდენიმე გამოჩენილი ესპანელი სპორტსმენი და მათ სამეფო პრიზები გადასცეს. წვეულთა შორის იყვნენ ქალთა ველოსპორტის შარშანდელი მსოფლიოს ჩემპიონი დორი რუანო და მოტომრბოლი კარლოს ჩეკა. ეს უკანასკნელი იმიტომაც დაუფასებიათ მის უდიდებულესობათ, რომ გასული წლის „ფეარ პლეის" ლაურეატი შექნილა.*

*ჰო, მართლა, პრინცი ფელიპეც იქა ყოფილა...*

## გერმანია

ლიგის თასი
ნახევარფინალი

**ბაიერნი 1:0 დორტმუნდი**
1:0 ვიორნსი (66ს.კ.)

## ავსტრია

III ტური

**ბრეგენცი 1:4 შტურმი**
0:1 ვასტიჩი (45), 0:2 მარტენსი (50), 1:2 ფრაიზენბიხლერი (76), 1:3, 1:4 ვასტიჩი (84პ, 87)

**ტიროლი 1:0 რიდი**
1:0 გილევიჩი (90)

**გრაცერი 2:3 ლუსტენაუ**
0:1 რეგტოპი (16), 1:1 პამიჩი (18), 1:2 ბრეზიჩი (36), 1:3 მარსელინო (78), 2:3 პამიჩი (87)

**ლინცერი 1:1 აუსტრია**
0:1 დატორუ (28), 1:1 დადი (39)

## შვედეთი

XIV ტური

**კალმარი 4:1 ჰამარბი**

## შვეიცარია

II ტური

**ბაზელი 1:1 ქსამაქსი**
1:0 თოლოტი (36), 1:1 ბიელი (90)

## კასპაროვი — მსოფლიო



1. e2-e4 c7-c5; 2. მg1-f3 d7-d6; 3. კf1-b5+ კc8-d7; 4. კb5:d7+ ლd8:d7; 5. c2-c4 მb8-c6; 6. მb1-c3 მg8-f6; 7. 0-0 g7-g6; 8. d2-d4 c5:d4; 9. მf3-d4 კg7; 10. მd4-e2 ლd7-e6; 11. მc3-d5 ლe6:e4. 12. მd5-c7+




# დიდის გაშხუილება

ბოსტონში გათამაშებული სამოცდამეათე საბეისბოლო ოლ სტარი ამერიკისა და ეროვნული ლიგების გუნდებს შორის გაიხსნა ისე, როგორც უნდა გახსნილიყო. სიმბოლური გაშხუილება ანდეს „ბოსტონ რედ სოქსის" ლეგენდარულ მოთამაშეს ტედ უილიამსს, რომელიც ჯერჯერობით უკანასკნელ მოთამაშედ რჩება ბეისბოლში, სეზონში 400 ჰიტი რომ გაუხერხებია.



REUTERS ბოსტონიდან



REUTERS ბორნნანიდან

# კეისარს ჩიპოლინისა

გუშინწინ, ტურ დე ფრანსის პირველ სამთო ეტაპზე, გრან ბორნნანიდან სესტრიერამდე რომ იყო დაკლაკნილი, იტალიელი მრბოლი მარიო ჩიპოლინი იულიუს კეისრის დარად გამოწყობილი გამოცხადდა ერთ-ერთ გზისპირა სოფელში. დღესო, დიდი კეისრის დაბადების დღეაო — შეახსენა მსოფლიოს ჩიპოლინიმ — და ეს მნიშვნელოვანი თარიღიაო. ღმერთმა გაუმარჯოს კეისრის ყმათა შთამომავლებსო, ამბობდა ჩიპოლინი.

# ფეხბურთის შესაცნობად

*ამერიკის ქალ ფეხბურთელთა ნაკრები თავის მსოფლიოს ჩემპიონობას იმით ზეიმობს, რომ მთელს ქვეყანაში მოგზაურობს საგანგებოდ შემუშავებული მედია ტურის მარშრუტით. ამ ტურის შედეგი ის უნდა იყოს, რომ ამერიკელი გოგონები ფეხბურთსაც ისე დაეწაფონ, როგორც სოფტბოლსა და კალათბურთს. ამჟამად გუნდი ნიუ იორკშია და იქაურ გოგოშკებს მაისურებს ჩუქნის. მსოფლიოს ჩემპიონი ბრენდი ჩესტეინს კი მოზარდებთან სურათების გადაღება ფეხბურთში მათი ჩართვის ერთ-ერთ გზად მიაჩნია.*



REUTERS ნიუ იორკიდან


სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილეები ილია ბაბუნაშვილი, ავთანდილ გურასაშვილი
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი გურამ ხელაშვილი
კალათბურთის განყოფილების გამგე მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქცია. ქართული განყოფილება კონსტანტინე გოგიშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ხვიჩა სანიკიძე
უცხოური განყოფილება ლაშა გოდუაძე, ვანო ოქროპირიძე, ონისე შინჯიკაშვილი; ინფორმაციის რედაქცია ირაკლი თავაძე, გაიოზ თალაკვაძე, პაატა თოთაძე, ავთანდილ სვანიძე; კალათბურთის განყოფილება გიო აზვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე ფოტორეპორტიორები გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე სტილისტები მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი კომპიუტერული ცენტრი ელენე გელუტაშვილი, სვეტა დევაძე, კახა თალაკვაძე, ტრისტან კაზურაშვილი, ნინო კედელაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ შიოლაშვილი, გიორგი ხარატიშვილი, ბელა ხატიაშვილი გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@iberiapac.ge
ელექტრონული ვერსია http://www.opentext.org.ge/sarbieli